15) Le, L. M., Veettil, S. K., Donaldson, D., Kategeaw, W., Hutubessy, R., Lambach, P., & Chaiyakunapruk, N. (2022). The impact of pharmacist involvement on immunization uptake and other outcomes: An updated systematic review and meta-analysis. *Journal of the American Pharmacists Association*, 62(5), 1499–1513.
16) Rahim, M. H. A., Mahamad Dom, S. H., Hamzah, M. S. R., Azman, S. H., Zaharuddin, Z., & Fahrni, M. L. (2024). Impact of pharmacist interventions on immunisation uptake: A systematic review and meta-analysis. *Journal of Pharmaceutical Policy and Practice, 17*(1), 2285955. https://doi.org/10.1080/20523211.2023.2285955
17) Hedima, E. W., & Okoro, R. N. (2025). Primary healthcare roles of community pharmacists in low- and middle-income countries: A mixed methods systematic review. *BMC Health Services Research, 25*, 1269.

18) Faller, E. M., Hernandez, M. T., Hernandez, A. M., & San Gabriel, J. R. (2020). Emerging roles of pharmacist in global health: An exploratory study on their knowledge, perception and competency. Archives of Pharmacy Practice, 11(1), 40–46.
19) **Visacri, M. B., Figueiredo, I. V., & Lima, T. M. (2021).** Role of pharmacist during the COVID-19 pandemic: A scoping review. *Research in Social and Administrative Pharmacy, 17*(10), 1799–1806.
20) **Hayden, J. C., & Parkin, R. (2020).** The challenges of COVID-19 for community pharmacists and opportunities for the future. *Irish Journal of Psychological Medicine, 37*(3), 198–203.
21) **Zaidi, S. T. R., & Hasan, S. S. (2021).** Personal protective practices and pharmacy services delivery by community pharmacists during COVID-19 pandemic: Results from a national survey. *Research in Social and Administrative Pharmacy, 17*(10), 1832–1837. https://doi.org/10.1016/j.sapharm.2020.07.006
22) **Hoti, K., Jakupi, A., Hetemi, D., Raka, D., Hughes, J., & Desselle, S. (2020).** Provision of community pharmacy services during COVID-19 pandemic: A cross-sectional study of community pharmacists' experiences with preventative measures and sources of information. *International Journal of Clinical Pharmacy, 42*(5), 1197–1206.
23) Costa, S., Romão, M., Mendes, M., Horta, M. R., Rodrigues, A. T., Carneiro, A. V., Martins, A. P., Mallarini, E., Naci, H., & Babar, Z. U. D. (2022). Pharmacy interventions on COVID-19 in Europe: Mapping current practices and a scoping review. *Research in Social and Administrative Pharmacy, 18*(5), 3338–3349. https://doi.org/10.1016/j.sapharm.2021.12.003
24) **Watson, K. E., Singleton, J. A., Tippett, V., & Nissen, L. M. (2019).** Defining pharmacists' roles in disasters: A Delphi study. *PLOS ONE, 14*(12), e0227132
25) **Cadogan, C. A., & Hughes, C. M. (2020).** On the frontline against COVID-19: Community pharmacists' contribution during a public health crisis. *Research in Social and Administrative Pharmacy, 17*(11), 2032–2035.
26) **Yang, D. W., & Son, K. B. (2023).** Impact of the COVID-19 pandemic on the public perceptions of the roles and functions of community pharmacies in South Korea: Updated cross-sectional self-reported web-based survey. *JMIR Public Health and Surveillance, 9*, e46723. https://doi.org/10.2196/46723
27) Bacci JL, Shah PD, Arnold J, Atkins DL, Weiner BJ. **Readying community pharmacies to participate in COVID-19 testing and vaccination.** *Disaster Medicine and Public Health Preparedness*. 2023;17:e424. doi:10.1017/dmp.2023.84.
28) **Song, Z., Hu, Y., Zheng, S., Yang, L., & Zhao, R. (2022).** Optimal management of the public and patients by pharmacists in the era of COVID-19: An evidence-based review and practical recommendations. *Frontiers in Public Health, 9*, 758325.

29) Basheti, I. A., Nassar, R., Barakat, M., Alqudah, R., Abufarha, R., Mukattash, T. L., & Saini, B. (2020). Pharmacists' readiness to deal with the coronavirus pandemic: Assessing awareness and perception of roles. *Research in Social and Administrative Pharmacy, 17*(3), 514–522.
30) Sum, Z. Z., & Ow, C. J. W. (2020). Community pharmacy response to infection control during COVID-19: A cross-sectional survey. Research in Social and Administrative Pharmacy, 17(10), 1845–1852.
31) Goode, J. V., Owen, J., Page, A., & Gatewood, S. (2019). Community-based pharmacy practice innovation and the role of the community-based pharmacist practitioner in the United States. *Pharmacy, 7*(3), 106. https://doi.org/10.3390/pharmacy7030106
32) Aburas, W., & Alshammari, T. M. (2020). Pharmacists' roles in emergency and disasters: COVID-19 as an example. Saudi Pharmaceutical Journal, 28(12), 1797–1816. https://doi.org/10.1016/j.jsps.2020.11.006
33) **Bahlol, M., Aliekperova, N., Elkhatib, W. F., & Dewey, R. S. (2024).** Pandemic preparedness of Egyptian community pharmacists and potential facilitators to the successful implementation of a community pharmacy COVID-19 referral service.*International Journal of Pharmacy Practice, 32*(6), 478–489.
34) **Suleiman, M. A., Magaji, M. G., & Mohammed, S. (2022).**Evaluation of pharmacists' knowledge in emergency preparedness and disaster management.*International Journal of Pharmacy Practice, 30*(4), 348–353. https://doi.org/10.1093/ijpp/riac049
35) Mashuri, Y. A., Wulandari, L. P. L., Khan, M., Ferdiana, A., Probandari, A., Wibawa, T., Batura, N., Liverani, M., Day, R., Jan, S., Schierhout, G., Wahyono, D., Yulianto, P., Kaldor, J., Guy, R., Law, M., Yeung, S., & Wiseman, V. (2022).The response to COVID-19 among drug retail outlets in Indonesia: A cross-sectional survey of knowledge, attitudes, and practices.The Lancet Regional Health – Western Pacific, 22, 100420.https://doi.org/10.1016/j.lanwpc.2022.100420
36) **Carpenter, D. M., Hastings, T., Westrick, S., Mashburn, P., Rosenthal, M., Smith, M., Kiser, S., Gamble, A., Brewer, N. T., & Curran, G. (2022).**Rural community pharmacists' ability and interest in administering COVID-19 vaccines in the Southern United States.*Journal of the American Pharmacists Association, 62*(4), 1379–1383. https://doi.org/10.1016/j.japh.2022.01.013
37) Durand, C., Douriez, E., Chappuis, A., Poulain, F., Yazdanpanah, Y., Lariven, S., Lescure, F.-X., & Peiffer-Smadja, N. (2022).Contributions and challenges of community pharmacists during the COVID-19 pandemic: A qualitative study.Journal of Pharmaceutical Policy and Practice, 15(1), 43.https://doi.org/10.1186/s40545-022-00438-8
38) **Bragazzi, N. L. (2019).**Pharmacists as immunizers: The role of pharmacies in promoting immunization campaigns and counteracting vaccine hesitancy.*Pharmacy, 7*(4), 166.
39) International Pharmaceutical Federation (FIP). (2020). COVID-19: Guidelines for pharmacists and the pharmacy workforce. https://www.fip.org

40) World Health Organization (WHO). (2020). *Strengthening the health system response to COVID-19: Community pharmacy. Technical working guidance #4*. Copenhagen: WHO Regional Office for Europe.
41) Centers for Disease Control and Prevention (CDC). (2021). *Guidance for pharmacists and pharmacies in the COVID-19 response*. https://www.cdc.gov
42) Pruidze, E., Chumburidze, T., Nemsitsveradze, N., Chikviladze, T., & Chrdileli, M. (2021). A Study of Attitudes toward Pharmaceutical Care during COVID-19 Pandemic in Tbilisi (Georgia). Journal of Pharmacy and Pharmacology, 9(5), 205–209. https://doi.org/10.17265/2328-2150/2021.05.003
43) Nemsitsveridze, N., Tchumburidze, T., Pruidze, E., Nikuradze, N., Zarkua, T., & Gelashvili, M. (2020). Pharmaceutical Care in Times of COVID-19 Pandemic. Tbilisi State Medical University, Department of Social and Clinical Pharmacy. Abstract / Summary.

Community Pharmacists in Global Pandemic Preparedness and Response: A Literature Review

Mariam Katcharava; Marina Darakhvelidze;Elza Nikoleishvili

Abstract

This systematic literature review aims to evaluate the professional role of community pharmacists during the COVID-19 pandemic, focusing on public health support and healthcare system sustainability. The study is based on an analysis of 65 international scientific sources published between 2019 and 2025, ensuring a comprehensive assessment of the issue. The findings indicate that involvement in vaccination campaigns, ensuring provision of uninterrupted access to medicines, remote and in-person patient counseling, and continuous professional development serve as key determinants of pharmacists' readiness in crisis management. Nevertheless, the study reveals that in many countries, the full realization of pharmacists' potential is constrained by structural, legislative, and systemic barriers. Specifically, challenges emerged regarding digital infrastructure, the development of telepharmacy, technological asymmetry, and personal data protection. The review resulted in the formulation of recommendations for health policy-makers aimed at improving access to health services, health system effectiveness, and resilience in the context of both current and future global health crises.

Keywords: Community pharmacists, Pandemic preparedness, COVID-19, Public health, Vaccination

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 8 Issue 3, 2026
https://doi.org/10.52340/gs.2026.08.03.02

მელანოციტური ნევუსების ჰისტომორფოლოგიური ჰეტეროგენულობა: კლინიკოპათოლოგიური თავისებურებები და პროგრესიის პოტენციალის შეფასება

ხათუნა ნოდია[1]; თამარ სალაძე[2]; გიორგი ბურკაძე[3]; შოთა კეპულაძე[4]

[1]თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტი; ექიმი; დერმატო-ვენეროლოგი; პოდოლოგი; [2]თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ექიმი, პათოლოგანატომი; [3]თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; პროფესორი; ექიმი პათოლოგანატომი; [4]თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ექიმი; პათოლოგანატომი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მელანოციტური ნევუსები წარმოადგენს კანის ყველაზე გავრცელებულ კეთილთვისებიან მელანოციტურ დაზიანებებს, რომლებიც გამოირჩევიან მნიშვნელოვანი ჰისტომორფოლოგიური მრავალფეროვნებით. სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპის ნევუსების არქიტექტურული, ციტოლოგიური და სტრომული თავისებურებების შეფასება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, როგორც დიფერენციალურ დიაგნოსტიკაში, ასევე მათი ბიოლოგიური ქცევის უკეთ გააზრებაში.

კვლევის მიზანს შეადგენდა სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპის მელანოციტური ნევუსების ჰისტომორფოლოგიური ჰეტეროგენულობის შეფასება, მათი კლინიკოპათოლოგიური თავისებურებების შედარება და პროგრესიასთან ასოცირებული მორფოლოგიური ნიშნების გამოვლენა. რეტროსპექტულ კვლევაში ჩართული იყო 52 პაციენტის ჰისტოლოგიური მასალა, რომელშიდაც დიაგნოსტირებული იყო სხვადასხვა ტიპის მელანოციტური ნევუსი. ჰემატოქსილინ-ეოზინით (H&E) შეღებილ პრეპარატებზე შეფასდა ნევუსის ჰისტოლოგიური ტიპი, სიმეტრიულობა, შემოსაზღვრულობა, მომწიფება, მოსაზღვრე კომპონენტი, პეჯეტოიდური გავრცელება, ციტოლოგიური ატიპია, ანთებითი ინფილტრატი, ფიბროზი, მზისმიერი ელასტოზი, პიგმენტაცია, წყლულოვანი ცვლილებები და რეზექციის კიდეების სტატუსი. მონაცემები დამუშავდა IBM SPSS Statistics 29.0 პროგრამის გამოყენებით.

კვლევამ აჩვენა, რომ სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპის მელანოციტური ნევუსები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ არქიტექტურული და სტრომული მახასიათებლებით. მოსაზღვრე, ინტრადერმული, შედგენილი და ლურჯი ნევუსები უმეტესად სიმეტრიული და მკაფიოდ შემოსაზღვრული იყო, ხოლო დისპლაზიური და სპიცის ნევუსები უფრო ხშირად ხასიათდებოდა ასიმეტრიული არქიტექტურით, ნაწილობრივი მომწიფებით, ციტოლოგიური ატიპიითა და ანთებითი ცვლილებებით. რეციდივირებული შემთხვევები ძირითადად დაკავშირებული იყო დისპლაზიური ნევუსების ჯგუფთან და უფრო ხშირად აღენიშნებოდა დადებითი ქირურგიული რეზექციის კიდეების მქონე შემთხვევებში.
მელანოციტური ნევუსები ხასიათდებიან გამოხატული ჰისტომორფოლოგიური ჰეტეროგენულობით, რომელიც დამოკიდებულია მათ ჰისტოლოგიურ ტიპზე. რუტინული ჰისტომორფოლოგიური შეფასება მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა კლინიკოპათოლოგიური თავისებურებებისა და პროგრესიასთან ასოცირებული მორფოლოგიური ნიშნების შესახებ და წარმოადგენს საფუძველს შემდგომი იმუნოჰისტოქიმიური და ციფრული პათოლოგიის კვლევებისთვის.

საკვანძო სიტყვები: მელანოციტური ნევუსი; ჰეტეროგენულობა; დისპლაზიური ნევუსი; სპიცის ნევუსი; რეციდივი; კლინიკოპათოლოგიური კორელაცია.

შესავალი

მელანოციტური ნევუსები წარმოადგენს მელანოციტური წარმოშობის ყველაზე გავრცელებულ კეთილთვისებიან კანის წარმონაქმნებს და ყოველდღიური დერმატოლოგიური და პათოლოგიური პრაქტიკის მნიშვნელოვან ნაწილს. მათი უმრავლესობა სიცოცხლის განმავლობაში სტაბილურ ბიოლოგიურ ქცევას ავლენს, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა აღინიშნოს რეციდივი, გამოხატული მორფოლოგიური მრავალფეროვნება ან ისეთი ცვლილებები, რომლებიც დიფერენციალურ დიაგნოსტიკას მნიშვნელოვნად ართულებს.[1] მიუხედავად იმისა, რომ მელანოციტური ნევუსები ტრადიციულად კეთილთვისებიან წარმონაქმნებად განიხილება, მათი ჰისტომორფოლოგიური ჰეტეროგენულობა კვლავ წარმოადგენს აქტიური კვლევის საგანს.[2]
მელანოციტური ნევუსების კლასიფიკაცია ძირითადად ეფუძნება მელანოციტების ანატომიურ ლოკალიზაციასა და ზრდის არქიტექტურას. პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გვხვდება საზღვრის (Junctional), შედგენილი (Compound) და ინტრადერმული ნევუსები, თუმცა მნიშვნელოვან ჯგუფებს წარმოადგენენ დისპლაზიური, სპიცისა და ლურჯი ნევუსებიც. თითოეული მათგანი ხასიათდება განსხვავებული არქიტექტურული ორგანიზაციით, უჯრედული მახასიათებლებითა და სტრომული ცვლილებებით, რაც ასახავს მათ ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას.[3]

რუტინულ ჰისტოპათოლოგიურ პრაქტიკაში ნევუსების შეფასება ეფუძნება ჰემატოქსილინ-ეოზინით (H&E) შეღებილ პრეპარატებში არქიტექტურული და ციტოლოგიური ნიშნების კომპლექსურ ანალიზს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დაზიანების სიმეტრიულობას, შემოსაზღვრულობას, მელანოციტების მომწიფებას, სასაზღვრო კომპონენტის არსებობას, პეჯეტოიდურ გავრცელებას, ციტოლოგიური ატიპიის ხარისხს, ანთებით ინფილტრატს, ფიბროზსა და სხვა სტრომულ ცვლილებებს. აღნიშნული ნიშნები არა მხოლოდ ჰისტოლოგიური ტიპის განსაზღვრაში, არამედ დიფერენციალურ დიაგნოსტიკასა და დაზიანების ბიოლოგიური ქცევის შეფასებაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს.[4,5]

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მელანოციტური ნევუსების ჰეტეროგენულობის შესწავლას. თანამედროვე კვლევებმა აჩვენა, რომ სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპი განსხვავდება როგორც არქიტექტურული აგებულებით, ასევე ციტოლოგიური და სტრომული მახასიათებლებით. განსაკუთრებით საყურადღებოა დისპლაზიური და სპიცის ნევუსები, რომელთაც შესაძლოა გამოხატული ატიპიური ნიშნები ჰქონდეთ და რიგ შემთხვევებში მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური სირთულე შექმნან ავთვისებიან მელანომასთან დიფერენციაციის დროს.[6,7] ანალოგიურად, ლურჯი ნევუსისა და მისი უჯრედული ვარიანტის მორფოლოგიურმა თავისებურებებმა შესაძლოა მელანომის სიმულაცია მოახდინოს, რაც ჰისტოპათოლოგიური შეფასების მაღალ სიზუსტეს მოითხოვს.

განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება იმ მორფოლოგიური ნიშნების შეფასებას, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს რეციდივთან ან უფრო აქტიურ ბიოლოგიურ ქცევასთან. არასრული ექსციზია, რეზექციის დაზიანებული კიდეები, გამოხატული სასაზღვრო კომპონენტი, ფიბროზული ცვლილებები და ანთებითი ინფილტრატი ხშირად გვხვდება რეციდივირებულ ნევუსებში. მიუხედავად ამისა, დღემდე არ არსებობს ერთიანი მიდგომა, რომელიც ამ მორფოლოგიურ ნიშნებს სისტემურად შეაფასებდა სხვადასხვა ჰისტოლოგიურ ტიპში და განსაზღვრავდა მათ კლინიკურ მნიშვნელობას.

იმუნოჰისტოქიმიური და მოლეკულური მეთოდების ფართო დანერგვის მიუხედავად, რუტინული ჰისტომორფოლოგიური შეფასება კვლავ რჩება მელანოციტური ნევუსების დიაგნოსტიკის ძირითად საფუძვლად. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ არქიტექტურული, ციტოლოგიური და სტრომული ნიშნების სტანდარტიზებულ შეფასებას, რომლებიც ყოველდღიურ პრაქტიკაში ხელმისაწვდომია და შესაძლოა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვცეს დაზიანების ბიოლოგიური თავისებურებების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მიზანია სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპის მელანოციტური ნევუსების ჰისტომორფოლოგიური ჰეტეროგენულობის შეფასება, მათი კლინიკოპათოლოგიური თავისებურებების შედარება და იმ მორფოლოგიური ნიშნების გამოვლენა, რომლებიც შესაძლოა

დაკავშირებული იყოს აგრესიული ბიოლოგიური ქცევისა და რეციდივის პოტენციალთან.

მასალა და მეთოდები

კვლევის დიზაინი: წინამდებარე კვლევა წარმოადგენს რეტროსპექტულ კლინიკოპათოლოგიურ კვლევას, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპის მელანოციტური ნევუსების ჰისტომორფოლოგიური ჰეტეროგენულობის შეფასება, მათი კლინიკოპათოლოგიური თავისებურებების შედარება და რეციდივთან ასოცირებული მორფოლოგიური ნიშნების გამოვლენა.

კვლევაში გამოყენებული იქნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორიის არქივში დაცული ფორმალინში ფიქსირებული და პარაფინში ჩაყალიბებული (FFPE) ქსოვილოვანი მასალები. კვლევაში ჩართული იყო 52 პაციენტის ჰისტოლოგიური მასალა, რომლებშიც დიაგნოსტირებული იყო სხვადასხვა ტიპის მელანოციტური ნევუსი. ყველა შემთხვევა ანალიზისთვის შეირჩა ანონიმიზებული ფორმით, პაციენტთა პერსონალური მონაცემების გამოყენების გარეშე.

კვლევაში ჩართული იქნა მხოლოდ ის შემთხვევები, რომლებშიც ხელმისაწვდომი იყო ადეკვატური ხარისხის ჰემატოქსილინ-ეოზინით (H&E) შეღებილი პრეპარატები, პარაფინის ბლოკები და შესაბამისი კლინიკური ინფორმაცია. კვლევიდან გამოირიცხა არასაკმარისი მოცულობის, ცუდად ფიქსირებული ან გამოხატული არტეფაქტების მქონე პრეპარატები, აგრეთვე შემთხვევები, რომლებშიც საბოლოო ჰისტოლოგიური დიაგნოზის დაზუსტება შეუძლებელი იყო.

ჰისტოპათოლოგიური შეფასება: ყველა შემთხვევა შეფასდა ჰემატოქსილინ-ეოზინით (H&E) შეღებილ ჰისტოლოგიურ პრეპარატებზე სინათლის მიკროსკოპის გამოყენებით. პრეპარატების შეფასება განხორციელდა ორი კლინიკური პათოლოგის მიერ დამოუკიდებლად, ხოლო განსხვავებული შეფასების შემთხვევაში საბოლოო დასკვნა მიღებულ იქნა ერთობლივი განხილვის საფუძველზე.

ჰისტომორფოლოგიური ანალიზის ფარგლებში შეფასდა ნევუსის ჰისტოლოგიური ტიპი, დაზიანების სიმეტრიულობა, შემოსაზღვრულობის ხარისხი, მელანოციტების მომწიფების ხარისხი, სასაზღვრო კომპონენტის არსებობა, პეჯეტოიდური გავრცელება, ციტოლოგიური ატიპიის ხარისხი, ანთებითი ინფილტრატის ინტენსივობა და განაწილება, ფიბროზის არსებობა, მზისმიერი ელასტოზი, პიგმენტაციის ხარისხი, წყლულოვანი ცვლილებების არსებობა და ქირურგიული რეზექციის კიდეების სტატუსი. ნევუსების კლასიფიკაცია განხორციელდა თანამედროვე საერთაშორისო ჰისტოპათოლოგიური კრიტერიუმების შესაბამისად და მოიცავდა მოსაზღვრე (Junctional), ინტრადერმულ, შედგენილ (Compound) დისპლაზიურ, სპიცისა და ლურჯ ნევუსებს.

თითოეული პაციენტისათვის შეგროვდა დემოგრაფიული და კლინიკური მონაცემები, მათ შორის ასაკი, სქესი, დაზიანების ზომა, Fitzpatrick-ის კანის ფოტოტიპი, ოჯახური ანამნეზი, რეციდივის არსებობა და შემდგომი კლინიკური დაკვირვების (Follow-up) ხანგრძლივობა.

სტატისტიკური ანალიზი: მონაცემების სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა IBM SPSS Statistics-ის 29.0 ვერსიის გამოყენებით. რაოდენობრივი მონაცემები წარმოდგენილია საშუალო მნიშვნელობისა და სტანდარტული გადახრის (Mean ± SD) ან მედიანისა და ინტერკვარტილური დიაპაზონის (IQR) სახით, მონაცემთა განაწილების შესაბამისად, ხოლო კატეგორიული მონაცემები წარმოდგენილია აბსოლუტური რაოდენობებითა და პროცენტული მაჩვენებლებით.
ჰისტოლოგიურ ჯგუფებს შორის კატეგორიული ცვლადების შედარება განხორციელდა χ^2 (Chi-square) ტესტის გამოყენებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნა Fisher-ის ზუსტი ტესტი. რაოდენობრივი პარამეტრების შედარება რამდენიმე დამოუკიდებელ ჯგუფს შორის შესრულდა Kruskal–Wallis-ის ტესტით, ხოლო ორი ჯგუფის შედარებისას გამოყენებული იქნა Mann–Whitney-ის U-ტესტი. ყველა სტატისტიკური ტესტი ორმხრივი იყო და $p<0.05$ მიიჩნეოდა სტატისტიკურად სარწმუნო მნიშვნელობად.

კვლევა განხორციელდა ჰელსინკის დეკლარაციის პრინციპების დაცვით. გამოყენებული იყო საარქივო ანონიმიზებული ჰისტოლოგიური მასალა, რის შედეგადაც პაციენტების იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო. კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნა მხოლოდ სამეცნიერო მიზნებისთვის კონფიდენციალურობის სრული დაცვით. კვლევა მხარდაჭერილია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის მიერ.

შედეგები

კლინიკოპათოლოგიური მახასიათებლები: კვლევაში ჩართული იყო 52 პაციენტი, რომელთაც ჰისტოპათოლოგიური კვლევის საფუძველზე დაუდგინდათ სხვადასხვა ტიპის მელანოციტური ნევუსი. შეფასდა პაციენტების დემოგრაფიული მონაცემები, კლინიკური მახასიათებლები და ნევუსების ძირითადი ჰისტომორფოლოგიური თავისებურებები.
საკვლევ პოპულაციაში წარმოდგენილი იყო როგორც მამაკაცები, ასევე ქალები. პაციენტთა ასაკი მერყეობდა 25-დან 52 წლამდე. ყველაზე ხშირი ჰისტოლოგიური ტიპები იყო მოსაზღვრე, ინტრადერმული, შედგენილი, დისპლაზიური, სპიცისა და ლურჯი ნევუსები. რეციდივი დაფიქსირდა მხოლოდ დისპლაზიური ნევუსების ნაწილში, ხოლო დანარჩენ ჰისტოლოგიურ ჯგუფებში კვლევის პერიოდში რეციდივი არ გამოვლენილა.

პაციენტთა კლინიკური და დემოგრაფიული მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 1-შ.

მაჩვენებელი	მნიშვნელობა
პაციენტთა რაოდენობა	52
ასაკი (წლები), საშუალო ± SD	38.7 ± 7.7*
მამაკაცი, n (%)	26 (50.0%)
ქალი, n (%)	26 (50.0%)
Fitzpatrick I, n (%)	39 (75.0%)
Fitzpatrick II, n (%)	13 (25.0%)
დაზიანების ფართობი (მმ²), საშუალო ± SD	32.8 ± 10.5*
მოსაზღვრე ნევუსი, n (%)	9 (17.3%)
ინტრადერმული ნევუსი, n (%)	8 (15.4%)
შედგენილი ნევუსი, n (%)	8 (15.4%)
დისპლაზიური ნევუსი, n (%)	10 (19.2%)
სპიცის ნევუსი, n (%)	8 (15.4%)
ლურჯი ნევუსი, n (%)	9 (17.3%)
რეციდივი, n (%)	4 (7.7%)
R0 რეზექცია, n (%)	46 (88.5%)
R1 რეზექცია, n (%)	6 (11.5%)

ცხრილი 1. საკვლევი პოპულაციის კლინიკოპათოლოგიური მახასიათებლები;

მელანოციტური ნევუსების ჰისტომორფოლოგიური ჰეტეროგენულობა: ჰისტომორფოლოგიურმა შეფასებამ აჩვენა, რომ სხვადასხვა ტიპის მელანოციტური ნევუსები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ არქიტექტურული და ციტოლოგიური მახასიათებლებით.

მოსაზღვრე, ინტრადერმული, შედგენილი და ლურჯი ნევუსების უმრავლესობა ხასიათდებოდა სიმეტრიული აგებულებითა და მკაფიო შემოსაზღვრულობით, მაშინ როდესაც დისპლაზიურ და სპიცის ნევუსებში უფრო ხშირად აღინიშნებოდა ასიმეტრიული არქიტექტურა და არასრულად შემოსაზღვრული კონტურები.

მელანოციტების მომწიფება სრულად იყო შენარჩუნებული ინტრადერმულ, შედგენილ, მოსაზღვრე, სპიცისა და ლურჯ ნევუსებში, ხოლო დისპლაზიურ ნევუსებში უფრო ხშირად აღინიშნებოდა ნაწილობრივი მომწიფება.

სპიცის ნევუსებში აღინიშნებოდა კეროვანი მოსაზღვრე აქტივობა, მაშინ როდესაც ინტრადერმულ და ლურჯ ნევუსებში მოსაზღვრე კომპონენტი, როგორც წესი, არ ფიქსირდებოდა. პეჯეტოიდური გავრცელება არცერთ შესწავლილ შემთხვევაში არ გამოვლენილა.

ჰისტომორფოლოგიური პარამეტრების განაწილება სხვადასხვა ჰისტოლოგიურ ჯგუფში წარმოდგენილია ცხრილში 2-ში.

ჰისტომორფოლოგიური ნიშანი	მოსაზღვრე	ინტრადერმული	შედგენილი	დისპლაზიური	სპიცის	ლურჯი	p
სიმეტრიული არქიტექტურა	9 (100%)	8 (100%)	8 (100%)	0 (0%)	0 (0%)	9 (100%)	
მკაფიო შემოსაზღვრულობა	9 (100%)	8 (100%)	8 (100%)	0 (0%)	0 (0%)	9 (100%)	
სრული მომწიფება	9 (100%)	8 (100%)	8 (100%)	2 (20%)	8 (100%)	9 (100%)	
მოსაზღვრე კომპონენტი	9 (100%)	0	0	10 (100%)	8 (100%)†	0	
პეჯეტოიდური გავრცელება	0	0	0	0	0	0	—
მსუბუქი/ზომიერი ატიპია	0	0	0	10 (100%)	8 (100%)	0	
ანთებითი ინფილტრატი	0	0	0	10 (100%)	8 (100%)	0	
ფიბროზი	0	0	0	2 (20%)	8 (100%)	9 (100%)	
მზისმიერი ელასტოზი	9 (100%)	0	0	10 (100%)	8 (100%)	0	
პიგმენტაცია (ზომიერი/გამოხატული)	9 (100%)	0	0	10 (100%)	8 (100%)	9 (100%)	
წყლულოვანი ცვლილებები	0	0	0	0	0	0	—


ცხრილი 2. სხვადასხვა ტიპის მელანოციტური ნევუსების ჰისტომორფოლოგიური თავისებურებების შედარება;

ციტოლოგიური და სტრომული თავისებურებები: ციტოლოგიური ატიპია უმეტეს შემთხვევაში არ გამოვლენილა ან მინიმალური ხარისხით იყო წარმოდგენილი. დისპლაზიური ნევუსები შედარებით უფრო ხშირად ხასიათდებოდა მსუბუქი ან საშუალო ხარისხის ატიპიით, მაშინ როდესაც ინტრადერმულ, შედგენილ, მოსაზღვრე და ლურჯ ნევუსებში ატიპია პრაქტიკულად არ აღინიშნებოდა.


ანთებითი ინფილტრატის ინტენსივობა განსხვავდებოდა ჰისტოლოგიური ტიპების მიხედვით. ინტრადერმულ, შედგენილ და მოსაზღვრე ნევუსებში ანთებითი რეაქცია უმეტესად არ აღინიშნებოდა ან მინიმალურად იყო გამოხატული, ხოლო დისპლაზიურ და სპიცის ნევუსებში უფრო ხშირად გამოვლინდა მსუბუქი ან ზომიერი ანთებითი ინფილტრატი. ლურჯ ნევუსებში ანთებითი ცვლილებები, როგორც წესი, არ იყო გამოხატული.

ფიბროზი ძირითადად არ აღინიშნებოდა, თუმცა დისპლაზიურ და სპიცის ნევუსებში ცალკეულ შემთხვევებში გამოვლინდა მსუბუქი ხარისხის ფიბროზული ცვლილებები.

მზისმიერი ელასტოზი უფრო ხშირად აღინიშნებოდა ლურჯი ნევუსების ჯგუფში, მაშინ როდესაც დანარჩენ ჰისტოლოგიურ ტიპებში იგი შედარებით იშვიათად ფიქსირდებოდა.



სურათი 1. სურათზე ნაჩვენებია კვლევაში ჩართული ლურჯი/ცისფერი ნევუსის შემთხვევა, გამოხატულია ჭარბი პიგმენტაცია დერმაში განთავსებით. ჰემატოქსილინ&ეოზინის ტექნოლოგია 100X;



სურათი 2. სურათზე ნაჩვენებია კვლევაში ჩართული დისპლაზიური ნევუსის შემთხვევა, გამოხატულია ჭარბი პიგმენტაცია დერმაში განთავსებით. დერმო-ეპიდერმულად განთავსებული ნევოციტების ატიპური ჯგუფები. ჰემატოქსილინ&ეოზინის ტექნოლოგია 100X;

რეციდივთან ასოცირებული მორფოლოგიური ნიშნები

რეციდივი დაფიქსირდა მხოლოდ დისპლაზიური ნევუსების ჯგუფში. აღნიშნული შემთხვევები უფრო ხშირად ხასიათდებოდა ასიმეტრიული არქიტექტურით, არასრულად შემოსაზღვრული კონტურებით, ნაწილობრივ შენარჩუნებული მომწიფებით, ზომიერი ციტოლოგიური ატიპიით, დიფუზური ანთებითი ინფილტრატითა და ფიბროზული ცვლილებებით. ამავე ჯგუფში უფრო ხშირად აღინიშნებოდა დადებითი ქირურგიული რეზექციის კიდეები (R1).

რეციდივის მქონე და არარეციდივირებული შემთხვევების შედარებითი ანალიზი წარმოდგენილია ცხრილში 3-ში.

მაჩვენებელი	რეციდივი (n=4)	რეციდივის გარეშე (n=48)	p
საშუალო ასაკი (წლები)			
მამაკაცი, n (%)			
დისპლაზიური ნევუსი, n (%)	4 (100%)	6 (12.5%)	
ასიმეტრიული არქიტექტურა	4 (100%)	14 (29.2%)	
არასრულად შემოსაზღვრული დაზიანება	4 (100%)	14 (29.2%)	
ნაწილობრივი მომწიფება	2 (50%)	8 (16.7%)	
ზომიერი ციტოლოგიური ატიპია	4 (100%)	0	
დიფუზური ანთებითი ინფილტრატი	4 (100%)	0	
ფიბროზი	4 (100%)	14 (29.2%)	
R1 რეზექცია	4 (100%)	2 (4.2%)	

ცხრილი 3. რეციდივთან ასოცირებული კლინიკოპათოლოგიური მახასიათებლები;

კვლევის შედეგების განხილვა

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპის მელანოციტური ნევუსების ჰისტომორფოლოგიური ჰეტეროგენულობის შეფასება, მათი კლინიკოპათოლოგიური თავისებურებების შედარება და რეციდივთან ასოცირებული მორფოლოგიური ნიშნების ანალიზი. მიღებულმა შედეგებმა დაადასტურა, რომ მელანოციტური ნევუსები არ წარმოადგენენ მორფოლოგიურად ერთგვაროვან ჯგუფს. პირიქით, თითოეული ჰისტოლოგიური ტიპი ხასიათდება სპეციფიკური არქიტექტურული, ციტოლოგიური და სტრომული თავისებურებებით, რაც ასახავს მათ განსხვავებულ ბიოლოგიურ ორგანიზაციას.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს სხვადასხვა ჰისტოლოგიურ ტიპს შორის დაფიქსირებული არქიტექტურული განსხვავებების არსებობა. მოსაზღვრე, ინტრადერმული, შედგენილი და ლურჯი ნევუსების უმრავლესობა ხასიათდებოდა სიმეტრიული აგებულებითა და მკაფიო შემოსაზღვრულობით, მაშინ როდესაც დისპლაზიურ და სპიცის ნევუსებში შედარებით ხშირად აღინიშნებოდა ასიმეტრიული არქიტექტურა და არასრულად შემოსაზღვრული კონტურები. აღნიშნული შედეგები შეესაბამება თანამედროვე ჰისტოპათოლოგიურ წარმოდგენებს, რომლის მიხედვითაც სწორედ არქიტექტურული ორგანიზაცია

წარმოადგენს მელანოციტური ნევუსების შეფასების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმს.[7–10]

მელანოციტების მომწიფების ხარისხი ტრადიციულად მიიჩნევა კეთილთვისებიანი მელანოციტური წარმონაქმნების მნიშვნელოვან მახასიათებლად. ჩვენს კვლევაში სრული მომწიფება აღინიშნებოდა მოსაზღვრე, ინტრადერმულ, შედგენილ, სპიცისა და ლურჯ ნევუსებში, მაშინ როდესაც დისპლაზიური ნევუსების ნაწილში გამოვლინდა მხოლოდ ნაწილობრივი მომწიფება. აღნიშნული შედეგები შესაძლოა მიუთითებდეს, რომ დისპლაზიური ნევუსები არქიტექტურული ორგანიზაციის მხრივ უფრო ჰეტეროგენულ ჯგუფს წარმოადგენენ, ვიდრე სხვა კეთილთვისებიანი მელანოციტური დაზიანებები. მიუხედავად ამისა, მიღებული შედეგები არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული როგორც ავთვისებიანი ტრანსფორმაციის პირდაპირი მაჩვენებელი, რადგან მომწიფების ხარისხი მხოლოდ ერთ-ერთ მორფოლოგიურ კრიტერიუმს წარმოადგენს და მისი შეფასება ყოველთვის უნდა მოხდეს სხვა ჰისტოლოგიურ ნიშნებთან ერთად.

ციტოლოგიური ატიპიის ანალიზმა აჩვენა, რომ მსუბუქი და ზომიერი ატიპია ძირითადად დისპლაზიურ და სპიცის ნევუსებში ფიქსირდებოდა, ხოლო დანარჩენ ჰისტოლოგიურ ტიპებში ატიპიური ცვლილებები პრაქტიკულად არ გამოვლენილა. ეს შედეგი თანხვედრაშია არსებული კვლევების შედეგად არსებულ მონაცემებთან, სადაც აღნიშნულია, რომ დისპლაზიური და სპიცის ნევუსები ხშირად შეიცავენ ისეთ ციტოლოგიურ თავისებურებებს, რომლებიც გამოცდილ პათოლოგსაც კი უქმნის დიფერენციალური დიაგნოზის სირთულეს. სწორედ ამიტომ მსგავსი შემთხვევების შეფასება ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს როგორც ციტოლოგიური, ასევე არქიტექტურული ნიშნების კომპლექსურ ანალიზს.[11]

სტრომული ცვლილებების შეფასებამ ასევე გამოავლინა განსხვავებები სხვადასხვა ჰისტოლოგიურ ტიპს შორის. დისპლაზიურ და სპიცის ნევუსებში შედარებით ხშირად აღინიშნებოდა ანთებითი ინფილტრატი და ფიბროზული ცვლილებები, მაშინ როდესაც ინტრადერმულ და შედგენილ ნევუსებში სტრომული რეაქცია უმეტესად მინიმალური იყო. აღსანიშნავია, რომ ანთებითი მიკროგარემო მელანოციტურ დაზიანებებში ბოლო წლებში განსაკუთრებული ინტერესის საგანია, თუმცა მისი ბიოლოგიური მნიშვნელობა კეთილთვისებიან ნევუსებში ჯერ კიდევ სრულად შესწავლილი არ არის. ჩვენი შედეგები მიუთითებს, რომ ანთებითი რეაქციის ინტენსივობა შესაძლოა დაკავშირებული იყოს დაზიანების ჰისტოლოგიურ ტიპთან და ქსოვილურ რემოდელირებასთან.

კვლევის კიდევ ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს რეციდივირებულ შემთხვევებში გამოვლენილი მორფოლოგიური თავისებურებები. ჩვენს მასალაში რეციდივი აღინიშნებოდა მხოლოდ დისპლაზიური ნევუსების ნაწილში და ხასიათდებოდა ასიმეტრიული არქიტექტურით, ნაწილობრივი მომწიფებით, ზომიერი ციტოლოგიური ატიპიით, უფრო გამოხატული ანთებითი ინფილტრატით, ფიბროზითა და დადებითი ქირურგიული რეზექციის კიდეებით. მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევათა რაოდენობა შეზღუდული იყო, მიღებული მონაცემები ადასტურებს, რომ

არასრული ექსციზია და შესაბამისი ქსოვილოვანი ცვლილებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეციდივირებული ნევუსების ფორმირებაში. აღნიშნული მიგნება პრაქტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან რეციდივირებული ნევუსები ხშირად ქმნიან დიაგნოსტიკურ სირთულეს და შესაძლოა კლინიკურად ან ჰისტოლოგიურად მელანომის იმიტაცია მოახდინონ.[12]

სამომავლო კვლევებში მიზანშეწონილია მელანოციტური ნევუსების მორფოლოგიური მახასიათებლების ინტეგრირება იმუნოჰისტოქიმიურ მარკერებთან, ციფრული პათოლოგიის რაოდენობრივ პარამეტრებთან და დერმატოსკოპიულ მონაცემებთან. ასეთი ინტეგრირებული მიდგომა საშუალებას მოგვცემს უფრო სრულყოფილად შევაფასოთ მელანოციტური დაზიანებების ბიოლოგიური თავისებურებები და უკეთ განვსაზღვროთ ის ფაქტორები, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს მათ კლინიკურ ქცევასთან.

დასკვნა

სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპის მელანოციტური ნევუსები ხასიათდებიან გამოხატული ჰისტომორფოლოგიური ჰეტეროგენულობით, რაც ვლინდება როგორც არქიტექტურულ, ისე ციტოლოგიურ და სტრომულ მახასიათებლებში.

მოსაზღვრე, ინტრადერმული, შედგენილი და ლურჯი ნევუსები უმეტეს შემთხვევაში ინარჩუნებენ სიმეტრიულ არქიტექტურას, მკაფიო შემოსაზღვრულობასა და სრულ მომწიფებას, მაშინ როდესაც დისპლაზიური და სპიცის ნევუსები უფრო ხშირად ხასიათდებიან ასიმეტრიით, არასრულად შემოსაზღვრული კონტურებითა და რიგ შემთხვევებში ატიპური ციტოლოგიური ცვლილებებით.

ანთებითი ინფილტრატის ინტენსივობა, ფიბროზული ცვლილებები და ციტოლოგიური ატიპია უფრო ხშირად აღინიშნება დისპლაზიურ და სპიცის ნევუსებში, რაც ადასტურებს მათი ჰისტომორფოლოგიური პროფილის განსხვავებულობას სხვა კეთილთვისებიანი მელანოციტური ნევუსებისგან.

რეციდივირებული შემთხვევები ძირითადად ასოცირდებოდა დისპლაზიური ნევუსის მორფოლოგიურ პროფილთან და ხასიათდებოდა არქიტექტურული დეზორგანიზაციით, ნაწილობრივი მომწიფებით, გამოხატული ანთებითი ცვლილებებით, ფიბროზითა და დადებითი ქირურგიული რეზექციის კიდეებით.

რუტინული ჰემატოქსილინ-ეოზინით (H&E) შესრულებული ჰისტომორფოლოგიური შეფასება წარმოადგენს მელანოციტური ნევუსების დიაგნოსტიკისა და კლინიკოპათოლოგიური შეფასების მნიშვნელოვან საფუძველს, ხოლო მისი ინტეგრირება იმუნოჰისტოქიმიურ, დერმოსკოპიულ და ციფრული პათოლოგიის მონაცემებთან მომავალში ხელს შეუწყობს მელანოციტური დაზიანებების ბიოლოგიური თავისებურებების უფრო სრულყოფილ შეფასებას.

გამოყენებული ლიტერატურა

[1] Daltro LR, Freitas RA, Souza C da S, Yaegashi LB, Fantini B de C. Atypical cellular blue nevus or malignant blue nevus? An Bras Dermatol 2017;92:110. https://doi.org/10.1590/ABD1806-4841.20174502.

[2] Zalaudek I, Conforti C, Guarneri F, Vezzoni R, Deinlein T, Hofmann-Wellenhof R, et al. Clinical and dermoscopic characteristics of congenital and noncongenital nevus-associated melanomas. J Am Acad Dermatol 2020;83:1080–7. https://doi.org/10.1016/J.JAAD.2020.04.120.

[3] Yeh I, Busam KJ. Spitz melanocytic tumours – a review. Histopathology 2022;80:122–34. https://doi.org/10.1111/HIS.14583.

[4] Mccarthy JM, Rootman J, Horsman D, White VA. Conjunctival and uveal melanoma in the dysplastic nevus syndrome. Surv Ophthalmol 1993;37:377–86. https://doi.org/10.1016/0039-6257(93)90068-I.

[5] Seregard S, Trampe E af, Månsson-Brahme E, Kock E, Bergenmar M, Ringborg U. Prevalence of Primary Acquired Melanosis and Nevi of the Conjunctiva and Uvea in the Dysplastic Nevus Syndrome: A Case-control Study. Ophthalmology 1995;102:1524–9. https://doi.org/10.1016/S0161-6420(95)30836-6 .

[6] Li WJ, Venkateswaran N, Antonietti M, Qureshi S, Galor A, Karp CL. Emerging Techniques in the Treatment of Conjunctival Melanoma. Curr Ophthalmol Rep 2025;13:7. https://doi.org/10.1007/s40135-025-00334-9.

[7] Shain AH, Bastian BC. From melanocytes to melanomas. Nat Rev Cancer 2016;16:345–58. https://doi.org/10.1038/NRC.2016.37.

[8] Salvati L, Palmieri G, De Giorgi V, Cossu A, Mandalà M, Massi D. Melanoma: Pathology and genetics. Encyclopedia of Cancer 2018:414–25. https://doi.org/10.1016/B978-0-12-801238-3.65095-X.

[9] de la Fouchardière A, Boivin F, Etchevers HC, Macagno N. Cutaneous Melanomas Arising during Childhood: An Overview of the Main Entities. Dermatopathology 2021;8:301–14. https://doi.org/10.3390/DERMATOPATHOLOGY8030036.

[10] Zalaudek I, Conforti C, Guarneri F, Vezzoni R, Deinlein T, Hofmann-Wellenhof R, et al. Clinical and dermoscopic characteristics of congenital and noncongenital nevus-associated melanomas. J Am Acad Dermatol 2020;83:1080–7. https://doi.org/10.1016/J.JAAD.2020.04.120.

[11] Pampena R, Lai M, Piana S, Lallas A, Pellacani G, Longo C. Nevus-associated melanoma: Facts and controversies. Giornale Italiano Di Dermatologia e Venereologia 2020;155:65–75. https://doi.org/10.23736/S0392-0488.19.06534-9.

[12] Dessinioti C, Geller AC, Stratigos AJ. A review of nevus-associated melanoma: What is the evidence? Journal of the European Academy of Dermatology and Venereology 2022;36:1927–36. https://doi.org/10.1111/jdv.18453.

Histomorphological heterogeneity of melanocytic nevi: clinicopathological features and assessment of progression potential

Khatuna Nodia[1]; Tamar Saladze[2]; Giorgi Burkadze[3]; Shota Kepuladze[4];

[1]PhD student at Tbilisi State Medical University; Doctor; Dermatovenereologist; [2]Associate Professor of the Department of Pathological Anatomy, Tbilisi State Medical University; Doctor, Pathologist; [3]Head of the Department of Molecular Pathology, Tbilisi State Medical University; Professor; Doctor, Pathologist; [4]Associate Professor of the Department of Molecular Pathology, Tbilisi State Medical University; Doctor; Pathologist

Abstract

Melanocytic nevi are the most common benign melanocytic lesions of the skin, which are characterised by significant histomorphological diversity. The assessment of architectural, cytological and stromal features of different histological types of nevi is critically important, both in differential diagnosis and in better understanding their biological behaviour.

The study aimed to assess the histomorphological heterogeneity of different histological types of melanocytic nevi, compare their clinicopathological features and identify morphological signs associated with progression. The retrospective study included histological material from 52 patients diagnosed with different types of melanocytic nevi. Hematoxylin-eosin (H&E) stained slides were used to assess the histological type of nevus, symmetry, circumscription, maturation, bordering component, Pagetoid spread, cytological atypia, inflammatory infiltrate, fibrosis, solar elastosis, pigmentation, ulcerative changes, and resection margin status. Data were analysed using IBM SPSS Statistics 29.0.

The study showed that melanocytic nevi of different histological types differed significantly in architectural and stromal characteristics. Bordering, intradermal, compound, and blue nevi were mostly symmetrical and well-circumscribed. In contrast, dysplastic and Spitz nevi were more often characterised by asymmetrical architecture, partial maturation, cytological atypia, and inflammatory changes. Recurrences were mainly associated with the dysplastic nevus group and were more common in cases with positive surgical resection margins.

Melanocytic nevi are characterised by marked histomorphological heterogeneity, which depends on their histological type. Routine histomorphological evaluation provides important information on clinicopathological features and morphological signs of progression and serves as a basis for subsequent immunohistochemical and digital pathology studies.
Keywords: Melanocytic nevus; heterogeneity; dysplastic nevus; Spitz nevus; recurrence; clinicopathological correlation.

ავტორთა შესახებ ინფორმაცია:
ხათუნა ნოდია - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტი; ექიმი; დერმატო-ვენეროლოგი; პოდოლოგი;
Khatuna Nodia – PhD Student at Tbilisi State Medical University; MD; Dermatologist;
Email: linkedin.com/in/khatuna-nodia-865895359
khatuna_nodia@yahoo.com

თამარ სალაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ექიმი, პათოლოგანატომი;
Tamar Saladze – Associate Professor at TSMU Pathology Department; MD, Pathologist;
Email: t.saladze@tsmu.edu

გიორგი ბურკაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
George Burkadze - Professor at Tbilisi State Medical University, Head of the Department of Molecular Pathology;
E-mail: burkadze@yahoo.com g.burkadze@tsmu.edu
Phone Number: 599578833
ORCID: https://orcid.org/0000-0002-5028-4537

შოთა კეპულაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ექიმი პათოლოგანატომი;
Shota Kepuladze – Associate Professor at Tbilisi State Medical University Molecular Pathology Department, MD, Clinical Pathologist;
E-mail: shota.kepuladze@gmail.com Sh.kepuladze@tsmu.edu
Phone Number: +995 598297600
ORCID: https://orcid.org/0000-0002-5919-5581

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 8 Issue 3, 2026
https://doi.org/10.52340/gs.2026.08.03.03



Parental Attitudes Toward Exclusive Breastfeeding

Shorena Kopaliani, MPH[1], Natia Kvaratskhelia, MD, MPH, PhD[2]

School of Health Sciences and Public Health, University of Georgia

Abstract

Globally 45% of infants under six months of age are exclusively breastfed (EBF), while malnutrition accounts for approximately 45% of all child deaths (United Nations Children's Fund)[1]. In low and middle-income countries 4% of infants are never breastfed, whereas in high-income countries this figure rises to 21% [2]. The study explores attitudes of mothers toward exclusive breastfeeding in Georgia's two big cities: Tbilisi and Batumi. Using a mixed-methods approach that included focus groups with pediatricians and a self-administered survey of 200 mothers in Tbilisi 92.9% of mothers reported practicing EBF, while in Batumi the rate was 95%. 86.5% believed they were exclusively breastfeeding even when providing other foods. Analysis demonstrated positive correlations between EBF and infant health (r = .667), maternal health (r = .236), and formula use (r = .224). Insights from focus groups underscored persistent challenges, such as the impact of aggressive formula marketing and systemic barriers.

Keywords

Exclusive breastfeeding, infants, dominant breastfeeding, formula feeding, breast milk

Introduction

Exclusive breastfeeding (EBF) is defined as feeding an infant only breast milk for the first six months of life, without the addition of any other food, water, or liquids.[3, 4] EBF is widely recognized as the optimal method for infant nutrition[5], with the potential to prevent over 820,000 child deaths annually.[6]

EBF for the full six months significantly reduces the incidence of gastrointestinal and respiratory infections among newborns.[7] Moreover, breastfeeding is associated with long-term health benefits for mothers, including a decreased risk of breast and ovarian cancers, type 2 diabetes, and hypertension.[8] The World Health Organization and UNICEF recommend initiating

exclusive breastfeeding within the first hour after birth to help protect newborns from infections such as diarrhea, pneumonia, and meningitis.[9]

Despite this benefit, health condition of the infant or mother may justify discontinuation or absence of breastfeeding.[10] Studies show that factors like postnatal depression,[11] maternal knowledge,[12] socio-economic status, delivery method and support services affect breastfeeding behavior. Philosophical perspectives have also been studied to understand and promote EBF.[13] Social and demographic factors continue to influence decisions of mothers, which indicates the need for focused public health efforts.[14] Lack of breastfeeding-friendly environments and strong marketing of formula still impact global breastfeeding rates.[15] However, programs offering breastfeeding support and professional advice have been effective in addressing issues like nipple pain and low milk supply.[16, 17, 18] WHO continues to stress the importance of enforcing policies and protecting breastfeeding from unethical marketing practices.[19, 20] The global rate of exclusive breastfeeding in 2018 was at 33%.[21]

Georgia has a longstanding cultural and public health commitment to breastfeeding. The country initiated its exclusive breastfeeding (EBF) programs in 1994. In 1999, Georgia enacted legislation aimed at protection and promotion of natural infant feeding practices.[22] However, institutional continuity was disrupted in 2006 with the dissolution of the National Breastfeeding Committee, presenting a significant challenge to coordinated policy implementation.[23] According to the 2018 Multiple Indicator Cluster Survey (MICS), only 20.4% of infants in Georgia were exclusively breastfed during the first six months of life. Regional disparities were also observed: the median duration of exclusive breastfeeding was reported as four months in Tbilisi and six months in Adjara.[24]

Methods

To ensure a comprehensive understanding of the research topic, a mixed-methods approach was employed, incorporating both, qualitative and quantitative methodologies. The study was conducted in July 2024 in two major urban centers of Georgia: Tbilisi and Batumi.

As part of the qualitative component, two focus group discussions were organized with a total of 11 pediatricians from primary healthcare facilities—one group in each city. Pediatricians were purposively selected based on their high levels of patient interaction and were invited to respond to five pre-formulated questions related to exclusive breastfeeding (EBF).

In parallel, a quantitative survey was administered among mothers residing in Tbilisi and Batumi who had infants under the age of one year. The questionnaire was designed to assess trust in available information and its role in influencing decisions of mothers regarding EBF. The survey comprised several thematic sections: (a) socio-demographic characteristics; (b) awareness and understanding of exclusive breastfeeding; (c) factors influencing breastfeeding decisions; (d) sources of information on EBF; (e) support received in developing breastfeeding skills; (f) beliefs and perceptions about breastfeeding, and (g) available support during the breastfeeding period.

The survey was conducted remotely via social media platforms, allowing broad access across the target population. Eligibility criteria for participation required that respondents had given birth at any gestational age and did not have any medical contraindications - either maternal or neonatal - that could hinder exclusive breastfeeding. Such conditions included, but were not limited to, neonatal hypoglycemia, birth weight under 1500 grams, maternal mastitis, HIV, hepatitis B/C, or herpes simplex virus type 1.

Quantitative data were analyzed using SPSS statistical software. The questionnaire was developed in Georgian and received approval from the Ethics Committee for Biomedical Research. Prior to participation, all respondents were informed about the purpose, procedures, and significance of the study.

Results

A total of 200 mothers participated in the study. Among them, 93.5% reported practicing exclusive breastfeeding (EBF), while 6.5% indicated that they did not. Of the total sample, 140 mothers resided in Tbilisi, where 92.9% reported practicing EBF and 7.1% did not. In Batumi, 60 mothers took part in the survey; among them, 95% practiced EBF, 5% did not, and 2% reported being unable to exclusively breastfeed due to health-related reasons - 1% due to the infant's medical condition and 1% due to the mother's own health concerns.

Regarding the age distribution of respondents, 6.5% were under the age of 18, 51.5% were between 18 and 29 years old, 39% between 30 and 40, and 3% were older than 41.

In the Tbilisi cohort, the highest rate of exclusive breastfeeding was observed among mothers aged 18–29 years (48.6%), while the lowest rate was recorded in the 41+ age group (2.1%). In Batumi, the highest rate of exclusive breastfeeding was among mothers aged 30–40 years (38.3%), with the lowest also in the 41+ age group (3.3%).

Regarding maternal education, in Tbilisi, the highest proportion of mothers practicing exclusive breastfeeding held a bachelor's degree (49.3%), while the lowest proportion had only secondary education (4.3%). Similarly, in Batumi, the majority of breastfeeding mothers had a bachelor's degree (41.7%), followed by those with secondary education (26.7%), and the lowest percentage held a doctoral degree (1.7%).

Across both cities, 91% of mothers who practiced exclusive breastfeeding were married, indicating a consistent trend across study locations. In terms of employment status, 47.5% of all surveyed mothers were employed, while 52.5% were temporarily unemployed. Among those practicing exclusive breastfeeding, 45% were employed and 55% unemployed, with a similar distribution observed in both Tbilisi and Batumi.

The majority of respondents (64%) were first-time mothers, of whom 59.5% practiced exclusive breastfeeding, while 41.5% did not. Among multiparous mothers (36%), 34% practiced exclusive breastfeeding and only 2% did not.

Knowledge levels regarding exclusive breastfeeding varied by location. In Tbilisi, among mothers practicing exclusive breastfeeding, 40% rated their knowledge as good, 17.1% as average, 35.7% as very good, and 7.2% reported having no information. In Batumi, 50% rated their knowledge as good, 13.3% as average, and 31.7% as very good.

Among the mothers surveyed, 86.5% believed they were practicing exclusive breastfeeding (EBF) even while providing their infants with liquids or solid foods, indicating a significant gap between perceived and medically defined EBF. Only 13.5% responded that they were not practicing EBF.

In terms of reasons for discontinuing EBF, 5% of mothers in Tbilisi cited the infant's health condition, while an equal percentage in Batumi attributed it to their own health condition.

The most frequently cited factor influencing the decision to breastfeed in both cities was personal motivation—reported by 57.9% in Tbilisi and 48.3% in Batumi. The least influential factors were advice from friends and having no influence at all.

Among mothers in Tbilisi practicing EBF, 92.9% believed it was beneficial for the health of the infant. However, 5.7% disagreed with its benefit to maternal health. In Batumi, 28.3% of mothers lacked knowledge about the maternal health benefits of breastfeeding—the highest proportion among the surveyed.

Regarding information sources, social media was the most commonly used in both cities (Tbilisi: 38.6%; Batumi: 45%), while scientific articles were the least accessed (10% overall). More mothers in Batumi relied on pediatricians (23.3%) compared to Tbilisi (15%), while fewer consulted scientific literature.

When asked about support for developing breastfeeding skills, most mothers reported receiving no professional help. In Batumi, 65% of mothers indicated a lack of support the highest figure compared to 44.3% in Tbilisi. The lowest reported sources of support were friends in Tbilisi (5%) and family members in Batumi (6.7%). Assistance from doctors was nearly identical across both cities (Tbilisi: 8.6%, Batumi: 8.3%), although other medical staff provided more support in Tbilisi (25%) than in Batumi (11.7%).

Among all mothers practicing EBF, 62% believed that breast milk cannot be fully replaced by formula, while 29.4% believed full replacement was possible, and 8.6% were unsure. In Tbilisi, 60.7% supported the irreplaceability of breast milk, 24.3% believed otherwise, and 15% were uncertain. In contrast, 35% of mothers in Batumi agreed that formula could fully substitute breast milk.

In total, 65.5% of breastfeeding mothers found information from pediatricians to be clear and understandable, while 35.5% did not—reflecting a similar trend in both cities.

Regarding pediatric visits, 65% of breastfeeding mothers in Tbilisi followed routine check-ups, 20.7% visited due to health concerns, and 14.3% did not respond. In Batumi, 46.7% adhered to routine schedules, while 41.3% visited out of concern; 12% did not answer.

Overall, 80.5% of mothers agreed that awareness of breastfeeding benefits increases motivation to breastfeed; 18.5% partially agreed, and only 1% disagreed. When asked whether formula poses a risk to child development, 34% believed it did not. In Tbilisi, 32.9% agreed, 48.5% partially agreed, and 18.6% disagreed. In Batumi, 28.3% agreed, 35% partially agreed, and 36.7% disagreed.

A small percentage (3%) of breastfeeding mothers reported using formula due to discomfort, while 58% continued breastfeeding despite discomfort, 13% sought medical consultation, and 29% selected "other".

Statistical analysis revealed:

- A strong positive correlation between belief in health benefits of breastfeeding for the infant and actual practice ($r = .667$).
- A moderate correlation between maternal health benefit awareness and breastfeeding practice ($r = .236$).
- A positive correlation between belief that breast milk cannot be replaced and EBF practice ($r = .224$).

As for qualitative data analysis, two online focus group discussions were held via Microsoft Teams with 11 pediatricians (7 in Tbilisi, 4 in Batumi), selected for their high patient engagement. Conversations addressed EBF-related knowledge, training, barriers, and patient communication.

Women in Georgia may interact with cancer in multiple roles: as patients seeking screening, diagnosis, and treatment; as family caregivers supporting relatives with advanced disease; as physicians, nurses, and health professionals delivering oncology and palliative care; and as researchers and educators contributing to cancer knowledge. Yet the structural conditions surrounding these roles may not be equally supportive. Regional disparities, financial vulnerability, limited access to psychosocial services, and late integration of palliative care may place an additional burden on women and families.

A gender-responsive cancer agenda for Georgia and similar systems could include several priorities. These include strengthening breast and cervical cancer screening participation, improving HPV vaccination awareness, expanding regional access to diagnostic and oncology

services, integrating palliative care earlier, developing caregiver support mechanisms, monitoring financial toxicity, and ensuring women's representation in cancer policy and leadership.

Importantly, gender-responsive cancer control should not be viewed as a narrow women's issue. It is a health system quality issue. When women cannot access timely diagnosis, when family caregivers are unsupported, when financial hardship interrupts treatment, or when women professionals are excluded from leadership, the entire cancer system becomes less effective and less equitable.

CONCLUSION

Women, power, and cancer are a critical public health issue. Cancer affects women not only through biological disease but also through gendered pathways of risk, access, care, labor, economics, and leadership. Women experience cancer as patients, survivors, caregivers, health workers, researchers, advocates, and policy-makers, yet unequal power relations continue to shape their opportunities and outcomes across the cancer continuum.

A strong cancer control strategy must move beyond a narrow focus on women's cancers and recognize the broader ways in which gender influences prevention, screening, diagnosis, treatment, survivorship, palliative care, caregiving, and professional advancement. Gender inequality can delay diagnosis, limit access to treatment, increase financial vulnerability, intensify the unpaid caregiving burden, and exclude women from decision-making structures that shape cancer policy.

Addressing these inequities requires coordinated action. Health systems should collect sex-disaggregated and equity-oriented data, expand access to prevention and screening, reduce financial barriers, integrate palliative care, support caregivers, and promote women's leadership in oncology. Cancer centers should incorporate financial navigation, psychosocial care, survivorship support, and caregiver assessment into routine practice. Policymakers should recognize affordability, caregiving, and gender-responsive service design as core components of cancer control.

As cancer care advances, equity must advance with it. Effective treatment is not enough if women cannot access it, complete it, afford it, or participate in shaping the systems that deliver it. Recognizing women, power, and cancer as a central public health priority is essential for building cancer systems that are more just, humane, patient-centered, and sustainable.

REFERENCES

Bray, F., Laversanne, M., Sung, H., Ferlay, J., Siegel, R. L., Soerjomataram, I., & Jemal, A. (2024). Global cancer statistics 2022: GLOBOCAN estimates of incidence and mortality worldwide for 36 cancers in 185 countries. *CA: A Cancer Journal for Clinicians, 74*(3), 229–263. https://doi.org/10.3322/caac.21834

Ginsburg, O., Vanderpuye, V. D., Beddoe, A. M., Bhoo-Pathy, N., Bray, F., Caduff, C., El Saghir, N. S., Fadhil, I., Jedy-Agba, E., Lopes, G., Ly, M., Ngan, H. Y. S., Rabeneck, L., Soerjomataram, I., & others. (2023). Women, power, and cancer: A Lancet Commission. *The Lancet, 402*(10417), 2113–2166. https://doi.org/10.1016/S0140-6736(23)01701-4

King's College London. (2023). *Focus on women, power and gender to transform cancer care: Lancet report*. https://www.kcl.ac.uk/news/women-power-and-gender-to-transform-cancer-care-lancet-report

National Cancer Institute. (2023). *Women, Power, and Cancer: A Lancet Commission*. https://www.cancer.gov/about-nci/organization/cgh/news-announcements/2023/lancet-commission-report-women-power-cancer

Union for International Cancer Control. (2023). *How gender inequities and power dynamics shape the global cancer landscape*. https://www.uicc.org/news-and-updates/news/how-gender-inequities-and-power-dynamics-shape-global-cancer-landscape

Union for International Cancer Control. (2026). *Women, power, and cancer: Implementing the Lancet Commission's recommendations*. https://www.uicc.org/online-course-women/power/and-cancer-implementing-lancet-commissions-recommendations

World Health Organization. (2020). *Global strategy to accelerate the elimination of cervical cancer as a public health problem*. World Health Organization. https://www.who.int/publications/i/item/9789240014107

World Health Organization. (2020). *World Health Assembly adopts global strategy to accelerate cervical cancer elimination*. https://www.who.int/news/item/19-08-2020-world-health-assembly-adopts-global-strategy-to-accelerate-cervical-cancer-elimination

World Health Organization. (n.d.). *Cervical Cancer Elimination Initiative*. https://www.who.int/initiatives/cervical-cancer-elimination-initiative

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 8 Issue 3, 2026
https://doi.org/10.52340/gs.2026.08.03.06

ქართული ენის ციფრული ტრანსფორმაცია: ხელოვნური ინტელექტისა და ენობრივი ტექნოლოგიების როლი

ირაკლი ბოჭორიშვილი[1]; თინათინ კილაძე[2]; ქეთევან კვესელავა[3]; ედიშერ ჩქარეული[4]

[1]საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ინფორმატიკის დოქტორი, Orcid:0009-0006-4165-3149, Irakli.bochorishvili@gtu.ge; [2]საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, https://orcid.org/0009-0009-9867-1294, tkiladze77@gmail.com; [3]საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ინფორმატიკის ინჟინერიის აკადემიური დოქტორი, სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი; https://orcid.org/0000-0002-1318-2750, q.kveselava@gtu.ge; [4]საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მასობრივი კომუნიკაციის აკადემიური დოქტორი, https://orcid.org/0009-0000-7753-0518

აბსტრაქტი

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა თანამედროვე საზოგადოების კომუნიკაციური, საგანმანათლებლო და საინფორმაციო გარემო. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ხელოვნური ინტელექტისა და ენობრივი ტექნოლოგიების ინტეგრაციამ, რომელმაც შექმნა ახალი შესაძლებლობები, როგორც გლობალური, ისე ნაკლებად გავრცელებული ენებისათვის. ქართული ენა, როგორც უნიკალური დამწერლობისა და მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობის მატარებელი ენა, თანამედროვე ციფრულ ეპოქაში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. ერთის მხრივ, საჭიროა მისი სრულფასოვანი ინტეგრაცია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებში, ხოლო მეორეს მხრივ — ენობრივი იდენტობისა და ნორმების დაცვა.

სტატიაში განხილულია ქართული ენის ციფრული ტრანსფორმაციის თანამედროვე ტენდენციები, ხელოვნური ინტელექტის როლი ენობრივი რესურსების განვითარებაში, ბუნებრივი ენის დამუშავების ტექნოლოგიების შესაძლებლობები, ავტომატური თარგმნის სისტემები, მეტყველების ამოცნობისა და სინთეზის პლატფორმები, მართლწერისა და გრამატიკის ავტომატური შემოწმების კორპუსების, ასევე დიდი ენობრივი მოდელების გავლენა ქართული ენის ციფრულ განვითარებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართული ენის კორპუსებს, ლექსიკური რესურსებისა და ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობას.

კვლევის მიზანია ქართული ენის ციფრული ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებების გაანალიზება, არსებული გამოწვევების შეფასება და იმ სტრატეგიული

ნაბიჯების განსაზღვრა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქართული ენის კონკურენტუნარიანობის ზრდას გლობალურ ციფრულ სივრცეში.

დასკვნები მიუთითებს, რომ ქართული ენის წარმატებული ციფრული ტრანსფორმაცია დიდწილად დამოკიდებულია ყოვლისმომცველი ენობრივი რესურსების, ღია მონაცემთა ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და აკადემიურ ინსტიტუტებს, სამთავრობო უწყებებსა და ტექნოლოგიურ სექტორს შორის მდგრად თანამშრომლობაზე. გარდა ამისა, ქართული ენის თანამედროვე ხელოვნური ინტელექტის სისტემებში ინტეგრაცია მოითხოვს ენის მოდელირების მიზანმიმართულ ძალისხმევას და გამოთვლითი ლინგვისტიკის კვლევაში ინვესტიციების გაზრდას.

სტატიაში ნათქვამია, რომ ქართული ენის ციფრული არსებობა არა მხოლოდ ტექნოლოგიური საკითხია, არამედ ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში კულტურული მდგრადობისა და ეროვნული სტრატეგიული განვითარების საკითხიც.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ხელოვნური ინტელექტი, ენობრივი ტექნოლოგიები, ბუნებრივი ენის დამუშავება, ციფრული ტრანსფორმაცია, ენობრივი რესურსები, დიდი ენობრივი მოდელები.

შესავალი

XXI საუკუნე ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქად მიიჩნევა, როდესაც ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები პრაქტიკულად ყველა სფეროში იქცა განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად. ხელოვნური ინტელექტის სწრაფმა პროგრესმა არა მხოლოდ ტექნოლოგიური პროცესები შეცვალა, არამედ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ენობრივ კომუნიკაციაზე, ცოდნის შექმნასა და გავრცელებაზე, განათლების სისტემასა და სახელმწიფო სერვისების ციფრულ განვითარებაზე. (Rishi Bommasani, 2021)

ბოლო ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებული განვითარება განიცადა ბუნებრივი ენის დამუშავების ტექნოლოგიებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექსტის ავტომატურ ანალიზს, კლასიფიკაციას, თარგმნას, შეჯამებას, დიალოგური სისტემების შექმნასა და ინფორმაციის ინტელექტუალურ დამუშავებას. დიდი ენობრივი მოდელების განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მრავალენოვანი ციფრული სისტემების შესაძლებლობები და შექმნა ახალი პერსპექტივები იმ ენებისთვისაც, რომელთა ციფრული რესურსები შეზღუდულია.

ქართული ენა მსოფლიო ენათა შორის ერთ-ერთი უნიკალური ენაა თავისი დამოუკიდებელი ანბანით, მდიდარი მორფოლოგიური სტრუქტურითა და მრავალსაუკუნოვანი წერილობითი ტრადიციით. ამასთანავე, მისი შედარებით მცირე ენობრივი ბაზა, შეზღუდული კორპუსები* და ნაკლებად განვითარებული ციფრული რესურსები ქმნიან გარკვეულ სირთულეებს თანამედროვე ხელოვნური ინტელექტის სისტემების განვითარებაში.

*კორპუსი არის ბუნებრივი მეტყველების ამსახველი მასალის ან ტექსტების მანქანურად წაკითხვადი კოლექცია, კორპუსი შესაძლოა შეიქმნას ენობრივი მასალის დეტალური შესწავლის მიზნით, ლინგვისტური თეორიების შესამუშავებლად, ან უკვე არსებული ლინგვისტური თეორიებისა თუ ჰიპოთეზების გადამოწმების მიზნით.

ციფრულ ეპოქაში ენის სიცოცხლისუნარიანობა აღარ განისაზღვრება მხოლოდ მისი ისტორიული მნიშვნელობით. თანამედროვე პირობებში გადამწყვეტი ხდება, თუ რამდენად ეფექტიანად არის ენა წარმოდგენილი ციფრულ გარემოში, რამდენად ხელმისაწვდომია მისი კორპუსები, ლექსიკონები, ანოტირებული მონაცემები, მეტყველების ბაზები და სხვა რესურსები, რომლებიც აუცილებელია ხელოვნური ინტელექტის მოდელების გასანვითარებლად. (Pratik Joshi, 2020)

ქართული ენის ციფრული ტრანსფორმაცია მოიცავს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებას: ენობრივი მონაცემების ციფრულ ფორმატში დაგროვებას, ეროვნული კორპუსების შექმნას, ავტომატური თარგმნის სისტემების სრულყოფას, მეტყველების ამოცნობასა და სინთეზს, მართლწერისა და გრამატიკის ავტომატურ შემოწმებას, ინტელექტუალური საძიებო სისტემების განვითარებასა და დიალოგური ხელოვნური ინტელექტის ქართულენოვანი შესაძლებლობების გაფართოებას.

ამ პროცესს არა მხოლოდ ტექნოლოგიური, არამედ კულტურული, საგანმანათლებლო და ეროვნული მნიშვნელობაც გააჩნია. ენის ციფრული განვითარება პირდაპირ უკავშირდება ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ეფექტიანობასა და საერთაშორისო საინფორმაციო სივრცეში ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. (UNESCO, 2021; OECD, 2024).

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მსოფლიოში ციფრული უთანასწორობა სულ უფრო მეტად განისაზღვრება არა მხოლოდ ინტერნეტზე წვდომით, არამედ იმითაც, თუ რამდენად სრულფასოვნად არის კონკრეტული ენა წარმოდგენილი ხელოვნური ინტელექტის სისტემებში. შესაბამისად, ქართული ენის ტექნოლოგიური განვითარება ეროვნული უსაფრთხოების, კულტურული დამოუკიდებლობისა და ციფრული სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი კომპონენტიც ხდება.

წინამდებარე კვლევის მიზანია ქართული ენის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესების კომპლექსური ანალიზი, ხელოვნური ინტელექტისა და ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი მიმართულებების შეფასება, არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და განვითარების პერსპექტიული რეკომენდაციების შემუშავება.

ასევე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რომ ჩაგვეტარებინა ემპირიული კვლევა, რომლის მიზანია, შეფასდეს ქართული ენის ციფრული ტრანსფორმაციის მიმდინარე მდგომარეობა, გამოიკვეთოს ხელოვნური ინტელექტისა და ენობრივი ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკა, შეფასდეს არსებული პრობლემები და განისაზღვროს განვითარების ძირითადი მიმართულებები.

კვლევა ასევე მიზნად ისახავს დაადგინოს, რამდენად არის ქართული ენა ინტეგრირებული თანამედროვე ხელოვნური ინტელექტის სისტემებში, რამდენად იყენებენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები ქართულენოვან ციფრულ ინსტრუმენტებს და რა მოლოდინები აქვთ მათ აღნიშნული ტექნოლოგიების მიმართ.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით.

მონაცემების შეგროვება განხორციელდა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. კითხვარი მოიცავდა 5 კითხვას. (იხილეთ დანართი 1)

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 220 რესპონდენტმა, მათ შორის:

კატეგორია	რაოდენობა	%
სტუდენტები	82	37.3
უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი	41	18.6
IT სპეციალისტები	36	16.4
საჯარო სექტორის თანამშრომლები	31	14.1
კერძო სექტორის წარმომადგენლები	30	13.6
	220	100

შედეგების შეჯამება

კვლევის შედეგები მიუთითებს რამდენიმე მნიშვნელოვან ტენდენციაზე.

პირველ რიგში, საქართველოში მნიშვნელოვნად იზრდება ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მასშტაბი, განსაკუთრებით განათლებისა და სამეცნიერო საქმიანობის სფეროებში. ეს მიუთითებს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესების გააქტიურებაზე და AI ტექნოლოგიების ყოველდღიურ პრაქტიკაში ინტეგრაციაზე.

მეორე მნიშვნელოვანი ტენდენცია უკავშირდება ქართული ენის მხარდაჭერის შეფასებას. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები დადებითად აფასებენ ბოლო წლებში მიღწეულ პროგრესს, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არსებული შესაძლებლობები ჯერ კიდევ არასაკმარისია. განსაკუთრებით პრობლემურ სფეროებად სახელდება სამეცნიერო ტერმინოლოგია, ავტომატური თარგმანი და მეტყველების ტექნოლოგიები.

კვლევის შედეგები ასევე ცხადყოფს, რომ რესპონდენტები პრიორიტეტულად მიიჩნევენ ეროვნული ენობრივი კორპუსების გაფართოებას, ღია მონაცემთა ბაზების შექმნასა და ქართული ენისთვის სპეციალიზებული AI მოდელების განვითარებას. ეს მიანიშნებს, რომ ტექნოლოგიური პროგრესი შეუძლებელია მაღალი ხარისხის ენობრივი რესურსების გარეშე.

ამგვარად ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწრაფად იზრდება და განსაკუთრებით აქტიურია აკადემიურ

და საგანმანათლებლო სივრცეში. ამავდროულად, ქართული ენის ტექნოლოგიური მხარდაჭერა კვლავ საჭიროებს სისტემურ განვითარებას. რესპონდენტთა შეფასებები ადასტურებს, რომ მომდევნო წლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეროვნული ტექსტური კორპუსების გაფართოებას, მეტყველების რესურსების შექმნას, ტერმინოლოგიური სტანდარტების განვითარებასა და უნივერსიტეტების, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის გაძლიერებას.

ძირითადი ნაწილი

ენობრივი ტექნოლოგიების განვითარება ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ სამეცნიერო მიმართულებად ჩამოყალიბდა. ბუნებრივი ენის დამუშავების თანამედროვე მეთოდები ეფუძნება მანქანურ სწავლებას, ღრმა ნეირონულ ქსელებს, ტრანსფორმერულ არქიტექტურებსა და დიდი მოცულობის ტექსტურ კორპუსებს. (Brown 2020; OpenAI, 2023).

საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ მაღალი ხარისხის ხელოვნური ინტელექტის სისტემების შექმნისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს არა მხოლოდ ალგორითმების დახვეწა, არამედ მრავალფეროვანი, ხარისხიანი და ანოტირებული ენობრივი რესურსების არსებობა.(Bender & Friedman, 2022). სწორედ ამიტომ მსოფლიოს განვითარებული სახელმწიფოები მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებენ ეროვნული ენობრივი კორპუსების, ლექსიკური მონაცემთა ბაზებისა და მეტყველების რესურსების განვითარებაში.

ნაკლებად გავრცელებული ენებისთვის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად რჩება მონაცემთა სიმცირე, დიალექტური მრავალფეროვნება, სტანდარტიზაციის საკითხები და ხარისხიანი ანოტირებული კორპუსების შეზღუდული მოცულობა. ეს ფაქტორები პირდაპირ აისახება ავტომატური თარგმნის, მეტყველების ამოცნობის, ტექსტის გენერაციისა და სხვა ენობრივი ტექნოლოგიების ეფექტიანობაზე.

ქართული ენის მიმართულებით ბოლო წლებში შეინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი. შეიქმნა ახალი კორპუსები, ელექტრონული ლექსიკონები, მორფოლოგიური ანალიზატორები, მართლწერის შემმოწმებელი სისტემები და მანქანური თარგმნის ექსპერიმენტული მოდელები. (Kamarauli, 2024). მიუხედავად ამისა, არსებული რესურსები ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმ მოცულობასა და მრავალფეროვნებას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე დიდი ენობრივი მოდელების ეფექტიანი განვითარებისთვის. (Pratik Joshi et al., 2020).

ქართული ენის ციფრული ტრანსფორმაციის თეორიული საფუძვლები

ციფრული ტრანსფორმაციის არსი და მნიშვნელობა

ციფრული ტრანსფორმაცია თანამედროვე საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროცესს წარმოადგენს, რომელიც მოიცავს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემურ ინტეგრაციას ეკონომიკაში, განათლებაში,

სახელმწიფო მმართველობაში, მეცნიერებასა და კულტურაში. აღნიშნული პროცესი მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვას არ გულისხმობს; იგი დაკავშირებულია ცოდნის შექმნის, დამუშავების, გავრცელებისა და გამოყენების ახალი მოდელების ჩამოყალიბებასთან. შესაბამისად, ციფრული ტრანსფორმაცია წარმოადგენს სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ტექნოლოგიურ ცვლილებათა ერთობლიობას, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის საზოგადოების ფუნქციონირების ფორმებს. (European Commission, 2026).

ენის კონტექსტში ციფრული ტრანსფორმაცია გულისხმობს იმ პირობების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკრეტული ენის სრულფასოვან ფუნქციონირებას ციფრულ გარემოში. ეს მოიცავს ენობრივი მონაცემების ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენას, ტექსტური და ხმოვანი რესურსების ციფრულ დამუშავებას, ავტომატური ანალიზის სისტემების განვითარებას, ინტელექტუალური საძიებო მექანიზმების შექმნასა და ხელოვნური ინტელექტის პლატფორმებთან ინტეგრაციას. (UNESCO, 2021)

ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში ენის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ფართოდაა წარმოდგენილი იგი თანამედროვე ტექნოლოგიურ სისტემებში. თუ ენა არ არის ინტეგრირებული ციფრულ პლატფორმებში, იგი თანდათან კარგავს ფუნქციურ შესაძლებლობებს, განსაკუთრებით განათლების, მეცნიერების, ბიზნესისა და საერთაშორისო კომუნიკაციის სფეროებში. ამიტომ ენის ციფრული განვითარება თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანად მიიჩნევა.

გლობალიზაციის პირობებში ციფრული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც ფართოდ გავრცელებულ, ასევე მცირე ენებზე. საერთაშორისო კვლევები მიუთითებს, რომ იმ ენებს, რომელთაც გააჩნიათ განვითარებული ციფრული ინფრასტრუქტურა, ფართო კორპუსები და თანამედროვე ენობრივი ტექნოლოგიები, გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ხელოვნური ინტელექტის განვითარებაში. ამავდროულად, შეზღუდული რესურსების მქონე ენები დამატებითი გამოწვევების წინაშე დგანან, რადგან თანამედროვე ალგორითმების სწავლება მოითხოვს დიდ მოცულობის მონაცემებს.

ამ კონტექსტში ქართული ენის ციფრული ტრანსფორმაცია არ არის მხოლოდ ტექნოლოგიური განვითარების საკითხი. იგი მოიცავს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ენობრივი იდენტობის, სამეცნიერო პოტენციალისა და ინფორმაციული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. თანამედროვე პირობებში ენის განვითარება პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფოს ციფრულ სუვერენიტეტს, რადგან ხელოვნური ინტელექტის სისტემებში კონკრეტული ენის არარსებობა ან არასრულფასოვანი წარმოდგენა ზღუდავს მისი გამოყენების შესაძლებლობას მრავალ სფეროში.

ქართული ენის სპეციფიკა ციფრულ გარემოში

ქართული ენა მსოფლიო ენათა შორის გამოირჩევა უნიკალური ანბანით, მდიდარი მორფოლოგიური აგებულებითა და რთული გრამატიკული სისტემით. მისი აგლუტინაციური და ნაწილობრივ ფლექსიური სტრუქტურა, ზმნის მრავალფეროვანი

ფორმები, ბრუნვების სისტემა და სიტყვაწარმოების მექანიზმები, მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ გამოწვევებს ქმნიან ბუნებრივი ენის დამუშავების პროცესში. (Jurafsky & Martin, 2023).

განსაკუთრებული სირთულე უკავშირდება ზმნის ფორმათა მრავალფეროვნებას. ერთი ზმნის ლექსიკური ერთეულიდან შესაძლებელია ასეულობით განსხვავებული ფორმის წარმოქმნა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მორფოლოგიურ ანალიზს, ავტომატურ ლემატიზაციას, სინტაქსურ ანოტაციასა და ტექსტის ავტომატურ დამუშავებას. ამასთანავე, ქართული ენის თავისუფალი სიტყვათა რიგი დამატებით ართულებს წინადადების სტრუქტურის ავტომატურ ანალიზს.

ქართული დამწერლობის უნიკალურობა ასევე განსაკუთრებულ მოთხოვნებს აყენებს პროგრამულ უზრუნველყოფასთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ Unicode-ის სტანდარტის დანერგვამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქართული ანბანის მხარდაჭერა, კვლავ არსებობს გამოწვევები ოპტიკური სიმბოლოების ამოცნობის (OCR), ისტორიული ტექსტების ციფრულიზაციის, ძველი ხელნაწერების ავტომატური დამუშავებისა და მრავალფონტიანი ტექსტების ანალიზის მიმართულებით. (Bender & Friedman, 2022).

თანამედროვე ციფრული ეკოსისტემა ეფუძნება დიდი მოცულობის ტექსტურ მონაცემებს. ქართულ ენაზე არსებული მონაცემები, მიუხედავად ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ზრდისა, კვლავ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ ან ჩინურ ენებზე არსებულ კორპუსებს. მონაცემთა შეზღუდული მოცულობა პირდაპირ აისახება ხელოვნური ინტელექტის მოდელების სიზუსტესა და შესაძლებლობებზე.

ენობრივი რესურსების მნიშვნელობა

ენობრივი რესურსი წარმოადგენს თანამედროვე ხელოვნური ინტელექტის საფუძველს. მათში მოიაზრება ტექსტური კორპუსები, ელექტრონული ლექსიკონები, ტერმინოლოგიური ბაზები, ანოტირებული მონაცემები, პარალელური ტექსტები, მეტყველების აუდიოკორპუსები, დიალექტური მონაცემები და სხვა ციფრული რესურსები.

თანამედროვე ნეირონული მოდელების განვითარება პირდაპირ არის დამოკიდებული მონაცემთა მოცულობასა და ხარისხზე. მაღალი ხარისხის ენობრივი რესურსები უზრუნველყოფს ტექსტის ავტომატური კლასიფიკაციის, ინფორმაციის ამოღების, მანქანური თარგმნის, მეტყველების ამოცნობის, ტექსტის გენერაციისა და დიალოგური სისტემების ეფექტიან მუშაობას.

ქართული ენისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული კორპუსების გაფართოებას. აუცილებელია სხვადასხვა ჟანრის ტექსტების — მხატვრული ლიტერატურის, სამეცნიერო ნაშრომების, საკანონმდებლო დოკუმენტების, მედიის, სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული მასალებისა და სასაუბრო მეტყველების — სისტემური შეგროვება და ანოტაცია. მონაცემთა მრავალფეროვნება ზრდის

ალგორითმების უნარს, უკეთ შეისწავლონ ენის სტრუქტურა და გამოყენების კონტექსტები.

ენობრივი რესურსების განვითარება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესისთვის, არამედ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ციფრული შენარჩუნებისთვისაც. ძველი ხელნაწერების, ისტორიული დოკუმენტებისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის ციფრულიზაცია ქმნის შესაძლებლობას, ეს მასალა ხელმისაწვდომი გახდეს როგორც სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ასევე ხელოვნური ინტელექტის სისტემებისთვის.

ქართული ენის ციფრული ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებები

ქართული ენის თანამედროვე ციფრული განვითარება მოიცავს რამდენიმე სტრატეგიულ მიმართულებას:

პირველი მიმართულებაა ეროვნული ენობრივი მონაცემების სისტემური დაგროვება. აუცილებელია დიდი მოცულობის ღია ტექსტური და ხმოვანი რესურსების შექმნა, რომლებიც გამოყენებული იქნება კვლევით და ტექნოლოგიურ პროექტებში.

მეორე მიმართულებაა ბუნებრივი ენის დამუშავების ინსტრუმენტების განვითარება. ეს მოიცავს მორფოლოგიურ ანალიზატორებს,* სინტაქსურ პარსერებს,* სახელობითი ერთეულების ამომცნობ სისტემებს, ტექსტის კლასიფიკაციის მოდელებსა და სემანტიკური ანალიზის პლატფორმებს.

მესამე მიმართულებაა ავტომატური თარგმნის სისტემების გაუმჯობესება. ქართული ენის საერთაშორისო ინტეგრაციისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მრავალენოვანი ნეირონული მოდელების განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის თარგმანს ქართულსა და სხვა ენებს შორის.

მეოთხე მიმართულებაა მეტყველების ტექნოლოგიები, რომლებიც მოიცავს მეტყველების ამოცნობას, ხმოვანი ასისტენტების განვითარებასა და ტექსტის ხმოვან სინთეზს. აღნიშნული მიმართულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლების, სახელმწიფო სერვისებისა და ინკლუზიური ტექნოლოგიების განვითარებისათვის.

მეხუთე მიმართულებაა გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ქართულენოვანი შესაძლებლობების გაფართოება. თანამედროვე დიდი ენობრივი მოდელები უკვე მხარს უჭერენ ქართულ ენას, თუმცა მათი ხარისხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმ მონაცემებზე, რომლებზეც ისინი ვითარდება. შესაბამისად, ქართული ენის ციფრული რესურსების ზრდა პირდაპირ განსაზღვრავს მომავალში ამ სისტემების ეფექტიანობასა და სიზუსტეს. (Vaswani, A, 2017); Vaswani et al., 2017; Brown et al., 2020).

*მორფოლოგიური ანალიზატორი არის პროგრამული ინსტრუმენტი, რომელიც ტექსტის სიტყვებს შლის კომპონენტებად (ფუძე, აფიქსი) და ადგენს მათ გრამატიკულ მახასიათებლებს (მეტყველების ნაწილი, ბრუნვა, პირი, დრო). მისი გამოყენება აადვილებს ტექსტის ავტომატიზებულ დამუშავებას, მთარგმნელობით პროგრამებსა და ორთოგრაფიული შეცდომების გასწორებას

*პარსერი (Parser) არის პროგრამული უზრუნველყოფა ან კოდის ნაწილი, რომელიც სხვადასხვა წყაროდან (ვებსაიტები, დოკუმენტები, ფაილები) არასტრუქტურირებულ ინფორმაციას კითხულობს, ამუშავებს და მომხმარებლისთვის ან პროგრამისთვის სასურველ, სტრუქტურირებულ ფორმატში (მაგალითად: Excel, JSON, CSV ან მონაცემთა ბაზა) გარდაქმნის

ხელოვნური ინტელექტი და ბუნებრივი ენის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები

ხელოვნური ინტელექტის (Artificial Intelligence – AI) სწრაფმა განვითარებამ XXI საუკუნეში მნიშვნელოვნად შეცვალა ინფორმაციის შექმნის, დამუშავებისა და გავრცელების პროცესები. თუ თავდაპირველად ხელოვნური ინტელექტის სისტემები ეფუძნებოდა წესებზე დაფუძნებულ (Rule-Based) ალგორითმებს, თანამედროვე ეტაპზე დომინანტური გახდა მონაცემებზე დაფუძნებული მანქანური სწავლების (Machine Learning) და ღრმა სწავლების (Deep Learning) მეთოდები. ამ ცვლილებამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ბუნებრივი ენის დამუშავების (Natural Language Processing – NLP) განვითარებაზე. (Joshi al., 2020).

ბუნებრივი ენის დამუშავება წარმოადგენს ინტერდისციპლინურ მიმართულებას, რომელიც აერთიანებს ლინგვისტიკას, კომპიუტერულ მეცნიერებას, მათემატიკასა და ხელოვნურ ინტელექტს. მისი ძირითადი მიზანია ისეთი ალგორითმების შექმნა, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანის ენის გააზრება, ანალიზი, გენერირება და ეფექტიანი გამოყენება. (Jurafsky & Martin, 2023). თანამედროვე NLP-ის ამოცანებია ტექსტის კლასიფიკაცია, ინფორმაციის ამოღება, ავტომატური თარგმნა, ემოციების ანალიზი, დიალოგური სისტემების შექმნა, ტექსტის შეჯამება, კითხვებზე პასუხის გაცემა და ტექსტის გენერაცია.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებული პროგრესი დაკავშირებულია ტრანსფორმერულ (Transformer) არქიტექტურასთან, რომელმაც შეცვალა ენობრივი მოდელების განვითარების მიდგომები. ტრანსფორმერული მოდელები მნიშვნელოვნად აჭარბებენ წინა თაობის რეკურენტულ და კონვოლუციურ ნეირონულ ქსელებს, რადგან შეუძლიათ გრძელ ტექსტებში კონტექსტური კავშირების ეფექტიანად დამუშავება. სწორედ ამ არქიტექტურაზეა დაფუძნებული თანამედროვე დიდი ენობრივი მოდელები (Large Language Models – LLMs), რომლებიც მრავალენოვან მონაცემებზე სწავლობენ და შეუძლიათ სხვადასხვა ენობრივი ამოცანის შესრულება. (Kamarauli, 2024).

თანამედროვე ბუნებრივი ენის დამუშავება მოიცავს რამდენიმე ძირითად მიმართულებას:

პირველი მიმართულებაა მორფოლოგიური ანალიზი, რომლის მიზანია სიტყვის გრამატიკული სტრუქტურის განსაზღვრა. ქართული ენისთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სიტყვათა ფორმების მრავალფეროვნება, ზმნური სისტემის სირთულე და ბრუნვების სიმრავლე ავტომატურ ანალიზს მნიშვნელოვნად ართულებს.

მეორე მიმართულებაა სინტაქსური ანალიზი, რომელიც განსაზღვრავს სიტყვებს შორის გრამატიკულ კავშირებს. ქართული ენის თავისუფალი სიტყვათა რიგი ამ მიმართულებით დამატებით გამოწვევებს წარმოშობს, რის გამოც აუცილებელია სპეციალიზებული ალგორითმების განვითარება.

მესამე მიმართულებას წარმოადგენს სემანტიკური ანალიზი, რომლის ამოცანაა ტექსტის მნიშვნელობის ინტერპრეტაცია. თანამედროვე ნეირონული მოდელები

ცდილობენ არა მხოლოდ სიტყვების, არამედ მთლიანი ტექსტის კონტექსტური მნიშვნელობის გააზრებას.

მეოთხე მიმართულებაა ტექსტის გენერაცია, რომელიც გულისხმობს ადამიანის მსგავსი ტექსტების ავტომატურად შექმნას. ეს ტექნოლოგია გამოიყენება ჩატბოტებში, ინტელექტუალურ ასისტენტებში, საგანმანათლებლო პლატფორმებში, ჟურნალისტიკაში, პროგრამირებასა და სამეცნიერო საქმიანობაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მანქანურ თარგმანს, რომელიც თანამედროვე ნეირონული ქსელების გამოყენებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, ქართული ენის სპეციფიკური გრამატიკული სტრუქტურა კვლავ წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას ავტომატური თარგმნის სისტემებისთვის.

დიდი ენობრივი მოდელები და ქართული ენა

დიდი ენობრივი მოდელები (Large Language Models – LLMs) ხელოვნური ინტელექტის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს. ისინი სწავლობენ მილიარდობით სიტყვაზე და ქმნიან ენის სტატისტიკურ წარმოდგენას, რაც მათ საშუალებას აძლევს შეასრულონ სხვადასხვა ამოცანა: ტექსტის შექმნა, თარგმნა, შეჯამება, კოდის გენერაცია, ინფორმაციის მოძიება და ანალიზი. (Stefanovitch et al., 2022).

ქართულ ენასთან მიმართებით დიდი ენობრივი მოდელების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქართულენოვანი მონაცემების რაოდენობასა და ხარისხზე. თუ მოდელი სწავლობს შეზღუდული მოცულობის ქართულ ტექსტებზე, მისი პასუხების სიზუსტე, ტერმინოლოგიური თანმიმდევრულობა და კონტექსტის გააზრების უნარი მცირდება.

ამ მიზეზით, ქართული ენისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ღია ტექსტური კორპუსების, აკადემიური ლიტერატურის, მედიის არქივების, საკანონმდებლო დოკუმენტების, ისტორიული ტექსტებისა და პარალელური კორპუსების სისტემურ გაფართოებას. რაც უფრო მრავალფეროვანია მონაცემები, მით უფრო მაღალი ხარისხის გახდება ქართულენოვანი ხელოვნური ინტელექტის სისტემები. (Mikaberidze et al., 2024).

თანამედროვე დიდი ენობრივი მოდელები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ განათლებაში, სახელმწიფო მმართველობაში, მეცნიერებაში, ბიზნესსა და მედიცინაში. მათ შეუძლიათ ავტომატურად შექმნან დოკუმენტები, შეაჯამონ დიდი მოცულობის ტექსტები, უპასუხონ მომხმარებლის კითხვებს, დაეხმარონ პროგრამისტებს, მკვლევრებსა და სტუდენტებს. შესაბამისად, ქართული ენის სრულფასოვანი ინტეგრაცია ასეთ სისტემებში არა მხოლოდ ტექნოლოგიური, არამედ სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანაა.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრაქტიკული მიმართულებები ქართულ ენაში

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების პრაქტიკული დანერგვა ქართულენოვან გარემოში უკვე რამდენიმე მიმართულებით ვითარდება.

განათლების სფეროში AI გამოიყენება სასწავლო მასალების ავტომატური გენერაციისთვის, ტესტების შექმნისთვის, მართლწერისა და გრამატიკის შემოწმებისთვის, ინდივიდუალური სასწავლო რეკომენდაციების ფორმირებისა და სასწავლო პროცესის პერსონალიზაციისთვის.

სახელმწიფო სექტორში ხელოვნური ინტელექტი ხელს უწყობს დოკუმენტების კლასიფიკაციას, ადმინისტრაციული პროცესების ავტომატიზაციას, ელექტრონული სერვისების გაუმჯობესებასა და მოქალაქეთა მომსახურების ეფექტიანობის ზრდას.

სამეცნიერო კვლევებში AI გამოიყენება დიდი მოცულობის ტექსტური მონაცემების ანალიზისთვის, ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის ორგანიზებისთვის, სამეცნიერო ტექსტების შეჯამებისა და კვლევითი ტენდენციების იდენტიფიცირებისთვის.

მედიასა და ჟურნალისტიკაში ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება ახალი ამბების კლასიფიკაციისთვის, ავტომატური რედაქტირებისთვის, ტექსტების შეჯამებისა და კონტენტის გენერაციისთვის. თუმცა ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინფორმაციის სიზუსტეს, წყაროების სანდოობასა და ეთიკურ სტანდარტებს.

ქართული ენის ციფრული განვითარების ძირითადი გამოწვევები

მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, ქართული ენის ციფრული ტრანსფორმაცია კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა მაღალხარისხიანი, ანოტირებული და ღია ენობრივი მონაცემების სიმცირე. თანამედროვე AI სისტემები ეფექტიანად ფუნქციონირებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც სწავლობენ მრავალფეროვან და დიდი მოცულობის მონაცემებზე. ქართულ ენაზე ასეთი რესურსები ჯერ კიდევ შეზღუდულია.

მეორე გამოწვევას წარმოადგენს ტერმინოლოგიური სტანდარტიზაცია. განსაკუთრებით ტექნოლოგიურ და სამეცნიერო სფეროებში ხშირად გამოიყენება უცხოენოვანი ტერმინები, რაც ართულებს როგორც ადამიანურ, ისე ავტომატურ კომუნიკაციას. აუცილებელია თანამედროვე ქართული სამეცნიერო და ტექნოლოგიური ტერმინოლოგიის სისტემური განვითარება.

მნიშვნელოვანი გამოწვევაა ასევე სპეციალისტების დეფიციტი. ქართული ენის ტექნოლოგიური განვითარება საჭიროებს ლინგვისტების, კომპიუტერული მეცნიერების სპეციალისტების, მონაცემთა ანალიტიკოსების, პროგრამისტებისა და ხელოვნური ინტელექტის მკვლევრების მჭიდრო თანამშრომლობას. სწორედ ინტერდისციპლინური თანამშრომლობა განსაზღვრავს ამ სფეროში წარმატების ხარისხს.

გარდა ამისა, აუცილებელია ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩოების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას, საავტორო უფლებების პატივისცემას, ალგორითმების გამჭვირვალობასა და ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიან გამოყენებას.

აღსანიშნავია, რომ ქართული ენის ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებისთვის საჭიროა სახელმწიფოს, აკადემიური და კერძო სექტორების კოორდინირებული თანამშრომლობა. სტრატეგიულ პრიორიტეტებად უნდა განისაზღვროს ეროვნული

ენობრივი კორპუსების გაფართოება, ღია მონაცემთა ბაზების შექმნა, დიალექტური და ისტორიული მასალის ციფრულიზაცია, მეტყველების რესურსების განვითარება, AI-ზე დაფუძნებული ქართულენოვანი პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა და საერთაშორისო კვლევით პროექტებში აქტიური მონაწილეობა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში ენობრივი ტექნოლოგიების ლაბორატორიების განვითარებას, ახალგაზრდა მკვლევრების მომზადებასა და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერებას. აღნიშნული ნაბიჯები შექმნის საფუძველს, რომ ქართული ენა სრულფასოვნად იყოს წარმოდგენილი თანამედროვე ციფრულ ეკოსისტემასა და ხელოვნური ინტელექტის მომავალ თაობის სისტემებში.

ქართული ენის ციფრული რესურსები და თანამედროვე ინფრასტრუქტურა

ხელოვნური ინტელექტისა და ბუნებრივი ენის დამუშავების სისტემების ეფექტიანობა პირდაპირ არის დამოკიდებული ენობრივი რესურსების ხარისხსა და მრავალფეროვნებაზე. თანამედროვე ალგორითმები სწავლობენ დიდი მოცულობის ტექსტურ და ხმოვან მონაცემებზე, რის საფუძველზეც ახერხებენ ენობრივი კანონზომიერებების ამოცნობას, კონტექსტის გააზრებასა და ახალი ტექსტების გენერირებას. შესაბამისად, ენობრივი რესურსები წარმოადგენს იმ ინფრასტრუქტურულ საფუძველს, რომელზეც შენდება თანამედროვე ციფრული ეკოსისტემა.

ენობრივი რესურსები მოიცავს ტექსტურ კორპუსებს, ელექტრონულ ლექსიკონებს, ტერმინოლოგიურ ბაზებს, მორფოლოგიურ და სინტაქსურ ანოტაციებს, პარალელურ კორპუსებს, მეტყველების აუდიომონაცემებს, დიალექტურ მასალებსა და ისტორიული ტექსტების ციფრულ არქივებს. თითოეულ მათგანს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, თუმცა მათი ერთობლივი გამოყენება ქმნის სრულფასოვან გარემოს თანამედროვე ხელოვნური ინტელექტის სისტემების განვითარებისათვის.

მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ იმ ქვეყნებს, რომლებმაც ეროვნული ენობრივი რესურსების შექმნა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად აქციეს, გაცილებით სწრაფად შეძლეს ხელოვნური ინტელექტის საკუთარ ენაზე განვითარება. სწორედ ამიტომ ქართული ენის ციფრული ინფრასტრუქტურის გაფართოება უნდა განიხილებოდეს როგორც ეროვნული მნიშვნელობის სტრატეგიული ამოცანა.

ქართულ ენაზე ბოლო წლებში შეიქმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი კორპუსი, რომლებმაც ხელი შეუწყო ლინგვისტიკური კვლევებისა და პროგრამული ინსტრუმენტების განვითარებას. მიუხედავად ამისა, მათი მოცულობა, ჟანრული მრავალფეროვნება და ანოტაციის ხარისხი ჯერ კიდევ ვერ პასუხობს თანამედროვე დიდი ენობრივი მოდელების მოთხოვნებს. (Kamarauli, M. 2024); (Irina Lobzhanidze, 2024); (ქეთევან მჭედლიშვილი, 2024).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი ტექსტების ციფრულ დამუშავებას, როგორიცაა:

- კლასიკური და თანამედროვე ქართული ლიტერატურა;

- სამეცნიერო პუბლიკაციები;
- საკანონმდებლო და ადმინისტრაციული დოკუმენტები;
- მედიისა და საინფორმაციო სააგენტოების მასალები;
- აკადემიური სახელმძღვანელოები;
- დიალექტური ტექსტები;
- ისტორიული ხელნაწერები;
- სასაუბრო ენის ტრანსკრიფციები.

ასეთი მრავალფეროვანი მონაცემები მნიშვნელოვნად ზრდის ხელოვნური ინტელექტის უნარს, სწორად გაიაზროს ენის სტრუქტურა, ტერმინოლოგია და გამოყენების სხვადასხვა კონტექსტი.

ელექტრონული ლექსიკონები და ტერმინოლოგიური ბაზები

ელექტრონული ლექსიკონები თანამედროვე ენობრივი ტექნოლოგიების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს. ისინი გამოიყენება როგორც ადამიანების მიერ ინფორმაციის მოსაძიებლად, ისე ავტომატური სისტემების მიერ სიტყვათა მნიშვნელობების, გრამატიკული მახასიათებლებისა და სემანტიკური კავშირების დასადგენად.

ქართული ენის შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მრავალდონიან ლექსიკოგრაფიულ რესურსებს, რომლებიც მოიცავს:

- განმარტებით ლექსიკონებს;
- ორთოგრაფიულ ლექსიკონებს;
- სინონიმებისა და ანტონიმების ბაზებს;
- ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს;
- ფრაზეოლოგიურ მონაცემთა ბაზებს;
- მრავალენოვან ლექსიკონებს.

სამეცნიერო და ტექნოლოგიური ტერმინოლოგიის სწრაფი განვითარება საჭიროებს მუდმივ განახლებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელოვნური ინტელექტის, კიბერუსაფრთხოების, მონაცემთა მეცნიერების, ბიოინფორმატიკისა და ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით ქართული ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია. ერთიანი ტერმინოლოგიური პოლიტიკა ხელს შეუწყობს როგორც სამეცნიერო კომუნიკაციას, ისე ავტომატური თარგმნისა და ტექსტის ანალიზის სისტემების ხარისხის გაუმჯობესებას.

მეტყველების ტექნოლოგიები

ტექსტური მონაცემების გარდა, თანამედროვე ხელოვნური ინტელექტი ფართოდ იყენებს ხმოვან რესურსებს. მეტყველების ამოცნობის (Automatic Speech Recognition – ASR) და ტექსტის ხმოვან სინთეზის (Text-to-Speech – TTS) სისტემები სულ უფრო

მნიშვნელოვან როლს ასრულებს განათლებაში, მედიცინაში, სახელმწიფო სერვისებში, მობილურ ტექნოლოგიებსა და ინკლუზიურ კომუნიკაციაში.

ქართული ენისთვის ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა:

- მაღალხარისხიანი აუდიოკორპუსების სიმცირე;
- რეგიონული დიალექტებისა და კილოების არასაკმარისი წარმოდგენა;
- ასაკობრივი და სოციალური მრავალფეროვნების ნაკლებობა;
- პროფესიული ტერმინოლოგიის შეზღუდული რაოდენობა;
- სპონტანური მეტყველების მცირე მოცულობა.

აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია მრავალსაათიანი ხმოვანი მონაცემების შეგროვება, ანოტაცია და ღია სამეცნიერო რესურსების სახით გამოქვეყნება. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქართულენოვანი ხმოვანი ასისტენტების, მობილური აპლიკაციებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის განკუთვნილი ტექნოლოგიების ხარისხს.

ქართული ენის ციფრულიზაცია და კულტურული მემკვიდრეობა

ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ხელნაწერების, არქივებისა და ბეჭდური გამოცემების სახით არის დაცული. მათი ციფრულიზაცია მხოლოდ ისტორიული დოკუმენტების შენარჩუნებას არ ემსახურება; იგი ქმნის ახალი თაობის კვლევით რესურსებს, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელოვნური ინტელექტის სისტემების სწავლებისთვის.

ისტორიული ტექსტების ციფრული დამუშავება რამდენიმე ეტაპს მოიცავს: დოკუმენტების სკანირებას, ოპტიკური სიმბოლოების ამოცნობას (OCR), ტექსტის კორექტირებას, ანოტაციასა და სტრუქტურირებულ მონაცემთა ბაზებში ინტეგრაციას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძველი ქართული დამწერლობის (ასომთავრული, ნუსხური და მხედრული) ციფრულ მხარდაჭერას, რაც მომავალში შესაძლებელს გახდის ისტორიული ტექსტების ავტომატურ ანალიზსა და კვლევას.

კულტურული მემკვიდრეობის ციფრულიზაცია ასევე ხელს უწყობს საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობას, რადგან ქართული ისტორიული წყაროები უფრო ხელმისაწვდომი ხდება უცხოელი მკვლევრებისათვის.

მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტებისა, ქართული ენის ციფრული ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა. არსებული გამოწვევები რამდენიმე ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს.

პირველი გამოწვევა დაკავშირებულია მონაცემთა მოცულობასთან. თანამედროვე გენერაციული ხელოვნური ინტელექტის სისტემების სწავლებისთვის საჭიროა მილიარდობით სიტყვა, მაშინ როდესაც ქართულ ენაზე ღია და სტრუქტურირებული მონაცემები შედარებით შეზღუდულია.

მეორე პრობლემა არის რესურსების ფრაგმენტაცია. სხვადასხვა ინსტიტუციის მიერ შექმნილი კორპუსები, ლექსიკონები და მონაცემთა ბაზები ხშირად ერთმანეთთან

შეუთავსებელია, რაც ზღუდავს მათი ერთიან ეკოსისტემაში ინტეგრაციის შესაძლებლობას.

მესამე გამოწვევაა სამართლებრივი და ეთიკური საკითხები. აუცილებელია საავტორო უფლებების, პერსონალური მონაცემების დაცვისა და ღია ლიცენზიების ისეთი სისტემის განვითარება, რომელიც ერთდროულად დაიცავს ავტორების ინტერესებს და ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევებს.

მეოთხე გამოწვევას წარმოადგენს კვალიფიციური ადამიანური რესურსის სიმცირე. თანამედროვე ენობრივი ტექნოლოგიების განვითარება მოითხოვს ლინგვისტების, პროგრამისტების, მონაცემთა მეცნიერების სპეციალისტების, ხელოვნური ინტელექტის მკვლევრებისა და დარგობრივი ექსპერტების ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას.

აღსანიშნავია, რომ ქართული ენის ციფრული განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს რამდენიმე ძირითად პრინციპს:

- ეროვნული ენობრივი რესურსების სისტემური გაფართოება;
- ღია მონაცემთა პოლიტიკის მხარდაჭერა;
- აკადემიური, სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობის გაძლიერება;
- ქართული ენის ტექნოლოგიური სტანდარტების შემუშავება;
- საერთაშორისო კვლევით პროექტებში ინტეგრაცია;
- ხელოვნური ინტელექტის კვლევისა და განვითარების ეროვნული ცენტრების მხარდაჭერა;
- ახალგაზრდა მკვლევრებისა და სპეციალისტების მომზადება.

აღნიშნული მიმართულებების თანმიმდევრული განხორციელება უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქართული ენის სრულფასოვან ინტეგრაციას თანამედროვე ციფრულ ეკოსისტემაში, არამედ გაზრდის საქართველოს სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ტექნოლოგიურ კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო დონეზე.

საერთაშორისო გამოცდილება მცირე ენების ციფრული ტრანსფორმაციის სფეროში

მცირე ენების ციფრული განვითარების თანამედროვე ტენდენციები

ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში ენის სიცოცხლისუნარიანობა სულ უფრო მეტად განისაზღვრება მისი წარმომადგენლობით ციფრულ გარემოში. თუ წარსულში ენის განვითარების ძირითად ფაქტორებად მიიჩნეოდა დემოგრაფიული მაჩვენებლები, განათლების სისტემა და კულტურული ტრადიცია, დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად არის კონკრეტული ენა წარმოდგენილი ხელოვნური ინტელექტის სისტემებში, ციფრულ პლატფორმებსა და ენობრივ ტექნოლოგიებში.

მცირე ენებისათვის ეს გამოწვევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან თანამედროვე გენერაციული ხელოვნური ინტელექტის სისტემები ეფექტიანად ფუნქციონირებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ ხელმისაწვდომი აქვთ დიდი მოცულობის, მრავალფეროვანი და მაღალხარისხიანი ენობრივი მონაცემები. სწორედ

ამიტომ არაერთმა ქვეყანამ ეროვნული ენობრივი რესურსების განვითარება სახელმწიფო სტრატეგიის ნაწილად აქცია. (OECD, 2024).

ესტონეთის გამოცდილება

ესტონეთი ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მაგალითად მიიჩნევა მცირე ენის ციფრული განვითარების მიმართულებით. ქვეყნის ციფრული განვითარების პოლიტიკა ეფუძნება სახელმწიფოს, უნივერსიტეტებისა და კერძო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეროვნული ენობრივი კორპუსების განვითარებას, სახელმწიფო დოკუმენტების ციფრულ ფორმატში ხელმისაწვდომობას, ელექტრონულ მმართველობასა და ხელოვნური ინტელექტის დანერგვას საჯარო სერვისებში.

ესტონეთის გამოცდილება ცხადყოფს, რომ მცირე მოსახლეობის მიუხედავად შესაძლებელია ისეთი ენობრივი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ენის ეფექტიან გამოყენებას როგორც ადმინისტრაციულ, ისე საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში. (European Commission, 2026).

ფინეთის გამოცდილება

ფინეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ღია მონაცემების პოლიტიკას. სახელმწიფო ინსტიტუტები, უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები სისტემატურად ქმნიან და აქვეყნებენ ღია ლიცენზიით ხელმისაწვდომ ტექსტურ და ხმოვან რესურსებს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ენობრივი ტექნოლოგიების განვითარებას.

ფინეთის გამოცდილება აჩვენებს, რომ ღია მონაცემთა ბაზები არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევების განვითარებას უწყობს ხელს, არამედ აჩქარებს ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურებების შექმნას კერძო სექტორშიც. (UNESCO, 2021).

ისლანდიის გამოცდილება

ისლანდია წარმოადგენს წარმატებულ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება მცირე მოსახლეობის მქონე სახელმწიფომ დაიცვას საკუთარი ენა გლობალური ტექნოლოგიური ცვლილებების პირობებში.

ისლანდიის სახელმწიფო მრავალი წლის განმავლობაში ახორციელებს სპეციალურ პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს მეტყველების რესურსების, ეროვნული კორპუსების, ლექსიკური მონაცემთა ბაზებისა და ხელოვნური ინტელექტისთვის საჭირო ენობრივი მონაცემების განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამედროვე ტექნოლოგიებში ისლანდიური ენის სრულფასოვან გამოყენებას, რათა მოსახლეობას არ მოუწიოს უცხო ენაზე გადასვლა ციფრული სერვისებით სარგებლობისას. (UNESCO, 2021).

უელსური და ბასკური ენების გამოცდილება

უელსური ენის ციფრული განვითარება წარმოადგენს მცირე ენების ტექნოლოგიური მხარდაჭერის ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითს. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა უელსური ენის ინტეგრაცია ციფრულ პლატფორმებსა და ხელოვნური

ინტელექტის სისტემებში. სახელმწიფოს, აკადემიური ინსტიტუტებისა და ტექნოლოგიური კომპანიების თანამშრომლობით შეიქმნა ენობრივი კორპუსები, მეტყველების ამოცნობის სისტემები, ავტომატური თარგმნის ინსტრუმენტები და სხვა ენობრივი რესურსები, რომლებმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა უელსური ენის გამოყენება ციფრულ გარემოში (Jones, 2022; UNESCO, 2021).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ღია ენობრივი რესურსების შექმნასა და მათ ხელმისაწვდომობის მკვლევარებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელებისთვის. აღნიშნულმა მიდგომამ ხელი შეუწყო უელსური ენის ინტეგრაციას თანამედროვე ბუნებრივი ენის დამუშავების (NLP) სისტემებს, მრავალენოვან ხელოვნური ინტელექტის მოდელებში. (European Commission, 2026; OECD, 2023).

უელსის გამოცდილება ცხადყოფს, რომ მცირე ენის ტექნოლოგიური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ გრძელვადიანი სახელმწიფო პოლიტიკის, აკადემიური თანამშრომლობისა და ციფრული ინფრასტრუქტურის სისტემური განვითარების პირობებში (UNESCO, 2021).

ბასკური ენა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მაგალითად მიიჩნევა ევროპაში ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით. მნიშვნელოვანი როლი ამ პროცესში ეკისრება აკადემიურ და კვლევით ცენტრებს, რომლებმაც შექმნეს ფართომასშტაბიანი ტექსტური კორპუსები, ლექსიკური ბაზები, მორფოლოგიური ანალიზატორები, სინტაქსური ანალიზატორები და ავტომატური თარგმნის სისტემები (Agerri et al., 2020)

ბასკური ენის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ღია მონაცემების პოლიტიკა და სამეცნიერო რესურსების ფართო ხელმისაწვდომობა, რაც უზრუნველყოფს ახალი AI მოდელების ეფექტიან სწავლებას და მუდმივ გაუმჯობესებას (European Commission, 2026).

კვლევები მიუთითებს, რომ ბასკური ენის ტექნოლოგიური წარმატება ეფუძნება უნივერსიტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და სახელმწიფოს კოორდინირებულ თანამშრომლობას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მცირე ენის კონკურენტუნარიანობას გლობალურ ციფრულ გარემოში (Joshi et al., 2020; OECD, 2024).

ბასკური გამოცდილება საქართველოსთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ორივე ენა გამოირჩევა უნიკალური გრამატიკული სტრუქტურით და შეზღუდული რაოდენობის ციფრული რესურსებით. შესაბამისად, ბასკური ენის ტექნოლოგიური განვითარების მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქართული ენის ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგიის შემუშავებისას (UNESCO, 2021).

უელსური ენისა და ბასკური ენის განვითარების პროგრამები აჩვენებს, რომ ციფრული ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ენის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაში.

ამ ქვეყნების გამოცდილებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია:

- სასკოლო განათლების ციფრულ რესურსებს;
- ხმოვანი ტექნოლოგიების განვითარებას;

- მრავალენოვანი ელექტრონული ლექსიკონების შექმნას;
- მობილური აპლიკაციების განვითარებას;
- ახალგაზრდებში ეროვნული ენის პოპულარიზაციას სოციალური მედიისა და ციფრული პლატფორმების მეშვეობით.

ეს გამოცდილება ადასტურებს, რომ ენის დაცვა თანამედროვე ეპოქაში აღარ შემოიფარგლება მხოლოდ საგანმანათლებლო პოლიტიკით და მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიების სისტემურ გამოყენებას.

საერთაშორისო გამოცდილების მნიშვნელობა საქართველოსთვის

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მცირე ენების წარმატებული ციფრული ტრანსფორმაცია ეფუძნება რამდენიმე საერთო პრინციპს.

პირველ რიგში, აუცილებელია ეროვნული ენობრივი რესურსების განვითარების გრძელვადიანი სახელმწიფო პოლიტიკა. მეორე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ღია მონაცემთა ბაზების შექმნას, რაც ხელს უწყობს როგორც აკადემიურ კვლევებს, ასევე კერძო სექტორის ინოვაციებს. მესამე, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტების, კვლევითი ინსტიტუტების, ტექნოლოგიური კომპანიებისა და საჯარო სექტორის თანამშრომლობა. მეოთხე, საჭიროა საერთაშორისო პროექტებში აქტიური მონაწილეობა, რაც უზრუნველყოფს ცოდნის, გამოცდილებისა და ტექნოლოგიური რესურსების გაზიარებას.

საქართველოსთვის აღნიშნული გამოცდილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ქართული ენა, როგორც უნიკალური დამწერლობისა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მქონე ენა, საჭიროებს მიზანმიმართულ და გრძელვადიან პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს მის სრულფასოვან ფუნქციონირებას ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში.

ქართული ენის ციფრული ტრანსფორმაციის განვითარების სტრატეგიული რეკომენდაციები

- ხელოვნური ინტელექტისა და ენობრივი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება ცვლის თანამედროვე საზოგადოების ფუნქციონირების მოდელს. ამ პირობებში ქართული ენის ციფრული განვითარება აღარ წარმოადგენს მხოლოდ ლინგვისტურ ან ტექნოლოგიურ საკითხს. იგი დაკავშირებულია ქვეყნის სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ეკონომიკურ, კულტურულ და საინფორმაციო უსაფრთხოებასთან. შესაბამისად, საჭიროა ერთიანი ეროვნული სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ქართული ენის სრულფასოვან ფუნქციონირებას თანამედროვე ციფრულ ეკოსისტემაში.

  ასეთი სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოს, აკადემიური სექტორის, კერძო კომპანიებისა და საერთაშორისო პარტნიორების თანამშრომლობას. მხოლოდ კოორდინირებული ძალისხმევით იქნება შესაძლებელი ისეთი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც ქართული ენის ტექნოლოგიურ განვითარებას გრძელვადიან საფუძველს შეუქმნის.

- სახელმწიფომ უნდა განიხილოს ქართული ენის ციფრული განვითარება როგორც ეროვნული მნიშვნელობის პროექტი. ამ მიზნით მიზანშეწონილია:
  პირველ რიგში, შემუშავდეს ქართული ენის ციფრული განვითარების ეროვნული სტრატეგია, რომელშიც მკაფიოდ განისაზღვრება პრიორიტეტები, პასუხისმგებელი უწყებები, დაფინანსების მექანიზმები და შესრულების ინდიკატორები.
  აუცილებელია ეროვნული ენობრივი რესურსების — ტექსტური კორპუსების, მეტყველების მონაცემთა ბაზების, დიალექტური მასალებისა და ტერმინოლოგიური რესურსების — შექმნისა და განახლების სისტემური მხარდაჭერა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული რესურსები, სამართლებრივი და ეთიკური მოთხოვნების დაცვით, მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევებისთვის.
  სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებად უნდა იქცეს ღია მონაცემების (Open Data) ინიციატივების მხარდაჭერა. ღია მონაცემები ხელს უწყობს როგორც აკადემიური კვლევის, ისე ინოვაციური ტექნოლოგიური პროდუქტების განვითარებას.
  ასევე მნიშვნელოვანია, რომ ელექტრონული მმართველობის სისტემებში ხელოვნური ინტელექტის დანერგვისას უზრუნველყოფილი იყოს ქართული ენის სრულფასოვანი მხარდაჭერა, რათა მოქალაქეებს სახელმწიფო სერვისებზე წვდომა მშობლიურ ენაზე ჰქონდეთ.
- უნივერსიტეტები უნდა იქცნენ ქართული ენის ტექნოლოგიური განვითარების ერთ-ერთ მთავარ ცენტრად. მიზანშეწონილია ინტერდისციპლინური სასწავლო პროგრამების განვითარება, რომლებიც გააერთიანებს ლინგვისტიკას, კომპიუტერულ მეცნიერებას, მონაცემთა ანალიზსა და ხელოვნურ ინტელექტს.
  განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კვლევითი ლაბორატორიების შექმნას, სადაც განხორციელდება ქართული ენის კორპუსების ანოტაცია, მორფოლოგიური და სინტაქსური ანალიზის ინსტრუმენტების განვითარება, მეტყველების ტექნოლოგიების კვლევა და გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ქართულენოვანი მოდელების შეფასება.
  მნიშვნელოვანია სტუდენტების ჩართვა პრაქტიკულ კვლევით პროექტებში, რადგან ეს ხელს შეუწყობს ახალი თაობის სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ენობრივი ტექნოლოგიების განვითარებას როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში.
ვოკალური ბიომარკერების კვლევებში გამოყენებულია სხვადასხვა მიდგომა. ღრმა სწავლების მოდელები განსაკუთრებით პერსპექტიულია ხმოვანი მონაცემების ანალიზში, რადგან მათ შეუძლიათ უშუალოდ ნედლი აუდიოსიგნალებიდან მნიშვნელოვანი მახასიათებლების ავტომატური ამოღება.

3.3. სმარტფონზე დაფუძნებული ვოკალური მონიტორინგი

ვოკალური ბიომარკერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა არის მათი პოტენციური ინტეგრაცია ყოველდღიურად გამოყენებად ციფრულ მოწყობილობებში. სმარტფონზე დაფუძნებული სისტემები იძლევა შესაძლებლობას:

პაციენტმა დამოუკიდებლად განახორციელოს ხმოვანი ჩანაწერის რეგულარული მიწოდება, მონაცემები ავტომატურად დამუშავდეს ღრუბლოვან პლატფორმებზე, გამოვლენილი ცვლილებები ინტეგრირდეს კლინიკური გადაწყვეტილების მხარდაჭერის სისტემებში.

ამ მიდგომის მთავარი უპირატესობაა მისი არაინვაზიურობა, დაბალი ღირებულება და მასშტაბირების შესაძლებლობა. თუმცა, კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვამდე აუცილებელია შეფასდეს ისეთი ფაქტორების გავლენა, როგორიცაა: სხვადასხვა მოწყობილობის მიკროფონის ტექნიკური მახასიათებლები, გარემოს ხმაური, ჩანაწერის სტანდარტიზაციის ხარისხი, პაციენტის ტექნოლოგიური უნარები.

3.4. ხელოვნური ინტელექტის როლი კლინიკური გადაწყვეტილების მხარდაჭერაში

ვოკალური ბიომარკერები არ განიხილება როგორც დამოუკიდებელი დიაგნოსტიკური ინსტრუმენტი. მათი პოტენციური კლინიკური ღირებულება მდგომარეობს არსებული მონაცემების გაძლიერებაში.

მომავალში შესაძლებელია მათი ინტეგრაცია: ელექტრონულ სამედიცინო ჩანაწერებთან, პაციენტის მიერ მოწოდებულ სიმპტომურ მონაცემებთან, ფიზიოლოგიურ მაჩვენებლებთან, ტარებადი მოწყობილობების (wearables) მონაცემებთან. ასეთი ინტეგრირებული მიდგომა შეიძლება გახდეს პერსონალიზებული მედიცინის ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი კომპონენტი, სადაც მკურნალობის გადაწყვეტილებები ეფუძნება პაციენტის მდგომარეობის უწყვეტ, დინამიკურ შეფასებას.

4. ვოკალური ბიომარკერების ძირითადი აკუსტიკური პარამეტრები და მათი კლინიკური მნიშვნელობა

ვოკალური ბიომარკერების კვლევებში გამოყენებული აკუსტიკური პარამეტრები წარმოადგენს ხმის სიგნალიდან მიღებულ რაოდენობრივ მახასიათებლებს, რომლებიც ასახავს ფონაციის სტაბილურობას, ხმის ხარისხს, მეტყველების დინამიკასა და რესპირატორულ ფუნქციასთან დაკავშირებულ ცვლილებებს. გულის უკმარისობის კონტექსტში აღნიშნული პარამეტრები არ განიხილება როგორც დაავადების სპეციფიკური მარკერები, არამედ როგორც **მრავალპარამეტრული ციფრული პროფილის კომპონენტები**, რომლებიც შესაძლოა ასახავდეს პაციენტის ფუნქციური მდგომარეობის ცვლილებებს.

ცხრილი 1. ვოკალური ბიომარკერების ძირითადი აკუსტიკური პარამეტრები და მათი შესაძლო კლინიკური მნიშვნელობა გულის უკმარისობის დროს

აკუსტიკური პარამეტრი	განმარტება	ბიოლოგიური საფუძველი	შესაძლო მნიშვნელობა გულის უკმარისობის მართვაში
Jitter	ხმის ფუნდამენტური სიხშირის (Fundamental Frequency, F0) მცირე პერიოდული ვარიაციები თანმიმდევრულ ვოკალურ ციკლებს შორის	ასახავს ხმის იოგების ვიბრაციის პერიოდულობის სტაბილურობას	შესაძლოა ასახავდეს ფონაციის სტაბილურობის ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია რესპირატორულ ან ზოგად ფიზიოლოგიურ ცვლილებებთან
Shimmer	ხმის ტალღის ამპლიტუდის ცვალებადობა ვოკალურ ციკლებს შორის	დაკავშირებულია ხმის იოგების ვიბრაციის ენერგეტიკულ სტაბილურობასთან	შესაძლოა მიუთითებდეს ხმის ხარისხის ცვლილებაზე და გამოყენებულ იქნას, როგორც ერთ-ერთი მახასიათებელი AI მოდელებში
Harmonics-to-Noise Ratio (HNR)	ჰარმონიული კომპონენტების თანაფარდობა არარეგულარულ ხმოვან კომპონენტებთან	ასახავს ხმოვანი სიგნალის სისუფთავესა და პერიოდულობას	HNR-ის ცვლილება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ფონაციის ხარისხის გაუარესებასთან

აკუსტიკური პარამეტრი	განმარტება	ბიოლოგიური საფუძველი	შესაძლო მნიშვნელობა გულის უკმარისობის მართვაში
Mel-frequency Cepstral Coefficients (MFCC)	ხმის სპექტრული მახასიათებლების მათემატიკური აღწერა, რომელიც ეფუძნება ადამიანის სმენის მოდელს	ასახავს ხმის ენერგიის განაწილებას სხვადასხვა სიხშირის დიაპაზონში	ფართოდ გამოიყენება მანქანური სწავლების მოდელებში ხმოვანი კლასიფიკაციისთვის
Speech rate	მეტყველების სიჩქარე (სიტყვების ან მარცვლების რაოდენობა დროის ერთეულში)	დამოკიდებულია რესპირატორულ შესაძლებლობაზე, ნეირომუსკულურ კონტროლსა და ფუნქციურ მდგომარეობაზე	შესაძლოა შეიცვალოს ქოშინის, დაღლილობის ან ფუნქციური შეზღუდვის დროს
Pause duration	მეტყველებისას პაუზების სიხშირე და ხანგრძლივობა	ასახავს სუნთქვითი ციკლისა და მეტყველების კოორდინაციას	შეიძლება გამოყენებულ იქნას რესპირატორული დატვირთვის ირიბი შეფასებისთვის
Maximum Phonation Time (MPT)	მაქსიმალური დრო, რომლის განმავლობაშიც პაციენტი ახორციელებს უწყვეტ ხმოვან ფონაციას	დამოკიდებულია ფილტვის მოცულობაზე, ჰაერის ნაკადსა და ხმის იოგების ფუნქციაზე	შესაძლოა ასახავდეს რესპირატორული ფუნქციის ცვლილებებს

4.1. ჯიტერი (Jitter)

ჯიტერი წარმოადგენს ხმის ფუნდამენტური სიხშირის ციკლთაშორის ცვალებადობას და გამოიყენება ხმის იოგების ვიბრაციის რეგულარულობის შესაფასებლად.

ნორმალურ პირობებში ხმის იოგების ოსცილაცია შედარებით სტაბილურია. ფონაციის პროცესში მცირე დარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია ქსოვილის მახასიათებლების, ჰაერის ნაკადის ან ნერვული კონტროლის ცვლილებებთან, შესაძლოა აისახოს ჯიტერის მაჩვენებლის ზრდაში.

გულის უკმარისობის მქონე პაციენტებში ჯიტერის ცვლილება არ განიხილება როგორც უშუალო პათოლოგიური მარკერი, თუმცა შესაძლებელია ასახავდეს საერთო ფიზიოლოგიური მდგომარეობის ცვლილებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფონაციის პროცესზე.

4.2. შიმერი (Shimmer)

შიმერი აღწერს ხმის ამპლიტუდის ცვალებადობას თანმიმდევრულ ვოკალურ ციკლებს შორის. მისი ზრდა შეიძლება დაკავშირებული იყოს: ხმის იოგების ვიბრაციის არასტაბილურობასთან, ჰაერის ნაკადის ცვლილებასთან, ფონაციის კონტროლის დარღვევასთან. AI-ზე დაფუძნებული სისტემები ხშირად იყენებენ შიმერს სხვა აკუსტიკურ პარამეტრებთან კომბინაციაში, რადგან ერთი იზოლირებული მახასიათებელი, როგორც წესი, ვერ უზრუნველყოფს საკმარის დიაგნოსტიკურ სიზუსტეს.

4.3. ჰარმონია-ხმაურის თანაფარდობა (HNR)

HNR წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს, რომელიც აფასებს რეგულარული ჰარმონიული კომპონენტების და არარეგულარული ხმოვანი კომპონენტების თანაფარდობას. მისი შემცირება ხშირად ასოცირდება: ხმის ხარისხის გაუარესებასთან, ხმის ტემბრის ცვლილებასთან,ფონაციის დარღვევასთან.

გულის უკმარისობის შემთხვევაში HNR-ის ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იყოს რესპირატორული დატვირთვისა და საერთო ფიზიოლოგიური მდგომარეობის ცვლილებებთან, თუმცა საჭიროა დამატებითი კვლევები მისი სპეციფიკური კლინიკური მნიშვნელობის დასადგენად.

4.4. მეტყველების დინამიკური მახასიათებლები

თანამედროვე ვოკალური ანალიზის სისტემები მხოლოდ ხმის ხარისხის შეფასებით არ შემოიფარგლება. ისინი ასევე აანალიზებენ მეტყველების სტრუქტურულ მახასიათებლებს. მნიშვნელოვან პარამეტრებს წარმოადგენს: მეტყველების სიჩქარე, პაუზების რაოდენობა, ფრაზის ხანგრძლივობა, ფონაციის უწყვეტობა. გულის უკმარისობის პროგრესირებისას რესპირატორული დატვირთვის ზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს მეტყველებისა და სუნთქვის კოორდინაციის ცვლილებები.

4.5. მრავალპარამეტრული ანალიზის მნიშვნელობა

თანამედროვე კვლევები მიუთითებს, რომ ვოკალური ბიომარკერების კლინიკური ღირებულება არ არის დამოკიდებული რომელიმე ერთი აკუსტიკური პარამეტრის ცვლილებაზე. უფრო პერსპექტიული მიდგომაა: მრავალი აკუსტიკური მახასიათებლის ინტეგრაცია, AI მოდელის გაწვრთნა და რისკის შეფასება ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა შეფასდეს კომპლექსური ცვლილებები, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს გულის უკმარისობის მდგომარეობის გაუარესებასთან.

5. ვოკალური ბიომარკერების კლინიკური მტკიცებულებები გულის უკმარისობის დროს

ვოკალური ბიომარკერების გამოყენება გულის უკმარისობის მართვაში ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზე მყოფი მიმართულებაა. არსებული კვლევები ძირითადად ფოკუსირებულია ორი ძირითადი მიმართულებით:

1. ვოკალური მახასიათებლების კავშირი გულის უკმარისობის პროგნოზთან და არასასურველ კლინიკურ გამოსავლებთან
2. ხმის ანალიზის გამოყენება გულის უკმარისობის გაუარესების ადრეული გამოვლენის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ მიღებული შედეგები პერსპექტიულია, არსებული მტკიცებულებები ძირითადად მიღებულია მცირე ან საშუალო ზომის კოჰორტული კვლევებიდან და საჭიროებს დამატებით ვალიდაციას.

5.1. ვოკალური ბიომარკერი და გულის უკმარისობის გამოსავლები

ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი კვლევა, რომელმაც შეაფასა ვოკალური ბიომარკერის კავშირი გულის უკმარისობის კლინიკურ გამოსავლებთან, გამოქვეყნდა *Journal of the American Heart Association*-ში (2020წ.). კვლევაში შეფასდა გულის უკმარისობის მქონე პაციენტების ხმოვანი სიგნალები და გაანალიზდა მათი კავშირი შემდგომ ჰოსპიტალიზაციასა და სიკვდილიანობასთან. ავტორებმა აჩვენეს, რომ ხმის ანალიზით მიღებული ბიომარკერი დამოუკიდებლად ასოცირდებოდა არასასურველ კლინიკურ გამოსავლებთან, რაც მიუთითებს მისი, როგორც ტელემედიცინისა და დისტანციური მონიტორინგის პოტენციური ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობაზე. აღნიშნული კვლევის მნიშვნელოვანი წვლილი იყო იმ ჰიპოთეზის გაძლიერება, რომ ადამიანის ხმა შესაძლოა შეიცავდეს ფიზიოლოგიურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია გულის უკმარისობის პროგრესირებასთან. თუმცა, კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია რამდენიმე შეზღუდვა: კვლევა არ წარმოადგენდა ფართომასშტაბიან რანდომიზებულ კვლევას, საჭირო იყო დამატებითი გარე ვალიდაცია, ხმის ბიომარკერის კლინიკური გამოყენება არ შეფასებულა როგორც დამოუკიდებელი გადაწყვეტილების ინსტრუმენტი.

5.2. დისტანციური ხმის ანალიზი მწვავე დეკომპენსირებული გულის უკმარისობის დროს მკვლევართა სხვა ჯგუფმა შეისწავლა დისტანციური ხმის ანალიზის შესაძლებლობები მწვავე დეკომპენსირებული გულის უკმარისობის მქონე პაციენტებში. კვლევის ძირითადი იდეა ეფუძნებოდა ვარაუდს, რომ გულის უკმარისობის დეკომპენსაციისას განვითარებული მოცულობითი გადატვირთვა და ფილტვის შეშუპება შესაძლოა აისახოს ხმოვან მახასიათებლებში. ავტორებმა შეაფასეს ხმის მახასიათებლების ცვლილებები ჰოსპიტალიზაციის პერიოდში და აჩვენეს, რომ ხმის სიგნალის ანალიზს შესაძლოა ჰქონდეს დამატებითი ღირებულება პაციენტის კლინიკური მდგომარეობის შეფასებაში. ამ მიმართულების კვლევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ცდილობენ უპასუხონ პრაქტიკულ კითხვას: შესაძლებელია თუ არა ხმის ცვლილებებით გულის უკმარისობის გაუარესების იდენტიფიცირება მანამდე, სანამ პაციენტს განუვითარდება გამოხატული კლინიკური სიმპტომები? თუმცა, ამ ეტაპზე არსებული მონაცემები არ არის საკმარისი იმის

დასამტკიცებლად, რომ ვოკალური ბიომარკერები დამოუკიდებლად ცვლიან სტანდარტული მონიტორინგის მეთოდებს.

5.3. AHF-Voice კვლევა: ვოკალური ბიომარკერების პათოფიზიოლოგიური საფუძვლების შეფასება AHF-Voice წარმოადგენს ერთ-ერთ თანამედროვე პერსპექტიულ კვლევით პროექტს, რომლის მიზანია გულის მწვავე უკმარისობის დროს ხმის ცვლილებების დინამიკის შესწავლა.

კვლევა ეფუძნება პროსპექტულ კოჰორტულ დიზაინს და მიზნად ისახავს: ვოკალური ცვლილებების მახასიათებლების განსაზღვრას, მათი კავშირის შეფასებას პაციენტის კლინიკურ მდგომარეობასთან, ხმის ცვლილებების შედარებას ტრადიციულ კლინიკურ პარამეტრებთან, შესაძლო პათოფიზიოლოგიური მექანიზმების შესწავლას. კვლევის განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ცდილობს არა მხოლოდ პროგნოზული მოდელის შექმნას, არამედ უკეთ გაიგოს, რატომ იცვლება ხმა გულის უკმარისობის დროს.

5.4. არსებული მტკიცებულებების კრიტიკული შეფასება

მიუხედავად ვოკალური ბიომარკერების მნიშვნელოვანი პოტენციალისა, მათი კლინიკური გამოყენების შეფასებისას აუცილებელია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება. პირველ რიგში, არსებული კვლევების უმრავლესობა არის აღწერითი ხასიათის და მათი მიზანი ძირითადად ტექნოლოგიის შესაძლებლობების შეფასებაა. მეორე მხრივ, ვოკალური მახასიათებლები შესაძლოა დამოკიდებული იყოს მრავალ ფაქტორზე, მათ შორის: ასაკზე, სქესზე, ენობრივ თავისებურებებზე, თანმხლებ დაავადებებზე, ხმის ჩაწერის პირობებზე. ამიტომ, მომავალი კვლევები უნდა ფოკუსირდეს: სტანდარტიზებული აუდიოპროტოკოლების შექმნაზე, მრავალცენტრულ ვალიდაციაზე, სხვადასხვა პოპულაციაში ალგორითმების შეფასებაზე, კლინიკურ გადაწყვეტილებებში მათი რეალური სარგებლობის განსაზღვრაზე.

6. შეზღუდვები და სამომავლო კვლევის მიმართულებები მიუხედავად იმისა, რომ ვოკალური ბიომარკერები წარმოადგენს პერსპექტიულ მიმართულებას ციფრულ კარდიოლოგიაში, მათი ფართო კლინიკური გამოყენება ამ ეტაპზე შეზღუდულია რამდენიმე მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ფაქტორით.

6.1. არსებული მტკიცებულებების შეზღუდვები დღეისათვის გამოქვეყნებული კვლევების უმრავლესობა წარმოადგენს საძიებო ან პილოტურ კვლევებს, რომლებიც ძირითადად აფასებს ტექნოლოგიის ტექნიკურ შესაძლებლობებს და არა მის საბოლოო კლინიკურ ეფექტურობას. ძირითად შეზღუდვებს მიეკუთვნება: კვლევებში ჩართული პაციენტების შედარებით მცირე რაოდენობა, განსხვავებული კვლევითი დიზაინები, ვოკალური ჩანაწერების მიღებისა და დამუშავების არაერთგვაროვანი მეთოდოლოგია, საბოლოო გამოსავლების შეზღუდული შეფასება კლინიკური მიმართულებით. შესაბამისად, მიუხედავად არსებული დადებითი სიგნალებისა, საჭიროა ფართომასშტაბიანი, მრავალცენტრული კვლევები, რომლებიც დაადასტურებს

ვოკალური ბიომარკერების პროგნოზულ ღირებულებას რეალურ კლინიკურ პრაქტიკაში.

6.2. ალგორითმების ვალიდაცია და გენერალიზაციის პრობლემა ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული მოდელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა მათი გამოყენებადობა იმ პოპულაციებში, რომლებზეც ისინი თავდაპირველად არ ყოფილა შემუშავებული. ვოკალური სიგნალი დამოკიდებულია მრავალ ინდივიდუალურ და გარემო ფაქტორზე, მათ შორის: ასაკზე, სქესზე, ენობრივ თავისებურებებზე, დიალექტზე, განათლებისა და მეტყველების სტილზე, ხმის ჩაწერის ტექნიკურ პირობებზე.

ამიტომ, ერთი პოპულაციიდან მიღებული ალგორითმის პირდაპირი გამოყენება სხვა პოპულაციაში შესაძლოა დაკავშირებული იყოს სიზუსტის შემცირებასთან. მომავალი კვლევები უნდა მოიცავდეს სხვადასხვა დემოგრაფიული და კულტურული ჯგუფების წარმომადგენლებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოდელების გარე ვალიდაცია და კლინიკური გამოყენებადობა.

6.3. სტანდარტიზაციის საჭიროება ვოკალური ბიომარკერების კვლევის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა მონაცემთა შეგროვების სტანდარტიზაცია.

აუცილებელია განისაზღვროს: ხმოვანი ჩანაწერის ოპტიმალური ხანგრძლივობა, გამოყენებული ფონეტიკური დავალებები, ჩაწერის პირობები, მიკროფონის ტექნიკური პარამეტრები, მონაცემთა დამუშავების ერთიანი პროტოკოლები. სტანდარტიზებული მიდგომების გარეშე რთულდება სხვადასხვა კვლევის შედეგების შედარება და მეტაანალიზის ჩატარება.

6.4. ხელოვნური ინტელექტის გამჭვირვალობა და კლინიკური ინტერპრეტაცია

ხელოვნური ინტელექტის მოდელების გამოყენებისას მნიშვნელოვანი საკითხია მათი გადაწყვეტილებების ინტერპრეტაცია. კლინიკური პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ალგორითმმა გამოავლინა მაღალი რისკი, არამედ იმის გაგებაც, თუ რომელი მახასიათებლები განაპირობებდა აღნიშნულ პროგნოზს.

ამ მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: Explainable Artificial Intelligence (XAI) მიდგომებს, ალგორითმების გამჭვირვალობას, ექიმისთვის გასაგები გადაწყვეტილების მხარდაჭერის სისტემების შექმნას.

6.5. მონაცემთა უსაფრთხოება და ეთიკური საკითხები ვოკალური ბიომარკერების გამოყენება გულისხმობს პაციენტის ბიოლოგიური მონაცემების, კერძოდ კი ხმოვანი ჩანაწერების, შეგროვებასა და დამუშავებას. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება: პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა, მონაცემთა დაშიფვრა, პაციენტის ინფორმირებული თანხმობა, მონაცემების გამოყენების მიზნების მკაფიო განსაზღვრა. ციფრული ჯანმრთელობის

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მონაცემთა უსაფრთხოება წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნიკურ, არამედ ეთიკურ და სამართლებრივ გამოწვევას.

6.6. სამომავლო კვლევის პერსპექტივები მომავალი კვლევები უნდა იყოს მიმართული რამდენიმე ძირითად მიმართულებაზე:

1. ფართომასშტაბიანი კლინიკური ვალიდაცია: საჭიროა მრავალცენტრული პროსპექტული კვლევები, რომლებიც შეაფასებს ვოკალური ბიომარკერების უნარს: გამოავლინოს გულის უკმარისობის გაუარესება, შეამციროს არასასურველი კლინიკური მოვლენები, გააუმჯობესოს პაციენტის მართვის პროცესი.

2. მულტიმოდალური ციფრული მოდელების განვითარება: ვოკალური მონაცემების ინტეგრაციამ სხვა ციფრულ ბიომარკერებთან შესაძლოა გაზარდოს პროგნოზული სიზუსტე. პერსპექტიული მიმართულებებია: ვოკალური მონაცემების გაერთიანება wearable მოწყობილობების მონაცემებთან, ფიზიოლოგიურ მაჩვენებლებთან ინტეგრაცია, ელექტრონულ სამედიცინო ჩანაწერებთან დაკავშირება.

3. კლინიკური ინტეგრაციის შეფასება

მნიშვნელოვანია განისაზღვროს არა მხოლოდ ალგორითმის ტექნიკური სიზუსტე, არამედ მისი რეალური გავლენა: პაციენტის მართვის კლინიკურ შედეგზე, ჯანდაცვის დანახარჯებზე, პაციენტის ცხოვრების ხარისხზე.

7. დასკვნა ვოკალური ბიომარკერები წარმოადგენს ციფრული კარდიოლოგიის სწრაფად განვითარებად მიმართულებას, რომელიც ეფუძნება ადამიანის ხმის, როგორც ფიზიოლოგიური ინფორმაციის მატარებელი სიგნალის, გამოყენებას. არსებული კვლევები მიუთითებს, რომ ხმის აკუსტიკური მახასიათებლების ანალიზს შესაძლოა ჰქონდეს პოტენციალი გულის უკმარისობის მქონე პაციენტების დისტანციური მონიტორინგისა და კლინიკური გაუარესების ადრეული გამოვლენის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, თანამედროვე მტკიცებულებები ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ვოკალური ბიომარკერები განიხილებოდეს როგორც დამოუკიდებელი დიაგნოსტიკური ან თერაპიული გადაწყვეტილების ინსტრუმენტი. ამ ეტაპზე მათი ყველაზე რეალისტური როლი არის დამატებითი ციფრული ინსტრუმენტი, რომელიც ავსებს არსებულ კლინიკურ შეფასებას. მომავალში აუცილებელია მაღალი ხარისხის, მრავალცენტრული კვლევების ჩატარება, რომლებიც დაადასტურებს მათი გამოყენების სანდოობას, კლინიკურ ეფექტურობასა და ჯანდაცვის სისტემებში ინტეგრაციის შესაძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Maor E, Perry D, Mevorach D, et al. Vocal Biomarker Is Associated With Hospitalization and Mortality Among Heart Failure Patients. *J Am Heart Assoc.* 2020;9(7):e013359. doi:10.1161/JAHA.119.013359. (PubMed)

2. Amir O, Abraham WT, Azzam ZS, et al. Remote Speech Analysis in the Evaluation of Hospitalized Patients With Acute Decompensated Heart Failure. *JACC Heart Fail.* 2022;10(1):41-49.
doi:10.1016/j.jchf.2021.08.008. (PMC)

3. Kerwagen F, Bauser M, Baur M, et al. Vocal biomarkers in heart failure—design, rationale and baseline characteristics of the AHF-Voice study. *Front Digit Health.* 2025;7:1548600. doi:10.3389/fdgth.2025.1548600. (PubMed)

4. Murton OM, Hillman RE, Mehta DD, et al. Acoustic speech analysis of patients with decompensated heart failure: a pilot study. *J Acoust Soc Am.* 2017;142(4):EL401.

5. Maor E, Sara JD, Orbelo DM, et al. Voice Signal Characteristics Are Independently Associated With Coronary Artery Disease. *Mayo Clin Proc.* 2018;93(7):840-847.

6. McDonagh TA, Metra M, Adamo M, et al. 2021 ESC Guidelines for the diagnosis and treatment of acute and chronic heart failure. *Eur Heart J.* 2021;42(36):3599-3726.

7. Heidenreich PA, Bozkurt B, Aguilar D, et al. 2022 AHA/ACC/HFSA Guideline for the Management of Heart Failure. *Circulation.* 2022;145:e895-e1032.

8. Bozkurt B, Coats AJS, Tsutsui H, et al. Universal Definition and Classification of Heart Failure. *J Card Fail.* 2021;27(4):387-413.

9. Ponikowski P, Voors AA, Anker SD, et al. 2016 ESC Guidelines for the diagnosis and treatment of acute and chronic heart failure. *Eur Heart J.* 2016;37:2129-2200.

10. Topol EJ. High-performance medicine: the convergence of human and artificial intelligence. *Nat Med.* 2019;25:44-56.

11. Johnson KW, Torres Soto J, Glicksberg BS, et al. Artificial Intelligence in Cardiology. *J Am Coll Cardiol.* 2018;71(23):2668-2679.

12. Rajkomar A, Dean J, Kohane I. Machine Learning in Medicine. *N Engl J Med.* 2019;380:1347-1358.

13. Esteva A, Robicquet A, Ramsundar B, et al. A guide to deep learning in healthcare. *Nat Med.* 2019;25:24-29.

14. Steinhubl SR, Muse ED, Topol EJ. The emerging field of mobile health. *Sci Transl Med.* 2015;7(283):283rv3.

15. Dorsey ER, Topol EJ. State of Telehealth. *N Engl J Med.* 2016;375:154-161.

16. Teixeira JP, Oliveira C, Lopes C. Vocal acoustic analysis: jitter, shimmer and HNR parameters. *Procedia Technology.* 2013;9:1112-1122.

17. Maryn Y, Roy N, De Bodt M, Van Cauwenberge P, Corthals P. Acoustic measurement of overall voice quality: a meta-analysis. *J Acoust Soc Am.* 2009;126:2619-2634.

18. Godino-Llorente JI, Gómez-Vilda P, Blanco-Velasco M. Dimensionality reduction of a pathological voice quality assessment system. *J Acoust Soc Am.* 2006;119:2281-2293.

19. Rabiner LR, Juang BH. Fundamentals of Speech Recognition. Prentice Hall; 1993.

20. Huang X, Acero A, Hon HW. Spoken Language Processing: A Guide to Theory, Algorithm and System Development. Prentice Hall; 2001.

21. Bhavnani SP, Narula J, Sengupta PP. Mobile technology and the digitization of healthcare. *Eur Heart J.* 2016;37:1428-1438.

22. Kotecha D, et al. Digital health technologies for heart failure management: current evidence and future opportunities. *Eur J Heart Fail.* 2021.

23. Cowie MR, Lam CSP. Remote monitoring and digital health tools in heart failure. *Lancet.* 2021.

24. Benjamins JW, et al. Digital biomarkers in cardiovascular disease: opportunities and challenges. *Eur Heart J Digit Health.* 2021.

25. Gensini GF, Alderighi C, Rasoini R, et al. Value of telemonitoring and digital health in cardiovascular disease. *Eur Heart J Suppl.* 2017.

Vocal Biomarkers in the Management of Heart Failure: Pathophysiological Basis, Current Evidence, and Future Perspectives

Abstract

Introduction: Chronic heart failure (HF) represents a major challenge in contemporary healthcare and is associated with a substantial risk of morbidity, mortality, and recurrent hospitalization. Despite advances in pharmacological therapy, a proportion of patients remain at high risk of decompensation following hospital discharge. Current remote monitoring strategies, including daily body weight assessment and self-reported symptoms, often fail to detect fluid retention and pulmonary congestion at an early stage. One of the major challenges in heart failure management is the early detection of clinical deterioration, particularly during the stage when fluid retention and pulmonary congestion begin to develop while overt clinical symptoms remain minimal. Existing monitoring approaches do not always allow for the early identification of underlying pathophysiological changes.

In recent years, advances in digital health and artificial intelligence (AI) technologies have created new opportunities for the remote management of chronic diseases. Among these, vocal biomarkers have attracted increasing interest. Vocal biomarkers are digital indicators derived from acoustic characteristics of the human voice that may reflect underlying physiological changes within the body.

Objective: The aim of this review is to evaluate the pathophysiological basis, current clinical evidence, technological potential, and existing challenges associated with the use of vocal biomarkers in heart failure management.

Methods: A narrative literature review was conducted. The literature search was performed using the PubMed/MEDLINE, Scopus, and Web of Science databases. The following keywords were used: “heart failure,” “vocal biomarkers,” “voice analysis,” “artificial intelligence,” “digital biomarkers,” and “remote monitoring.” Particular emphasis was placed on studies published between 2020 and 2025 that investigated the association between vocal characteristics and the clinical status of patients with heart failure, the risk of hospitalization, and the potential applications of voice-based remote monitoring.

Key Findings: Existing studies suggest that specific acoustic characteristics of the human voice may be associated with physiological changes occurring in patients with heart failure. Parameters commonly evaluated in vocal biomarker analysis include jitter, which reflects short-term variability in vocal fold vibration; shimmer, a measure of periodic variation in voice amplitude; the harmonic-to-noise ratio (HNR); speech rate; phonation duration; and the temporal structure of speech pauses. Artificial intelligence-based algorithms have demonstrated the potential to

detect subtle changes in vocal characteristics that may be associated with the early stages of heart failure deterioration.

However, the current evidence remains insufficient for definitive clinical implementation and requires further validation, particularly through large-scale, multicenter studies conducted across diverse patient populations.

Conclusion: Vocal biomarkers represent a promising emerging field in digital cardiology. Although they cannot currently replace standard clinical assessment of heart failure, they may serve as an additional digital tool for remote patient monitoring and early risk stratification. Further research is required to establish their clinical effectiveness, reliability, and feasibility of integration into routine clinical practice.

Keywords: heart failure; vocal biomarkers; artificial intelligence; digital biomarkers; remote monitoring; voice analysis; digital health; personalized medicine.

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 8 Issue 3, 2026
https://doi.org/10.52340/gs.2026.08.03.15



Purification and regeneration of organic solvents: modern approaches and development prospects

Karkashadze Nino[1], Uridia Rusudan[2], Bolkvadze Nona[3], Abdushelishvili Inga[4], Dolidze Liparit[5], Tserodze Nana[6], Tatiashvili Leila[7], Tsiskarishvili Rusudan[8], Gvidani Sophio[9]

[1]PhD of Chemistry sciences, Senior Researcher of Iv. Javakhishvili Tbilisi State University, P. Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry. Tbilisi, Georgia. nino.karkashadze@tsu.ge; [2]PhD of Biology sciences, Senior Researcher of Iv. Javakhishvili Tbilisi State University, P. Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry. Tbilisi, Georgia; Associate Orcidhttps://orcid.org/0009-0002-0685-2813 rusudan.uridia@tsu.ge; [3]PhD of Chemistry sciences, Associate Professor of Georgian Technical University. Tbilisi, Georgia. bolkvadzenana04@gtu.ge; [4]PhD of Biology, Professor of Chemistry at the Agricultural University of Georgia. Tbilisi, Georgia. i.abdushelishvili@agruni.edu.ge; [5]PhD in Chemistry sciences, Senior Researcher of Iv. Javakhishvili Tbilisi State University, P. Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry. Tbilisi, Georgia. liparit.dolidze@tsu.ge; [6]PhD in Chemistry sciences, Scientist of Iv. Javakhishvili Tbilisi State University, P. Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry. Tbilisi, Georgia. nana.tserodze@tsu.ge; [7]PhD in Chemistry sciences, Scientist of Iv. Javakhishvili Tbilisi State University, P. Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry. Tbilisi, Georgia. leila.tatiashvili@tsu.ge; [8]PhD in Chemistry sciences, Senior Researcher of Iv.Javakhishvili Tbilisi State University, P. Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry. Tbilisi, Georgia. rusudan.tsiskarishvili@tsu.ge; [9]PhD in Chemistry sciences, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Al. Natishvili Morphology Institute. Tbilisi, Georgia. sofia.gvidani@tsu.ge

Abstract

Organic solvents are essential across various industrial sectors, including pharmaceuticals, petrochemicals, and polymer manufacturing, but they gradually accumulate contaminants during technological processes. Direct disposal of spent solvents leads to substantial economic losses and environmental degradation through the formation of volatile organic compounds. Consequently, developing efficient purification and regeneration technologies is crucial for sustainable industrial operations. This work reviews key physical, chemical, and combined solvent recovery methods, evaluating their operating principles, benefits, and limitations. Standard techniques such as distillation and rectification enable high-volume processing but demand high energy, whereas membrane separation, extraction, and vacuum technologies offer energy-efficient solutions suitable for azeotropic or heat-sensitive mixtures. Adsorption is particularly effective for removing trace impurities, with increasing emphasis on biomass-derived adsorbents. Special attention is paid to lignin, whose functional group diversity, high porosity, and chemical modifiability enable the creation of low-cost, highly effective, and ecologically safe adsorbents.

Furthermore, integrated processes—such as combining distillation with adsorption or membrane technologies—are increasingly implemented to achieve superior solvent purity while optimizing energy use. Overall, advancing energy-saving technologies and natural adsorbents supports green chemistry principles and promotes sustainable resource reuse.

Keywords: Organic solvents, Regeneration, Purification, Distillation, Membrane technologies, Lignin adsorbents.

Organic solvents are the integral part of chemical, pharmaceutical, petrochemical, dyes and varnishes, polymeric materials production and many other branches of industry. When used, they are getting polluted with various organic and inorganic admixtures, and thereby their efficiency is significantly reduced. Direct disposal of used solvents is associated both with substantial economic losses and environmental pollution, that is why the development of their purification and regeneration technologies is of great importance [1].

In the presented work, we have considered the key methods of organic solvents purification and regeneration, their advantages and restrictions. Distillation, rectification, adsorption, membrane technologies, extraction and other modern approaches have been considered. Special attention has been paid to the use of natural-origin adsorbents, especially lignin in the organic solvents' purification process [2].

Organic solvents are liquid organic compounds used for securing of extraction, purification, synthesis and technological processes related to different substances. Their ability to dissolve diverse organic and inorganic substances stipulates their wide application in the industry and scientific research [3].

As of today, million tons of organic solvents are used every year worldwide.

They become most widely used in pharmaceutical production, organic synthesis process, petroleum (oil) processing, manufacture of polymeric materials, dyes, varnishes, and electronic components.

Acetone, methanol, ethanol, isopropanol, ethyl acetate, toluene, xylene, hexane, chloroform, and dichloromethane are ranked among the most common solutions.

In the course of technological processes, the solvents are gradually polluted by different admixtures, such as reaction by-products, resinous substances, catalyst residuals, water, metal ions and mechanical particles. Use of polluted solvents deteriorates product quality, increases energy consumption and frequently leads to technological process failure [4].

Many organic solvents easily evaporate and form volatile organic compounds, which take part in photochemical smog formation and have a negative effect on human health and ecosystem.

One of the most effective lines of problem solution is a regeneration of organic solvents, which implies their restoration up to such degree, which makes it possible to reuse them in the

technological process, reduces the consumption of new solvents, amount of hazardous waste and economic expenses incurred by enterprise.

Over the last two decades a special attention has been paid to development of those technologies, which are featured by low energy consumption, high efficiency and minimum environmental impact]5].

Among these methods the most important ones are membrane separation, use of supercritical fluids, advanced adsorption technologies and application of modified forms of natural adsorbents, including lignin.

Lignin, as one of the basic components of vegetable biomass, has become the subject of special attention over the last years. Its chemical structure, high porosity and diversity of functional groups makes it possible to generate effective, cheap and ecologically safe adsorbents successfully used in purification and regeneration of organic solvents.

Organic solvents are classified by several features according to polarity.

Polar solvents are distinguished by high dielectric constant and they are good solvents for polar substances [6].

Non-polar solvents are used as solvents for fats, oils and other hydrophobic substances.

Chlorinated solvents are distinguished by high dissolving ability, however due to toxicity and environmental impact they require special control.

Classification according to boiling temperature is especially important during distillatory regeneration:

- low-boiling <100°C;
- medium-boiling 100°C-150°C;
- high-boiling >150°C.

Multiple use of solvents gradually deteriorates their quality. In the course of reaction, the by-products, resinous substances, polymers and oxidation products are formed, which reduce solvent purity.

Many organic solvents are hygroscopic and absorb moisture from the air. Water presence is especially problematic in pharmaceutical and high-purity chemical production, since it has an effect on reaction rate and product quality [7].

Solvents can be polluted by inorganic admixtures, which frequently leads to corrosion and reduces service life of processing equipment.

Dust, carbon particles, filter residuals and other solid particles impede technological process and deteriorate solvent quality.

Regeneration of organic solvents is one of the important directions of modern chemical technology [8].

Various physical, chemical and mixed technologies are used for regeneration of organic solvents. Method choice depends on solvent nature, admixture type, their concentration, required purity degree and economic efficiency of the process. Modern enterprises frequently use the combination of several methods, which enables restoration of high quality.

- Distillation and rectification;

Distillation is one of the oldest and widely used methods of organic solvent purification. The method is based on difference between boiling temperature of components entering a mixture. More volatile components evaporate during a process, then become condensed and relatively pure substance (solvent) is obtained [9].

This method is especially effective in case of regeneration of such solvents, which admixtures are featured by different volatility. For instance, it is possible to restore hexane, acetone, ethanol, ethyl acetate and other solvents.

Rectification is an improved version of distillation, during which a multi-stage separation is used. Repeated contact between steam and vapor in the column type rectifier enhances separation efficiency and makes it possible to obtain a high-quality product.

Advantages:

- technology simplicity
- opportunity of processing large volumes of solvents;
- receipt of high-quality product.

Shortcomings:

- high energy consumption;
- opportunity of decomposition of thermally sensitive compounds;
- difficulty of azeotropic mixtures' separation;
- adsorptive purification.

Adsorption is one of the most effective methods for small amount admixture removal from organic solvents. This process is based on substance adsorption on the solid state surface [10].

The following substances are used as adsorbents:

- activated carbon;
- zeolites;
- silicagel;
- aluminium oxide;
- polymeric adsorbents;
- materials prepared on biomass basis.

Activated carbon is widely used due to its large surface and porous structure. It effectively adsorbs nonpolar organic solvents, including hexane, toluene and chlorinated solvents.

In recent years a special attention has been paid to natural adsorbents. Lignin, as a basic polymer of vegetable biomass, consists of functional groups of hydroxide, methoxide and other substances, which participate in organic molecules' binding. Lignin chemical modification enhances its adsorptive capacity and extends its potential for use [11].

Advantages:

- high selectivity;
- low temperature;
- effective removal of small amounts of admixtures;

Restrictions:

- adsorbent saturation;
- necessity of periodical substitution;
- low selectivity of some solvents;
- membrane technologies.

Membranous processes represent the modern energy-efficient technology, which is based on selective transport (transfer) of mixture components through semi-conducting membrane.

The following techniques are used for organic solvent purification: pervaporation, steam-conducting membranes, nano-filtration, and organo-filtration processes.

The key advantage of membrane methods is their low energy consumption compared to distillation. They are especially prospective for azeotropic mixture separation and removal of small amount of water from organic solvents [12].

Disadvantages:

- membrane contamination;
- relatively high initial cost;
- difficulty with membrane selection for particular system.

Extraction method.

Extraction is the method for organic solvent purification, based on different solubility of components entering into the mixture, between two phases immiscible to each other. This method is especially effective, when it is difficult to separate via distillation the admixtures present in the solvent to be processed or their boiling temperature is close to that of basic solvent.

In the extraction process, such solvent is used additionally, which has high selectivity towards specific admixture. Upon completion of the process takes place phase separation and extragent (extraction agent) regeneration if required [9,10].

Extraction is used for: removal of organic acids; separation of polar admixtures; removal of resinous compounds and compounds with high molecular mass.

The method advantages:

- high selectivity;
- it is possible to purify thermally sensitive compounds;
- relatively low temperature regime.

Shortcomings:

- need for additional solvent;
- multiple-stage process;
- necessity of subsequent removal of extragent (extraction agent)
- chemical treatment methods.

In some cases, chemical treatment is necessary for receipt of high-purity organic solvent. This method is used when it is impossible to remove admixtures using physical methods only [11,12].

For removal of water, acids and alkaline admixtures, as well as oxidative admixtures, the following chemical treatment methods are used: cryogenic and vacuum technologies. For regeneration of some high-purity solvents the special technologies, such as vacuum distillation and low-temperature selection are used.

Vacuum distillation makes it possible to reduce boiling temperature and to avoid decomposition of thermally unstable organic compounds.

This method is of great importance for pharmaceutical production, receipt of high-purity reagents and heat-sensitive solvents.

- Combined methods

Modern enterprises increasingly make use of integration of several technologies, since a single method doesn't not always guarantee complete removal of all types of admixtures.

For instance:

Distillation + adsorption.

Separation of basic solution is conducted using distillation, while adsorption removes the rest small amounts of organic admixtures [4].

Membrane technology + distillation

Membrane reduces content of water or specific components, while distillation secures final purification.

Chemical processing + adsorption.

Chemical method, when used, transforms or decomposes complex admixtures, and adsorbent provides final polishing.

Combined processes are especially important for modern green chemistry, since they reduce energy consumption and increases possibility of solvents' reuse [9,12].

Conclusions

Purification and regeneration of organic solvents is an important field of modern chemical technology. Restoration of used solvents reduces both manufacturing expenses and negative environmental impact.

Distillation, rectification, adsorption, membrane and other physical-chemical methods are widely used as of today. Each technology has its own advantages and restrictions, that is why their combination is frequently used for attaining high efficiency.

Application of energy-saving processes and ecologically safe adsorbents, including materials based on biomass, is particularly promising. Development of organic solvent regeneration will promote implementation of green chemistry principles and establishment of sustainable production.

References

1. Wypych, G. (2023). Handbook of Solvents. 3rd Edition. ChemTec Publishing.
2. Smallwood, I. M. (1996). Handbook of Organic Solvent Properties. Arnold Publishers.
3. Perry, R. H., & Green, D. W. (2019). Perry's Chemical Engineers' Handbook. 9th Edition. McGraw–Hill Education.
4. Seader, J. D., Henley, E. J., & Roper, D. K. (2016). Separation Process Principles. 4th Edition. Wiley.
5. Ruthven, D. M. (1984). Principles of Adsorption and Adsorption Processes. John Wiley & Sons.
6. Marsh, H., & Rodríguez-Reinoso, F. (2006). Activated Carbon. Elsevier.
7. Bansal, R. C., & Goyal, M. (2005). Activated Carbon Adsorption. CRC Press.
8. Mohan, D., & Pittman, C. U. (2006). Activated carbons and low-cost adsorbents for remediation of organic pollutants. Journal of Hazardous Materials, 137, 762–811.
9. Foo, K. Y., & Hameed, B. H. (2010). Insights into the modeling of adsorption isotherm systems. Chemical Engineering Journal, 156, 2–10.
10. IUPAC. (2015). Compendium of Chemical Terminology (Gold Book). International Union of Pure and Applied Chemistry.
11. U.S. Environmental Protection Agency (EPA). (2016). Solvents in the Workplace. Washington, DC: U.S. EPA.
12. European Chemicals Agency (ECHA). Guidance on the compilation of Safety Data Sheets. December 2020. Helsinki: European Chemicals Agency.

ორგანული გამხსნელების გასუფთავება და რეგენერაცია: თანამედროვე მიდგომები და განვითარების პერსპექტივები

ქარქაშაძე ნინო[1], ურიდია რუსუდანი[2], ბოლქვაძე ნონა[3], აბდუშელიშვილი ინგა[4], დოლიძე ლიპარიტ[5], წეროძე ნანა[6], ტატიაშვილი ლეილა[7], ცისკარიშვილი რუსუდანი[8], გვიდანი სოფიო[9]

[1]PhD ქიმიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. საქართველო, თბილისი. nino.karkashadze@tsu.ge; [2]PhD ბიოლოგიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. Orcidhttps://orcid.org/0009-0002-0685-2813 rusudan.uridia@tsu.ge; [3]PhD ქიმიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. საქართველო, თბილისი. bolkvadzenana04@gtu.ge; [4]PhD ბიოლოგიის დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ქიმიის პროფესორი. საქართველო, თბილისი. i.abdushelishvili@agruni.edu.ge; [5]PhD ქიმიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. საქართველო, თბილისი. liparit.dolidze@tsu.ge; [6]PhD ქიმიის ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი. საქართველო, თბილისი. nana.tserodze@tsu.ge; [7]PhD ქიმიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი. საქართველო, თბილისი. leila.tatiashvili@tsu.ge; [8]PhD ქიმიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. საქართველო, თბილისი. rusudan.tsiskarishvili@tsu.ge; [9]PhD ქიმიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ალ. ნათიშვილის სახ. მორფოლოგიის ინსტიტუტი, საქართველო, თბილისი. sofia.gvidani@tsu.ge

რეზიუმე

ორგანული გამხსნელები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ინდუსტრიის სხვადასხვა სექტორში, მათ შორის ფარმაცევტულ, ნავთობქიმიურ და პოლიმერების წარმოებაში, თუმცა ტექნოლოგიური პროცესების დროს ისინი თანდათან ბინძურდებიან მინარევებით. გამოყენებული გამხსნელების პირდაპირი უტილიზაცია დაკავშირებულია როგორც მნიშვნელოვან ეკონომიკურ დანაკარგებთან, ასევე გარემოს დაბინძურებასთან მრავალი ორგანული ნაერთების წარმოქმნის გზით. შესაბამისად, გაწმენდისა და რეგენერაციის ეფექტური ტექნოლოგიების შემუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს მდგრადი სამრეწველო საქმიანობისთვის. წინამდებარე ნაშრომში განხილულია გამხსნელების აღდგენის ძირითადი ფიზიკური, ქიმიური და კომბინირებული მეთოდები, მათი მოქმედების პრინციპები, უპირატესობები და შეზღუდვები. სტანდარტული ტექნოლოგიები, როგორებიცაა დისტილაცია და რექტიფიკაცია, იძლევა დიდი მოცულობის გადამუშავების საშუალებას, თუმცა ხასიათდება მაღალი ენერგომოხმარებით; ხოლო მემბრანული სეპარაცია, ექსტრაქცია და ვაკუუმური ტექნოლოგიები ენერგოეფექტურ გადაწყვეტილებებს გვთავაზობენ აზეოტროპული ან

თერმულად მგრძნობიარე ნარევებისთვის. ადსორბცია განსაკუთრებით ეფექტურია მცირე რაოდენობის მინარევების მოსაცილებლად, სადაც სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ბიომასაზე დაფუძნებულ ადსორბენტებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ლიგნინზე, რომლის ფუნქციური ჯგუფების მრავალფეროვნება, მაღალი ფორების არსებობა და ქიმიური მოდიფიცირების შესაძლებლობა იძლევა იაფი, მაღალეფექტური და ეკოლოგიურად უსაფრთხო ადსორბენტების შექმნის საშუალებას. გარდა ამისა, სულ უფრო ხშირად დანერგილია ინტეგრირებული პროცესები - მაგალითად, დისტილაციისა და ადსორბციის ან მემბრანული ტექნოლოგიების კომბინაცია -გამხსნელის მაღალი სიწმინდის მისაღწევად და ენერგიის მოხმარების ოპტიმიზაციისთვის. მთლიანობაში, ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიებისა და ბუნებრივი ადსორბენტების განვითარება ხელს უწყობს „მწვანე ქიმიის“ პრინციპების დანერგვასა და რესურსების მდგრად განმეორებით გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: *ორგანული გამხსნელები, რეგენერაცია, გაწმენდა, დისტილაცია, მემბრანული ტექნოლოგიები, ლიგნინის ადსორბენტები.*

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 8 Issue 3, 2026
https://doi.org/10.52340/gs.2026.08.03.16



კვლევის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება კადრების შეფასება/შერჩევის ამოცანის გადასაჭრელად მარკეტინგის სამსახურის მაგალითზე

მედეა თევდორაძე, ანა გერგაული

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

medeat@gtu.ge, gergauli.ana@gtu.ge

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ორგანიზაციაში არსებული პერსონალისა და რეკრუტინგის პროცესში კანდიდატის საქმიანობის შეფასების ამოცანის გადაჭრის მეთოდოლოგიის შემუშავება. შეფასება/შერჩევის პროცესისათვის ნაგულისხმევია ხელოვნური ნეირონული ქსელის შემუშავება და გამოყენება, რომელსაც შესავლელზე უნდა მიეწოდოს იმ პარამეტრების ნაკრების მნიშვნელობები, რომელიც საკმარისია მარკეტინგის სამსახურის თანამშრომლის საქმიანობის ანალიზისთვის და შეფასებისათვის. ხელოვნური ნეირონული ქსელის გამოსასვლელ შრეზე უნდა იყოს მიღებული გარკვეული კოეფიციენტი, რომელიც შემდგომ გამოიყენება სამსახურში მიმდინარე პროცესების მოდელირებისათვის დროითი პარამეტრების დასაკორექტირებლად. ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის განხორციელების სრული ციკლი: პარამეტრების სისტემის ჩამოყალიბება, პარამეტრების წონების განსაზღვრა, მოდელირების პროცესში დროითი პარამეტრების დასაკორექტირებლად განკუთვნილი კოეფიციენტის განსაზღვრა და შეფასება, კოეფიციენტების პროგნოზული მნიშვნელობების მიღება ხელოვნური ნეირონული ქსელის საშუალებით, მარკეტინგული პროცესების მოდელირება კოეფიციენტების სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის.

საკვანძო სიტყვები: პერსონალის/კანდიდატის შეფასების ამოცანის გადაჭრის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება, კანდიდატების შერჩევის/პერსონალის შეფასების პარამეტრების სისტემის ჩამოყალიბება, ხელოვნური ნეირონული ქსელის შემუშავება თანამშრომლების/კანდიდატების შესაფასებელი კოეფიციენტის პროგნოზირებისათვის, მარკეტინგული ბიზნეს-პროცესის მოდელირება.

შესავალი

ადამიანური რესურსების მართვა ორგანიზაციის სტრატეგიული მენეჯმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს (Liu, Li, & Xia, 2021; Yilmaz, 2023), რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციებით - იგი მოიცავს თანამშრომელთა შერჩევას/რეკრუტინგს, შესრულებული სამუშაოს შეფასებას, სწავლებისა და განვითარების დაგეგმვას, კარიერული ზრდის ხელშეწყობასა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესებას.

კადრების შერჩევა (რეკრუტინგი) გულისხმობს კვალიფიციური კანდიდატების მოძიებას, შეფასებასა და საუკეთესო კანდიდატის შერჩევას ორგანიზაციის მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად (De Alwis, Andrli´c, & Šostar, 2022). თანამედროვე პირობებში ამ პროცესში სულ უფრო აქტიურად ინერგება ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები. ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სისტემები ავტომატურად აანალიზებენ კანდიდატების რეზიუმეებს, ადარებენ მათ ვაკანსიის მოთხოვნებს, ადგენენ შესაბამისობის ხარისხს და რეკრუტერს სთავაზობენ ყველაზე პერსპექტიულ კანდიდატებს. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება ჩატ-ბოტების საშუალებით კანდიდატებთან პირველადი კომუნიკაციისთვის, ხშირად დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად და გასაუბრებების დაგეგმვის პროცესის ავტომატიზაციისთვის, რაც მნიშვნელოვნად ზრდის რეკრუტინგის ეფექტიანობას (Cayrat & Boxall, 2023).

ადამიანური რესურსების მართვის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პერსონალის საქმიანობის შეფასება, რომელიც წარმოადგენს თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს, შედეგებისა და პროფესიული კომპეტენციების სისტემურ ანალიზს. შეფასების შედეგები გამოიყენება თანამშრომელთა კარიერული განვითარების, წახალისების, ანაზღაურების სისტემის, სწავლებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების დაგეგმვისთვის (Zdravković, Panetto, & Weichhart, 2021). ტრადიციული შეფასების მეთოდები ხშირად ეფუძნება სუბიექტურ მოსაზრებებს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შეფასების ობიექტურობას ამცირებს, ხოლო ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული მოდელები მნიშვნელოვნად ზრდის მონაცემთა ანალიზის მიუკერძოებლობას, სიზუსტესა და ეფექტიანობას. თანამედროვე ანალიტიკური სისტემები თანამშრომელთა საქმიანობის შესაფასებლად ისეთ მონაცემებს იყენებენ, როგორიცაა შესრულებული სამუშაოს მოცულობა, პროექტების შედეგები, ხარისხობრივი მაჩვენებლები, მომხმარებელთა უკუკავშირი და სხვა მნიშვნელოვანი ინდიკატორები. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია თანამშრომლის საქმიანობის უფრო ობიექტური და კომპლექსური შეფასება. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტი ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას, პროგნოზირებას ახდენს მათი კარიერული განვითარების


პერსპექტივებს და რეკომენდაციას უწევს ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამებს (Bhardwaj, Singh, & Kumar, 2020; Zdravković, Panetto, & Weichhart, 2021).

Fraser, N. (1992). Rethinking the public sphere: A contribution to the critique of actually existing democracy. In C. Calhoun (Ed.), *Habermas and the public sphere* (pp. 109–142). MIT Press.

Georgian Charter of Journalistic Ethics. (2024a, December 20). *Satelevizio akhali ambebis monitoringis angarishi* [Television news monitoring report]. https://www.qartia.ge/ka/mediamonitoringi/article/99377

Georgian Charter of Journalistic Ethics. (2024b, December 20). *Satelevizio tokshouebis monitoringis angarishi* [Television talk-show monitoring report]. https://www.qartia.ge/ka/mediamonitoringi/article/99378

Gerring, J. (2007). *Case study research: Principles and practices*. Cambridge University Press.

Gersamia, M., Toradze, M., & Bandzeladze, M. (2023). *Media environment 2023: Challenges during political polarization and crisis in Georgia*. Media and Communication Educational and Research Center "Media Voice." https://doi.org/10.52340/9789941862014

Gersamia, M., Toradze, M., & Bandzeladze, M. (2024). Trust in media and effects of political polarization in Georgia [Conference abstract]. *Environment and Society, 12*(12). https://www.es.tsu.ge/index.php/es/article/view/192

Gerstl-Pepin, C. I. (2002). Media (mis)representations of education in the 2000 presidential election. *Educational Policy, 16*(1), 37–55. https://doi.org/10.1177/0895904802016001003

Gerstl-Pepin, C. I. (2007). Introduction to the special issue on the media, democracy, and the politics of education. *Peabody Journal of Education, 82*(1), 1–9. https://doi.org/10.1080/01619560709336534

Giddens, A. (2009). *Sociology* (6th ed.; rev. and updated with P. W. Sutton). Polity.

Government of Georgia. (2025a, January 20). *Umaghlesi ganatlebis reformis samtavrobo komisiis shekmnis shesakheb* [On the establishment of the Government Commission for Higher Education Reform] (Ordinance No. 103). https://www.gov.ge/files/618_91009_188575_103.pdf

Government of Georgia. (2025b, December 1). *Umaghlesi ganatlebis sistemis reformis erovnuli kontseptsiis damtkicebis shesakheb* [On approval of the national concept for reform of the higher education system] (Ordinance No. 1994). https://www.gov.ge/files/618_94373_219748_1994.pdf

Habermas, J. (1989 [1962]). *The structural transformation of the public sphere: An inquiry into a category of bourgeois society* (T. Burger, Trans.). MIT Press.

Habermas, J. (1996 [1992]). *Between facts and norms: Contributions to a discourse theory of law and democracy* (W. Rehg, Trans.). MIT Press.

Hall, S. (1980). Encoding/decoding. In S. Hall, D. Hobson, A. Lowe, & P. Willis (Eds.), *Culture, media, language: Working papers in cultural studies, 1972–79* (pp. 128–138). Hutchinson.

Kincha, S. (2021, July 23). Georgian Dream's anti-media crusade continues. *OC Media*. https://oc-media.org/georgian-dreams-anti-media-crusade-continues/

Magin, M., Stark, B., Jandura, O., Udris, L., Riedl, A., Klein, M., Eisenegger, M., Kösters, R., & Hofstetter Furrer, B. (2023). Seeing the whole picture: Towards a multi-perspective approach to news content diversity based on liberal and deliberative models of democracy. *Journalism Studies, 24*(5), 669–696. https://doi.org/10.1080/1461670X.2023.2178248

McCombs, M. E., & Shaw, D. L. (1972). The agenda-setting function of mass media. *Public Opinion Quarterly, 36*(2), 176–187. https://doi.org/10.1086/267990

Ministry of Education, Science and Youth of Georgia. (2025, October 16). *Umaghlesi ganatlebis reformis kontseptsiis prezentatsia* [Presentation of the higher education reform concept]. https://mes.gov.ge/content.php?id=14304&lang=geo

Santos, Í., Carvalho, L. M., & Portugal e Melo, B. (2022). The media's role in shaping public opinion on education: A thematic and frame analysis of externalisation to world situations in the Portuguese media. *Research in Comparative and International Education, 17*(1), 29–50. https://doi.org/10.1177/17454999211057753

Schultz, T. W. (1961). Investment in human capital. *American Economic Review, 51*(1), 1–17. https://www.jstor.org/stable/1818907

Shoemaker, P. J., & Vos, T. P. (2009). *Gatekeeping theory*. Routledge.
Steenbergen, M. R., Bächtiger, A., Spörndli, M., & Steiner, J. (2003). Measuring political deliberation: A discourse quality index. *Comparative European Politics, 1*(1), 21–48. https://doi.org/10.1057/palgrave.cep.6110002
Thompson, J. B. (1995). *The media and modernity: A social theory of the media*. Polity Press.
Toulmin, S. E. (2012). *The uses of argument*. Cambridge University Press.
Tsuladze, L., & Abzianidze, N. (2025). Polarisation through deviation discourse: Strategic usage of Europeanisation by political and media actors in Georgia. *East European Politics*. Advance online publication. https://doi.org/10.1080/21599165.2025.2491139
van Leeuwen, T. (2007). Legitimation in discourse and communication. *Discourse & Communication, 1*(1), 91–112. https://doi.org/10.1177/1750481307071986

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სტატია ეხება სატელევიზიო დებატის დელიბერაციული ხარისხის შესწავლას ტელეკომპანია „იმედის“, როგორც საქართველოს ხელისუფლებასთან აფილირებული ტელემედიის, ეთერში გამართული საჯარო დისკუსიის მაგალითზე. მსჯელობა ეხებოდა განათლების სისტემაში მიმდინარე ფუნდამენტურ ცვლილებებს. კვლევის მიზანია, გააანალიზოს ერთი მხრივ, დებატის, როგორც ანალიტიკური ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ჟანრის, მონაწილეთა მიერ დისკუსიის დღის წესრიგის შექმნა და მეორე მხრივ, ონლაინ აუდიტორიის მიერ ამ დისკურსული ჩარჩოების აღქმა. ყურადღება გამახვილდა იმ ხერხებზე, კერძოდ, მტკიცებულებებისა და ავტორიტეტის გამოყენებაზე, რომელსაც გადაცემის სტუმრები მიმართავდნენ, რათა მოეპოვებინათ დისკურსზე წვდომა.
სტატია ეფუძნება მედიამონიტორინგსა და უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ განსხვავებული მოსაზრებების ტელეგაშუქების შემთხვევის სიღრმისეულ ანალიზს.
აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის საფუძველზე ოთხი სატელევიზიო ანალიტიკური აგდაცემის 127 ეპიზოდიდან, რომელიც „უმაღლესი განათლების ეროვნული კონცეფციის“ წარდგენის დღიდან (2025 წლის 16 ოქტომბერი) 2026 წლის ეროვნული გამოცდების დაწყებამდე (2026 წლის 2 ივლისი) გავიდა ეთერში, განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს მხოლოდ 4 ეპიზოდი დაეთმო, ხოლო საჯარო განხილვა განსხვავებული მოსაზრებების მქონე სხვადასხვა სტატუსის აქტორებს შორის სატელევიზიო ეთერში მხოლოდ ერთხელ, ტელეკომპანია „იმედის“ ანალიტიკური გადაცემის „ღია ეთერი-დებატები“ 2026 წლის 14 თებერვლის ეპიზოდში, შედგა. შესაბამისად, გაანალიზდა აღნიშნული გადაცემის ტრანსკრიპტი დისკურსის ხარისხის ინდექსის ადაპტირებული ვერსიის, დისკუსიის თემატური დღის წესრიგის, არგუმენტაციისა და დისკურსული ლეგიტიმაციის მიდგომების გამოყენებით. ადრესატების მიერ დისკურსული ჩარჩოების აღქმის თავისებურებათა გამოვლენის

მიზნით, ჩატარდა YouTube-ზე გამოქვეყნებული 122 ქართულენოვანი კომენტარის თვისებრივი კონტენტ-ანალიზი.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გადაცემის სტუმრებს დისკურსზე წვდომა არ ჰქონდათ თანაბრად. შესაბამისად, ასიმეტრია გამოიკვეთა დისკუსიის თემატური დღის წესრიგის შექმნის კუთხითაც. კერძოდ, 19 ძირითადი თემიდან 13 პრემიერ მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ, წამოჭრა. საეთერო დროც სხვა სტუმრებთან შედარებით მეტი დაიკავა და საგულისხმოა, რომ 108 კოდირებული მტკიცებიდან 63 მას ეკუთვნის. თუმცა, რაც შეეხება მტკიცებულებით მსჯელობას, მისი დისკურსი გადაცემის სხვა მონაწილეებთან შედარებით ნაკლებად ეყრდნობოდა ემპირიულ დასაბუთებას. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური და განათლების პოლიტიკის სფეროს წარმომადგენლებმა ვერ მოიპოვეს კომუნიკაციური დომინირება, რადგან ნაკლებ მტკიცებას გამოთქვამდნენ, მათი მსჯელობა უფრო მეტად იყო გამყარებული თანმიმდევრული ემპირიული მონაცემებითა და პროფესიული ცოდნით.

აღსანიშნავია, რომ გადაცემაში წარმოდგენილი საერთო მტიკიცებების 30.6% დაუსაბუთებელი იყო, ხოლო 60.2% მინიმუმ 1 მსჯელობის ხარვეზს შეიცავდა. ჩვენ მიერ შესწავლილი დებატის დელიბერაციული ხარისხი ასევე შეიზღუდა იმ 31 ეპიზოდით, რომელშიც გამოიკვეთა ირონია, სარკაზმი და პიროვნული და/ან პროფესიული დისკრედიტაცია.

ონლაინ აუდიტორიის 122 კომენტარის თვისებრივმა კონტენტ-ანალიზმა დაადასტურა, რომ კომენტატორები შეტყობინების პასიური მიმღებნი არ ყოფილან. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა დისკურსული ჩარჩოების გამეორება, გაძლიერება, პოლარიზებული ინტერპრეტაციებით გარდაქმნა და რიგ შემთხვევებში, კონკრეტული პოლიტიკური ჩარჩოებით ჩანაცვლება.

ამგვარად, ერთი შემთხვევის, ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემის „ღია ეთერი-დებატები“ 2026 წლის 14 თებერვლის ეპიზოდის, სიღრმისეულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ფორმალური პლურალიზმი ტელეეთერში შინაარსობრივად თანასწორ დელიბერაციულ დისკურსად ვერ გარდაიქმნა. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ მიღებული შედეგები ვერ განზოგადდება, რადგან მხოლოდ ერთი მიზნობრივად შერჩეული ეპიზოდით გამოვლინდა. სამაგიეროდ, აღსანიშნავია, რომ სტატიაში წარმოდგენილი კვლევის შედეგები ფუნდამენტურ საფუძველს ქმნის შემდგომი ფართომასშტაბიანი კვლევისთვის, რათა დადგინდეს, ჩვენ მიერ გამოვლენილი ასიმესტია მხოლოდ ამ კონკრეტული გადაცემის თავისებურებაა თუ ქართული პოლარიზებული მედიასისტემის მახასიათებელი.

საკვანძო სიტყვები: დელიბერაცია,უმაღლესი განათლების სისტემის ცვლილება, სატელევიზიო დებატი, დღის წესრიგი, საქართველო

ავტორები:
თინათინ მაჭარაშვილი, ასოცირებული პროფესორი ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, +995 598426778, tinatini.matcharashvili@tsu.ge
თეონა მატარაძე, ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური დეპარტამენტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (+995 5 99) 16 79 76, teona.mataradze@tsu.ge

ნათია სვანიძე, ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, +995 591 83 82 82, natia.svanidze@tsu.ge

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 8 Issue 3, 2026
https://doi.org/10.52340/gs.2026.08.03.23

MT1 მელატონინის რეცეპტორის ექსპრესია სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპისა და დისპლაზიის ხარისხის კოლორექტულ პოლიპებში

ლაშა ჩინჩალაძე[1]; თამარ სალაძე[2]; გიორგი ბურკაძე[3]; შოთა კეპულაძე[4]

[1]თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტი; [2]თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; [3]თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; პროფესორი; [4]თსსუ მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ექიმი პათოლოგანატომი

აბსტრაქტი

მელატონინის რეცეპტორებით განპირობებული სიგნალის გადაცემა მონაწილეობს უჯრედული პროლიფერაციის, აპოპტოზისა და სხვა პროცესების რეგულაციაში, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს კოლორექტულ კარცინოგენეზთან. მიუხედავად ამისა, MT1 რეცეპტორის ექსპრესია კოლორექტული პრეკურსორული დაზიანებების სხვადასხვა ჰისტოლოგიურ კატეგორიასა და დისპლაზიის ხარისხში არასაკმარისად არის შესწავლილი.

აღნიშნული კვლევის მიზანი იყო MT1 მელატონინის რეცეპტორის იმუნოჰისტოქიმიური ექსპრესიის შეფასება სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპის კოლორექტულ პოლიპებში და მისი კავშირის განსაზღვრა დისპლაზიის არსებობასა და ხარისხთან.

კვლევა მოიცავდა 29 კოლორექტული პოლიპის შემთხვევას. ჰისტოლოგიური შეფასების საფუძველზე დაზიანებები დაჯგუფდა არანეოპლაზიურ პოლიპებად, დაკბილულ დაზიანებებად და ტუბულურ ადენომებად. დისპლაზია კლასიფიცირდა როგორც არარსებული, დაბალი ხარისხის ან მაღალი ხარისხის. MT1-ის იმუნოჰისტოქიმიური ექსპრესია შეფასდა ნახევრად რაოდენობრივი H-score სისტემით (0–300), რომელიც ითვალისწინებდა როგორც დადებითი უჯრედების პროცენტულ რაოდენობას, ასევე შეღებვის ინტენსივობას. ჯგუფთაშორისი შედარებისთვის გამოყენებულ იქნა Mann–Whitney U და Kruskal–Wallis-ის ტესტები, ხოლო დისპლაზიის ხარისხსა და MT1-ის ექსპრესიას შორის კავშირი შეფასდა Spearman-ის რანგული კორელაციით.

MT1 H-score-ის მედიანა მთლიან კოჰორტაში შეადგენდა 140-ს (IQR, 60–150). MT1-ის ექსპრესია მნიშვნელოვნად დაბალი იყო დისპლაზიურ დაზიანებებში დისპლაზიის

არმქონე დაზიანებებთან შედარებით: მედიანური H-score შესაბამისად 40 (IQR, 40–45) და 140 (IQR, 120–160) იყო (p = 0.00020). დისპლაზიის ხარისხის მიხედვით განსხვავებაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო (p = 0.000885). MT1 H-score-სა და დისპლაზიის მზარდ ხარისხს შორის გამოვლინდა ძლიერი უარყოფითი კორელაცია (Spearman ρ = –0.706; p = 0.000019). ფართო ჰისტოლოგიურ კატეგორიებს შორის MT1-ის ექსპრესიის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ იყო (p = 0.383). ასევე არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი კავშირი MT1 H-score-სა და პაციენტის ასაკს, სქესს ან პოლიპის ზომას შორის.

MT1-ის შემცირებული ექსპრესია ასოცირებული იყო კოლორექტულ პოლიპებში დისპლაზიის არსებობასა და მის ხარისხთან. მიღებული მონაცემები მიუთითებს, რომ MT1-ის ექსპრესიის ცვლილება შესაძლოა უფრო მეტად უკავშირდებოდეს დისპლაზიურ ფენოტიპს, ვიდრე მხოლოდ პოლიპის ჰისტოლოგიურ ტიპს. მცირე კოჰორტის გათვალისწინებით, MT1-ის შესაძლო მნიშვნელობა კოლორექტული ნეოპლაზიის ადრეულ ეტაპებზე საჭიროებს შეფასებას უფრო ფართო და დეტალურად კლასიფიცირებულ შემთხვევათა ჯგუფებში.

საკვანძო სიტყვები: მელატონინი; MT1; მელატონინის რეცეპტორი; კოლორექტული პოლიპები; დისპლაზია; კოლორექტული ნეოპლაზია;

შესავალი

კოლორექტული კიბო მსოფლიოში ავთვისებიანი სიმსივნეებით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს.[1] შემთხვევათა მნიშვნელოვანი ნაწილი ვითარდება წინამორბედი ეპითელური დაზიანებების ეტაპობრივი პროგრესიის შედეგად. კოლორექტული პოლიპების დროული გამოვლენა და მოცილება ამცირებს ინვაზიური კარცინომის განვითარების რისკს, თუმცა სხვადასხვა ტიპის პოლიპს განსხვავებული ნეოპლაზიური პოტენციალი ახასიათებს. ამ განსხვავებების საფუძველს წარმოადგენს როგორც მორფოლოგიური თავისებურებები, ასევე უჯრედული პროლიფერაციის, დიფერენციაციისა და უჯრედშიდა სასიგნალო გზების ცვლილებები.[2]

კოლორექტული პრეკურსორული დაზიანებები მოიცავს კონვენციურ-ტუბულურ ადენომებსა და სერაციულ/დაკბილულ დაზიანებებს. კონვენციური ადენომები ტრადიციულად განიხილება ადენომა–კარცინომის თანმიმდევრობის ნაწილად და მათი პროგრესიის რისკი დაკავშირებულია ზომასთან, არქიტექტურულ თავისებურებებთან და დისპლაზიის ხარისხთან.[2], [3] სერაციული დაზიანებები წარმოადგენს მორფოლოგიურად და მოლეკულურად განსხვავებულ ჯგუფს და კოლორექტული კარცინოგენეზის ალტერნატიულ გზაში მონაწილეობს. მიუხედავად განსხვავებული მოლეკულური საფუძვლისა, ორივე გზის პროგრესიისას ვითარდება ეპითელური დისპლაზია, რომელიც ასახავს ნეოპლაზიურ მორფოლოგიურ და ბიოლოგიურ ცვლილებებს.

კოლორექტული ნეოპლაზიის განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უჯრედული პროლიფერაციისა და დიფერენციაციის მარეგულირებელი სასიგნალო სისტემების დარღვევას. კონვენციური ადენომა–კარცინომის გზის ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენა Wnt/β-კატენინის სასიგნალო სისტემის დისრეგულაციაა, თუმცა ნეოპლაზიური პროგრესია მხოლოდ ერთი მოლეკულური გზით არ განისაზღვრება. [4]ეპითელური ჰომეოსტაზის ცვლილებაში მონაწილეობს მრავალი დამატებითი რეგულატორული მექანიზმი, მათ შორის ჰორმონული და რეცეპტორ-დამოკიდებული სიგნალის გადაცემა. ამ კონტექსტში ინტერესს წარმოადგენს მელატონინისა და მისი რეცეპტორების შესაძლო მონაწილეობა კოლორექტული ნეოპლაზიის ბიოლოგიაში.

მელატონინი ძირითადად ეპიფიზში სინთეზირებული ინდოლამინია, რომელიც მონაწილეობს ცირკადული რიტმის რეგულაციაში, თუმცა მისი ბიოლოგიური მოქმედება ამ ფუნქციით არ შემოიფარგლება.[5] მელატონინი ასევე წარმოიქმნება ექსტრაპინეალურ ქსოვილებში, მათ შორის კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, სადაც მისი კონცენტრაცია შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ცირკულაციაში არსებული დონისგან. ექსპერიმენტული მონაცემებით, მელატონინი მონაწილეობს ოქსიდაციური სტრესის, ანთებითი პასუხის, უჯრედული პროლიფერაციისა და აპოპტოზის რეგულაციაში.[6], [7] ამ პროცესების გათვალისწინებით, მელატონინის სასიგნალო სისტემა შესწავლილია სხვადასხვა ნეოპლაზიური დაავადების კონტექსტშიც.

მელატონინის რეცეპტორებიდან ყველაზე უკეთ შესწავლილია MT1 და MT2, რომლებიც კოდირებულია შესაბამისად **MTNR1A** და **MTNR1B** გენებით და მიეკუთვნება G-პროტეინთან დაწყვილებული რეცეპტორების ოჯახს. რეცეპტორების აქტივაციას შეუძლია შეცვალოს რამდენიმე უჯრედშიდა სასიგნალო მექანიზმი, მათ შორის cAMP/PKA და MAPK/ERK გზები. სიმსივნურ მოდელებში მელატონინთან დაკავშირებული ეფექტები მოიცავს უჯრედული ციკლის რეგულაციას, პროლიფერაციის შემცირებასა და აპოპტოზური პროცესების მოდულაციას. თუმცა ამ მექანიზმების მნიშვნელობა დამოკიდებულია ქსოვილის ტიპზე, რეცეპტორის ექსპრესიაზე და სიმსივნის მოლეკულურ კონტექსტზე.

MT1-ის შესაძლო როლი განსაკუთრებით საინტერესოა კოლორექტული კარცინოგენეზის თვალსაზრისით. კოლორექტულ სიმსივნურ ქსოვილში აღწერილია მელატონინის რეცეპტორული სისტემის ცვლილებები, ხოლო ექსპერიმენტულ კვლევებში მელატონინის სიგნალის გადაცემა დაკავშირებულია პროლიფერაციული და გადარჩენის გზების მოდულაციასთან.[8], [9] ამასთან, მონაცემები MT1-ის ექსპრესიის შესახებ უშუალოდ კოლორექტულ პრეკურსორულ დაზიანებებში გაცილებით შეზღუდულია. განსაკუთრებით ნაკლებად არის შესწავლილი, იცვლება თუ არა MT1-ის რაოდენობრივი ექსპრესია პოლიპის ჰისტოლოგიური ტიპისა და დისპლაზიის ხარისხის შესაბამისად.

ამ საკითხის შესწავლას მნიშვნელობა აქვს კოლორექტული კარცინოგენეზის ადრეული ეტაპების უკეთ დასახასიათებლად. თუ MT1-ის ექსპრესიის ცვლილება უკვე დისპლაზიურ პოლიპებში ვითარდება და დაკავშირებულია დისპლაზიის ხარისხთან, იგი შესაძლოა ასახავდეს მელატონინის რეცეპტორ-დამოკიდებული რეგულაციის

ცვლილებას ინვაზიური კარცინომის ჩამოყალიბებამდე. ამასთან, მხოლოდ სხვადასხვა ჰისტოლოგიურ კატეგორიას შორის განსხვავების გამოვლენა არ არის საკმარისი იმის დასადგენად, უკავშირდება თუ არა MT1 კონკრეტულ ნეოპლაზიურ გზას, დისპლაზიურ ტრანსფორმაციას ან ორივე პროცესს. ამისათვის საჭიროა რეცეპტორის რაოდენობრივი შეფასება და მისი შედარება როგორც ჰისტოლოგიური ტიპის, ასევე დისპლაზიის ხარისხის მიხედვით.

წინამდებარე კვლევის მიზანს შეადგენს **MT1 მელატონინის რეცეპტორის იმუნოჰისტოქიმიური ექსპრესიის რაოდენობრივი შეფასება სხვადასხვა ჰისტოლოგიური კატეგორიის კოლორექტულ პოლიპებში და მისი კავშირის განსაზღვრა დისპლაზიის არსებობასა და ხარისხთან**. დამატებით შეფასდა MT1-ის ექსპრესიის კავშირი კლინიკურ-პათოლოგიურ მახასიათებლებთან, მათ შორის პაციენტის ასაკთან, სქესთან და პოლიპის ზომასთან.

მასალა და მეთოდები

კვლევა წარმოადგენს რეტროსპექტული, დაკვირვებითი, კოჰორტული, ქსოვილზე დაფუძნებული კვლევის ტიპს, რომლის მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპისა და დისპლაზიის ხარისხის მქონე კოლორექტულ პოლიპებში მელატონინის რეცეპტორ MT1-ის ექსპრესიის შეფასება. მიმდინარე ანალიზში ჩართული იყო 29 კოლორექტული პოლიპის შემთხვევა, რომელთათვისაც ხელმისაწვდომი იყო შესაბამისი კლინიკურ-პათოლოგიური მონაცემები, ჰემატოქსილინ-ეოზინით (H&E) შეღებილი პრეპარატები და იმუნოჰისტოქიმიური შეფასებისთვის საკმარისი ფორმალინში ფიქსირებული, პარაფინში ჩაყალიბებული (FFPE) ქსოვილი.

კვლევაში ჩართვის კრიტერიუმებს წარმოადგენდა კოლორექტული პოლიპის ჰისტოლოგიურად დადასტურებული დიაგნოზი, საკმარისი რაოდენობის შენარჩუნებული ქსოვილის არსებობა და MT1-ის იმუნოჰისტოქიმიური შეფასების შესაძლებლობა. არასაკმარისი ან მნიშვნელოვნად დაზიანებული ქსოვილის, არასრულფასოვანი იმუნოჰისტოქიმიური რეაქციის ან ინტერპრეტაციისთვის არასაკმარისი ლიზიური კომპონენტის მქონე შემთხვევები კვლევიდან გამოირიცხა.

კლინიკურ-პათოლოგიური მონაცემები შეგროვდა კვლევისთვის შექმნილ სტანდარტიზებულ მონაცემთა ბაზაში. მიმდინარე ანალიზისთვის გამოყენებული ცვლადები მოიცავდა პაციენტის ასაკს, სქესს, ნიმუშის ტიპს, პოლიპის ანატომიურ ლოკალიზაციას, ზომას, ჰისტოლოგიურ კატეგორიას, დისპლაზიის არსებობასა და ხარისხს.

FFPE ქსოვილებიდან მომზადებული H&E-ით შეღებილი პრეპარატები შეფასდა პოლიპის ჰისტოლოგიური ტიპისა და დისპლაზიის არსებობის დასადგენად. მიმდინარე მონაცემთა ბაზაში დაზიანებები დაჯგუფებული იყო სამ ძირითად კატეგორიად: არანეოპლაზიური პოლიპები, სერაციული დაზიანებები და კონვენციური ადენომები.

დისპლაზიური ცვლილებები კლასიფიცირდა როგორც დისპლაზიის გარეშე, დაბალი ხარისხის დისპლაზია და მაღალი ხარისხის დისპლაზია. შეფასებისას

გათვალისწინებული იყო ეპითელური არქიტექტურის დარღვევა, ბირთვული ატიპია, ბირთვების სტრატიფიკაცია და პოლარობის დაკარგვა, მიტოზური აქტივობა და ციტოლოგიური მომწიფების ხარისხი.

MT1-ის იმუნოჰისტოქიმიური კვლევა ჩატარდა FFPE ქსოვილის წარმომადგენლობით ბლოკებზე, რომლებიც შეიცავდა შეფასებისთვის საკმარისი რაოდენობის ეპითელიუმს. თითოეული შემთხვევისთვის შეირჩა შესაბამისი H&E პრეპარატით დადასტურებული წარმომადგენლობითი უბანი.
MT1-ის იმუნოჰისტოქიმიური რეაქციის შეფასება განხორციელდა მხოლოდ ეპითელურ უჯრედებში. სტრომული, ანთებითი და სისხლძარღვოვანი კომპონენტები რაოდენობრივ შეფასებაში არ იქნა გათვალისწინებული. შეღებვის ინტენსივობა კლასიფიცირდა ოთხ კატეგორიად: 0 — სპეციფიკური შეღებვის არარსებობა; 1+ — სუსტი, მაგრამ მკაფიოდ იდენტიფიცირებადი შეღებვა; 2+ — საშუალო ინტენსივობის შეღებვა; და 3+ — ძლიერი შეღებვა. თითოეული ინტენსივობის კატეგორიისთვის განისაზღვრა შესაბამისი ეპითელური უჯრედების პროცენტული წილი.
MT1-ის ექსპრესიის ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებელი იყო H-score, რომელიც გამოითვალა შემდეგი ფორმულით:
H-score = (1 × 1+ უჯრედების %) + (2 × 2+ უჯრედების %) + (3 × 3+ უჯრედების %).

შესაბამისად, H-score-ის შესაძლო მნიშვნელობა მერყეობდა 0-დან 300-მდე. ნულოვანი ინტენსივობის მქონე უჯრედები H-score-ში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ. MT1 H-score სტატისტიკურ ანალიზში გამოყენებულ იქნა როგორც უწყვეტი რაოდენობრივი ცვლადი. წინასწარ განსაზღვრული „დაბალი“ და „მაღალი“ ექსპრესიის ხელოვნური ზღვარი არ იქნა გამოყენებული, რადგან კოლორექტული პოლიპებისთვის MT1-ის კლინიკურად ვალიდირებული უნივერსალური cut-off მნიშვნელობა დადგენილი არ არის.

სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა MT1 H-score-ისა და კლინიკურ-ჰისტოპათოლოგიური მახასიათებლების ურთიერთკავშირის შესაფასებლად. კატეგორიული ცვლადები წარმოდგენილი იყო აბსოლუტური სიხშირეებითა და პროცენტული მაჩვენებლებით. უწყვეტი ცვლადებისთვის გამოითვალა საშუალო მნიშვნელობა და სტანდარტული გადახრა (SD), ასევე მედიანა და ინტერკვარტილური დიაპაზონი (IQR).
MT1 H-score-ის განაწილებისა და საკვლევი ქვეჯგუფების მცირე მოცულობის გათვალისწინებით, ჯგუფთაშორისი ძირითადი შედარებები განხორციელდა არაპარამეტრული მეთოდებით. ორ დამოუკიდებელ ჯგუფს შორის MT1 H-score-ის შედარებისთვის გამოყენებულ იქნა Mann–Whitney U ტესტი. სამი ან მეტი დამოუკიდებელი ჯგუფის შედარებისთვის გამოყენებულ იქნა Kruskal–Wallis-ის ტესტი.

მნიშვნელოვანი საერთო განსხვავების გამოვლენის შემთხვევაში ჩატარდა წყვილობრივი post hoc შედარებები მრავლობითი ტესტირების Holm-ის კორექციით.
დისპლაზიის ხარისხსა და MT1 H-score-ს შორის მონოტონური კავშირის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა Spearman-ის რანგული კორელაციის კოეფიციენტი (ρ). იგივე მეთოდი გამოყენებულ იქნა MT1 H-score-ის ასაკთან და პოლიპის ზომასთან კავშირის შესაფასებლად.
ყველა სტატისტიკური ტესტი იყო ორმხრივი. სტატისტიკური სარწმუნო მნიშვნელობის ზღვრად განისაზღვრა $p < 0.05$.
კვლევა ეფუძნებოდა არქივულ FFPE ქსოვილოვან მასალასა და შესაბამის დეიდენტიფიცირებულ კლინიკურ-პათოლოგიურ მონაცემებს. მონაცემთა დამუშავებისას დაცული იყო პაციენტთა კონფიდენციალურობა.

კვლევის შედეგები

კვლევის მიმდინარე კოჰორტა მოიცავდა 29 კოლორექტული პოლიპის ნიმუშს. პაციენტთა მედიანური ასაკი იყო 50 წელი (ინტერკვარტილური დიაპაზონი [IQR], 45–55 წელი; დიაპაზონი, 35–65 წელი). მათგან 18 (62.1%) იყო მამაკაცი და 11 (37.9%) - ქალი. ნიმუშების უმრავლესობა მიღებული იყო პოლიპექტომიის შედეგად (23/29; 79.3%), ხოლო ენდოსკოპიური მუკოზური რეზექციითა და ბიოფსიით მიღებული იყო შესაბამისად 3-3 შემთხვევა (10.3%). პოლიპის ზომის მედიანა შეადგენდა 12 მმ-ს (IQR, 10–22 მმ; დიაპაზონი, 5–30 მმ). 20 დაზიანება (69.0%) ლოკალიზებული იყო აღმავალ კოლონში, ხოლო განივ, დაღმავალ და სიგმოიდურ კოლონში წარმოდგენილი იყო თითოეულში 3-3 შემთხვევა.
არსებული ჰისტოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, 13 დაზიანება (44.8%) მიეკუთვნებოდა არანეოპლაზიურ პოლიპებს, 9 (31.0%) - სერაციულ დაზიანებებს, ხოლო 7 (24.1%) - კონვენციურ ადენომებს. დისპლაზია არ აღინიშნებოდა 22 შემთხვევაში (75.9%), ხოლო 7 შემთხვევაში (24.1%) წარმოდგენილი იყო დისპლაზიური ცვლილებები. დისპლაზიური დაზიანებებიდან 3 შემთხვევა კლასიფიცირებული იყო დაბალი ხარისხის, ხოლო 4 - მაღალი ხარისხის დისპლაზიად. 13 არანეოპლაზიური პოლიპიდან არც ერთში არ გამოვლენილა დისპლაზია. დისპლაზია აღინიშნებოდა 9 სერაციული დაზიანებიდან 3-ში (33.3%) და 7 კონვენციური ადენომიდან 4-ში (57.1%).
MT1-ის ექსპრესიის შეფასება შესაძლებელი იყო ყველა 29 შემთხვევაში. ექსპრესია შეფასდა ნახევრად რაოდენობრივი H-score სისტემით, რომლის შესაძლო დიაპაზონი შეადგენდა 0–300-ს. მთლიან კოჰორტაში MT1 H-score-ის მედიანა იყო 140 (IQR, 60–150), ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობები მერყეობდა 20-დან 240-მდე. საშუალო H-score შეადგენდა 117.2 ± 58.1-ს.
MT1-ის ექსპრესია რიცხობრივად განსხვავდებოდა ძირითად ჰისტოლოგიურ კატეგორიებს შორის, თუმცა საერთო განსხვავებამ სტატისტიკურ მნიშვნელობას ვერ მიაღწია. არანეოპლაზიურ პოლიპებში MT1 H-score-ის მედიანა შეადგენდა 140-ს (IQR,

100–150), სერაციულ დაზიანებებში - 140-ს (IQR, 60–180), ხოლო კონვენციურ ადენომებში - 50-ს (IQR, 40–135). შესაბამისი საშუალო მნიშვნელობები იყო 126.2 ± 36.9, 126.7 ± 73.0 და 88.6 ± 68.4. სამ ჰისტოლოგიურ ჯგუფს შორის საერთო განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ იყო (Kruskal–Wallis H = 1.92; p = 0.383). შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციურ ადენომებში აღწერილობითი ანალიზისას MT1-ის შედარებით დაბალი ექსპრესია აღინიშნებოდა, ჯგუფებს შიგნით არსებული ვარიაბელობა არ იძლეოდა მხოლოდ ფართო ჰისტოლოგიური კატეგორიის მიხედვით დამოუკიდებელი განსხვავების დადასტურების შესაძლებლობას.

უფრო მკვეთრი განსხვავება გამოვლინდა დაზიანებების დისპლაზიური სტატუსის მიხედვით დაყოფისას. დისპლაზიის გარეშე დაზიანებებში MT1 H-score-ის მედიანა იყო 140 (IQR, 120–160), ხოლო დისპლაზიურ დაზიანებებში - 40 (IQR, 40–45). საშუალო H-score შესაბამის ჯგუფებში შეადგენდა 141.4 ± 44.0-ს და 41.4 ± 12.1-ს. ჯგუფებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო (Mann–Whitney U = 150.0; p = 0.00020). დისპლაზიის გარეშე და დისპლაზიურ დაზიანებებს შორის Hodges–Lehmann-ის შეფასებით H-score-ის სხვაობა დაახლოებით 100 ერთეულს შეადგენდა, bootstrap 95%-იანი სარწმუნოობის ინტერვალით დაახლოებით 80–120. რანგზე დაფუძნებული ეფექტის ზომა დიდი იყო (Cliff's δ = 0.95; bootstrap 95% CI, 0.82–1.00), რაც მიუთითებდა MT1-ის ექსპრესიის განაწილებების მხოლოდ მცირე გადაფარვაზე დისპლაზიურ და არადისპლაზიურ დაზიანებებს შორის.


დისპლაზიის სამდონიანი, მოწესრიგებული კატეგორიული ცვლადის სახით შეფასებისას გამოვლინდა MT1-ის ექსპრესიის მკვეთრი შემცირება დისპლაზიის არმქონე დაზიანებებიდან დაბალი და მაღალი ხარისხის დისპლაზიის მიმართულებით. დისპლაზიის გარეშე დაზიანებებში H-score-ის მედიანა იყო 140 (IQR, 120–160), დაბალი ხარისხის დისპლაზიის დროს - 40 (IQR, 40–50), ხოლო მაღალი ხარისხის დისპლაზიის დროს - 40 (IQR, 35–42.5). საშუალო H-score შესაბამის ჯგუფებში შეადგენდა 141.4 ± 44.0-ს, 46.7 ± 11.5-ს და 37.5 ± 12.6-ს. ჯგუფებს შორის საერთო განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო (Kruskal–Wallis H = 14.06; p = 0.000885).

დისპლაზიის ხარისხის ზრდასა და MT1 H-score-ს შორის გამოვლინდა ძლიერი უარყოფითი მონოტონური კავშირი (Spearman ρ = –0.706; p = 0.000019). შესაბამისად, დისპლაზიური ცვლილებების სიმძიმის ზრდა ასოცირებული იყო MT1-ის ექსპრესიის შემცირებასთან.


იმის შესაფასებლად, შეიძლებოდა თუ არა აღნიშნული კავშირი განპირობებული ყოფილიყო ფართო ჰისტოლოგიური კატეგორიებით და არა უშუალოდ დისპლაზიით, MT1-ის ექსპრესია დამატებით შეფასდა დისპლაზიის არმქონე დაზიანებებში. ამ ჯგუფში MT1 H-score-ის მედიანა არანეოპლაზიურ პოლიპებში შეადგენდა 140-ს (IQR, 100–150), სერაციულ დაზიანებებში - 165-ს (IQR, 142.5–195), ხოლო იმ სამ შემთხვევაში, რომლებიც ამჟამად კლასიფიცირებულია როგორც კონვენციური ადენომა დისპლაზიის გარეშე - 150-ს (IQR, 135–175). აღნიშნულ ჯგუფებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ იყო (Kruskal–Wallis p = 0.210).

ცხრილი 1. MT1-ის ექსპრესია ჰისტოლოგიური კატეგორიისა და დისპლაზიის მიხედვით,

ცვლადი	*n*	*MT1 H-score, მედიანა (IQR)*	*საშუალო ± SD*	*p-მნიშვნელობა*
ჰისტოლოგიური კატეგორია				**0.383**
არანეოპლაზიური პოლიპი	13	140 (100–150)	126.2 ± 36.9	
სერაციული დაზიანება	9	140 (60–180)	126.7 ± 73.0	
კონვენციური ადენომა	7	50 (40–135)	88.6 ± 68.4	
დისპლაზიის სტატუსი				**0.00020**
დისპლაზიის გარეშე	22	140 (120–160)	141.4 ± 44.0	
დისპლაზია	7	40 (40–45)	41.4 ± 12.1	
დისპლაზიის ხარისხი				**0.000885**
დისპლაზიის გარეშე	22	140 (120–160)	141.4 ± 44.0	
დაბალი ხარისხის	3	40 (40–50)	46.7 ± 11.5	
მაღალი ხარისხის	4	40 (35–42.5)	37.5 ± 12.6	



სურათი 3. MT1 მელატონინის რეცეპტორის მემბრანული ექსპრესია მაღალი ხარისხის დისპლაზიის კოლორექტულ პოლიპებში IHC, 400X;



სურათი 4. MT1 მელატონინის რეცეპტორის მემბრანული ექსპრესია მაღალი ხარისხის დისპლაზიის კოლორექტულ პოლიპებში IHC, 800X;

კვლევის შედეგების განხილვა

წინამდებარე კვლევაში MT1-ის ექსპრესია შეფასდა სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპისა და დისპლაზიის ხარისხის მქონე კოლორექტულ პოლიპებში. ძირითადი შედეგი იყო MT1-ის ექსპრესიის მკვეთრი შემცირება დისპლაზიურ დაზიანებებში. დისპლაზიის გარეშე პოლიპებში MT1 H-score-ის მედიანა შეადგენდა 140-ს, ხოლო დისპლაზიურ დაზიანებებში - 40-ს. განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო და ხასიათდებოდა დიდი ზომით (Cliff's δ = 0.95). ამასთან, დისპლაზიის ხარისხსა და MT1 H-score-ს შორის გამოვლინდა ძლიერი უარყოფითი კორელაცია (Spearman ρ = –0.706). მიღებული შედეგები მიუთითებს MT1-ის ექსპრესიის ცვლილების კავშირზე კოლორექტული ეპითელიუმის დისპლაზიურ ტრანსფორმაციასთან, თუმცა კვლევის დიზაინი არ იძლევა მიზეზობრივი ურთიერთობის დადგენის შესაძლებლობას.

მელატონინის მოქმედება სიმსივნის ბიოლოგიაში მრავალმხრივია და მოიცავს როგორც რეცეპტორ-დამოკიდებულ, ასევე რეცეპტორ-დამოუკიდებელ მექანიზმებს. MT1, რომელიც კოდირებულია MTNR1A გენით, წარმოადგენს G-პროტეინთან დაწყვილებულ მემბრანულ რეცეპტორს. მისი აქტივაცია დაკავშირებულია cAMP/PKA, MAPK/ERK და სხვა უჯრედშიდა სასიგნალო მექანიზმების მოდულაციასთან, რომლებიც მონაწილეობენ უჯრედული ციკლის, პროლიფერაციისა და აპოპტოზის რეგულაციაში. ექსპერიმენტულ მოდელებში მელატონინს აღწერილი აქვს ანტიპროლიფერაციული და პროაპოპტოზური მოქმედება, თუმცა ამ ეფექტების მნიშვნელობა ადამიანის კოლორექტულ პრეკურსორულ დაზიანებებში ნაკლებად არის შესწავლილი.

კოლორექტული კანცეროგენეზი მრავალსაფეხურიანი პროცესია, რომლის დროსაც მორფოლოგიურ პროგრესიას თან ახლავს უჯრედული პროლიფერაციისა და დიფერენციაციის მარეგულირებელი სასიგნალო გზების თანდათანობითი ცვლილებები. ამ კონტექსტში, დისპლაზიურ დაზიანებებში MT1-ის დაბალი ექსპრესია შეიძლება ასახავდეს მელატონინის რეცეპტორ-დამოკიდებული რეგულაციის ცვლილებას ნეოპლაზიური პროგრესიის ადრეულ ეტაპზე.[8], [10], [11] განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ მიმდინარე კოჰორტაში MT1-ის შემცირება უკვე დაბალი ხარისხის დისპლაზიის მქონე დაზიანებებში იყო გამოხატული. დაბალი ხარისხის დისპლაზიის დროს H-score-ის მედიანა 40 იყო, მაშინ როდესაც დისპლაზიის არმქონე დაზიანებებში შესაბამისი მაჩვენებელი 140-ს შეადგენდა.

მაღალი ხარისხის დისპლაზიის შემთხვევებში MT1-ის ექსპრესია ასევე დაბალი იყო, თუმცა დაბალი და მაღალი ხარისხის დისპლაზიებს შორის დამატებითი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შემცირება არ გამოვლენილა. ეს შედეგი არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული როგორც MT1-ის თანაბარი ბიოლოგიური მდგომარეობა დისპლაზიის ორივე ხარისხში. დაბალი ხარისხის დისპლაზიის ჯგუფი მხოლოდ სამ, ხოლო მაღალი ხარისხის დისპლაზიის ჯგუფი ოთხ შემთხვევას მოიცავდა, რის გამოც ამ ორ ჯგუფს შორის შედარების სტატისტიკური სიმძლავრე შეზღუდულია. მეორე შესაძლო ახსნაა, რომ MT1-ის ექსპრესიის ძირითადი შემცირება დისპლაზიური ტრანსფორმაციის ადრეულ ეტაპზე ხდება და შემდგომი მორფოლოგიური პროგრესიისას შედარებით სტაბილურად დაბალ დონეზე რჩება. ამ ჰიპოთეზის შეფასება უფრო დიდი კოჰორტით არის საჭირო.

კვლევის ეს შედეგები საინტერესოა კოლორექტული ნეოპლაზიის განსხვავებული მოლეკულური გზების გათვალისწინებით. კონვენციური ადენომა–კარცინომის თანმიმდევრობა მჭიდროდ არის დაკავშირებული APC/Wnt/β-კატენინის გზის დისრეგულაციასთან, მაშინ როდესაც სერაციული ნეოპლაზიური გზა ხშირად განსხვავებული მოლეკულური მოვლენებით ვითარდება.[4], [12] მიუხედავად ამ განსხვავებებისა, ორივე გზის საბოლოო დისპლაზიურ ფენოტიპს თან ახლავს პროლიფერაციული კონტროლის დარღვევა. მიმდინარე მონაცემებში MT1-ის დაბალი ექსპრესიის გამოვლენა სხვადასხვა ტიპის დისპლაზიურ დაზიანებაში აჩენს შესაძლებლობას, რომ მისი ცვლილება დაკავშირებული იყოს დისპლაზიისთვის საერთო ბიოლოგიურ პროცესებთან და არა მხოლოდ ერთი კონკრეტული კოლორექტული ნეოპლაზიური გზის აქტივაციასთან. აღნიშნული ინტერპრეტაცია ამ ეტაპზე ჰიპოთეზურია და საჭიროებს დამატებით მოლეკულურ და იმუნოჰისტოქიმიურ მონაცემებს.

MT1-სა და Wnt/β-კატენინის სიგნალის გადაცემას შორის შესაძლო ურთიერთქმედება განსაკუთრებით საინტერესო მიმართულებაა. Wnt/β-კატენინის გზის აქტივაცია კოლორექტული ნეოპლაზიის ერთ-ერთი ცენტრალური მოლეკულური მოვლენაა და β-კატენინის ბირთვული დაგროვება დაკავშირებულია პროლიფერაციასთან დაკავშირებული გენების ტრანსკრიფციულ აქტივაციასთან.[13], [14] ექსპერიმენტულ

სისტემებში აღწერილია მელატონინის გავლენა β-კატენინის სტაბილურობასა და უჯრედშიდა ლოკალიზაციაზე. შესაბამისად, კოლორექტულ პოლიპებში MT1-ის შემცირებული ექსპრესიის პარალელურად β-კატენინის ბირთვული ექსპრესიის რაოდენობრივი შეფასება საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ, არსებობს თუ არა ამ ორ მოვლენას შორის ქსოვილოვანი დონის კავშირი.

MT1 H-score-ის თანმიმდევრული უარყოფითი კავშირი დისპლაზიის ხარისხთან ქმნის საფუძველს მისი შემდგომი შესწავლისთვის კოლორექტული ნეოპლაზიის ადრეულ ეტაპებზე. უფრო ფართო კოჰორტაში MT1-ისა და MT2-ის პარალელური შეფასება, დეტალური ჰისტოლოგიური კლასიფიკაცია და მათი დაკავშირება Ki-67-თან, β-კატენინის უჯრედშიდა ლოკალიზაციასთან და ღეროვან უჯრედებთან ასოცირებულ მარკერებთან შესაძლებელს გახდის განისაზღვროს, არის თუ არა მელატონინის რეცეპტორული ცვლილებები დამოუკიდებლად დაკავშირებული კოლორექტული დისპლაზიის განვითარებასა და პროგრესიასთან.

დასკვნა

კვლევის შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კოლორექტულ პოლიპებში MT1-ის ექსპრესიის შემცირება ასოცირებული იყო დისპლაზიის არსებობასა და მის ხარისხთან. დისპლაზიურ დაზიანებებში MT1 H-score მნიშვნელოვნად დაბალი იყო დისპლაზიის არმქონე პოლიპებთან შედარებით, ხოლო დისპლაზიის ხარისხის ზრდასა და MT1-ის ექსპრესიას შორის გამოვლინდა ძლიერი უარყოფითი კორელაცია. ამავე დროს, MT1-ის ექსპრესიის განსხვავება ფართო ჰისტოლოგიურ კატეგორიებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ იყო, რაც მიუთითებს, რომ მიმდინარე კოჰორტაში რეცეპტორის ექსპრესიის ცვლილება უფრო მეტად უკავშირდებოდა დისპლაზიურ ფენოტიპს, ვიდრე მხოლოდ პოლიპის ჰისტოლოგიურ ტიპს. ასაკთან, სქესთან და პოლიპის ზომასთან მნიშვნელოვანი კავშირი არ გამოვლენილა.

მიღებული მონაცემები საფუძველს იძლევა MT1 განვიხილოთ როგორც კოლორექტული ეპითელიუმის დისპლაზიურ ტრანსფორმაციასთან ასოცირებული პოტენციური ქსოვილოვანი მარკერი.

გამოყენებული ლიტერატურა

[1] R. L. Siegel *et al.*, “Colorectal cancer statistics, 2020,” *CA Cancer J. Clin.*, vol. 70, no. 3, pp. 145–164, May 2020, doi: 10.3322/CAAC.21601.

[2] N. Arber *et al.*, “Celecoxib for the prevention of colorectal adenomatous polyps,” *New Engl. J. Med.*, vol. 355, no. 9, pp. 885–895, Aug. 2006, doi: 10.1056/nejmoa061652.

[3] F. M. Giardiello *et al.*, “Primary chemoprevention of familial adenomatous polyposis with sulindac,” *New Engl. J. Med.*, vol. 346, no. 14, pp. 1054–1059, Apr. 2002, doi: 10.1056/nejmoa012015.

[4] H. Ishiguro *et al.*, “NOTCH1 activates the Wnt/β-catenin signaling pathway in colon cancer,” *Oncotarget*, vol. 8, no. 36, pp. 60378–60389, 2017, doi: 10.18632/ONCOTARGET.19534.

[5] M. L. Dubocovich and M. Markowska, “Functional MT1 and MT2 melatonin receptors in mammals,” *Endocrine*, vol. 27, no. 2, pp. 101–110, 2005, doi: 10.1385/ENDO:27:2:101.

[6] P. T. Ram *et al.*, “Involvement of the mt1 melatonin receptor in human breast cancer,” *Cancer Lett.*, vol. 179, no. 2, pp. 141–150, May 2002, doi: 10.1016/S0304-3835(01)00873-4.

[7] J. Liu, S. J. Clough, A. J. Hutchinson, E. B. Adamah-Biassi, M. Popovska-Gorevski, and M. L. Dubocovich, “MT1 and MT2 Melatonin Receptors: A Therapeutic Perspective,” *Annu. Rev. Pharmacol. Toxicol.*, vol. 56, p. 361, Jan. 2015, doi: 10.1146/ANNUREV-PHARMTOX-010814-124742.

[8] J. León *et al.*, “Gender-related invasion differences associated with mRNA expression levels of melatonin membrane receptors in colorectal cancer,” *Mol. Carcinog.*, vol. 51, no. 8, pp. 608–618, Aug. 2012, doi: 10.1002/mc.20832.

[9] K. Jablonska *et al.*, “Expression of the MT1 Melatonin Receptor in Ovarian Cancer Cells,” *Int. J. Mol. Sci.*, vol. 15, no. 12, p. 23074, Dec. 2014, doi: 10.3390/IJMS151223074.

[10] T. B. de Castro, A. L. Mota, N. A. Bordin-Junior, D. S. Neto, and D. A. P. C. Zuccari, “Immunohistochemical Expression of Melatonin Receptor MT1 and Glucose Transporter GLUT1 in Human Breast Cancer,” *Anticancer Agents Med. Chem.*, vol. 18, no. 15, pp. 2110–2116, Feb. 2019, doi: 10.2174/1871520618666181025125532.

[11] M. Chen *et al.*, “Melatonin MT1 and MT2 receptor ERK signaling is differentially dependent on Gi/o and Gq/11 proteins,” *J. Pineal Res.*, vol. 68, no. 4, May 2020, doi: 10.1111/JPI.12641.

[12] Y. Lecarpentier, O. Schussler, J. L. Hébert, and A. Vallée, “Multiple Targets of the Canonical WNT/β-Catenin Signaling in Cancers,” *Front. Oncol.*, vol. 9, Nov. 2019, doi: 10.3389/FONC.2019.01248.

[13] A. Debebe *et al.*, “Wnt/β-catenin activation and macrophage induction during liver cancer development following steatosis,” *Oncogene*, vol. 36, no. 43, pp. 6020–6029, Oct. 2017, doi: 10.1038/onc.2017.207.

[14] A. Ring, Y. M. Kim, and M. Kahn, “Wnt/Catenin Signaling in Adult Stem Cell Physiology and Disease,” *Stem Cell Rev. Rep.*, vol. 10, no. 4, pp. 512–525, Aug. 2014, doi: 10.1007/S12015-014-9515-2.

MT1 Melatonin Receptor Expression Across Histological Types and Grades of Dysplasia in Colorectal Polyps

Abstract

Melatonin receptor-mediated signaling is involved in the regulation of cellular proliferation, apoptosis, and other processes potentially relevant to colorectal carcinogenesis. However, MT1 receptor expression across histological categories and grades of dysplasia in colorectal precursor lesions remains insufficiently characterized.

To evaluate immunohistochemical expression of the MT1 melatonin receptor in different histological types of colorectal polyps and determine its association with the presence and grade of dysplasia.

The study included 29 colorectal polyp specimens. Based on histological assessment, lesions were categorized as non-neoplastic polyps, serrated lesions, or conventional adenomas. Dysplasia was classified as absent, low-grade, or high-grade. MT1 immunohistochemical expression was quantified using a semiquantitative H-score (0–300), incorporating both the percentage of positive lesional epithelial cells and staining intensity. Between-group comparisons were performed using the Mann–Whitney U and Kruskal–Wallis tests. The association between increasing dysplasia grade and MT1 expression was assessed using Spearman rank correlation.

The median MT1 H-score in the overall cohort was 140 (IQR, 60–150). MT1 expression was significantly lower in dysplastic than in non-dysplastic lesions, with median H-scores of 40 (IQR, 40–45) and 140 (IQR, 120–160), respectively ($p = 0.00020$). MT1 expression also differed significantly across dysplasia grades ($p = 0.000885$). Increasing dysplasia grade showed a strong inverse correlation with MT1 H-score (Spearman $\rho = -0.706$; $p = 0.000019$). In contrast, MT1 expression did not differ significantly among the broad histological categories of non-neoplastic polyps, serrated lesions, and conventional adenomas ($p = 0.383$). No significant associations were identified between MT1 H-score and patient age, sex, or polyp size.

Reduced MT1 expression was associated with the presence and increasing grade of dysplasia in colorectal polyps, whereas no independent difference was detected among broad histological categories. These findings indicate that altered MT1 expression may be more closely associated with the dysplastic phenotype than with histological category alone. Given the limited cohort size, the potential role of MT1 in early colorectal neoplastic progression requires evaluation in larger cohorts with more detailed histological stratification.

Keywords: Melatonin; MT1; Melatonin Receptor; Colorectal Polyps; Dysplasia; Colorectal Neoplasia; H-score.

ავტორთა შესახებ ინფორმაცია:
ლაშა ჩინჩალაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტი;
Lasha Chinchaladze - PhD student at Tbilisi State Medical University;
E-mail: lashachinchaladze1993@gmail.com
+995568 011 886
თამარ სალაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
Tamar Saladze - Associate Professor, Department of Pathological Anatomy, Tbilisi State Medical University
E-mail: t.saladze@tsmu.edu
გიორგი ბურკაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
George Burkadze - Professor at Tbilisi State Medical University, Head of the Department of Molecular Pathology;
E-mail: burkadze@yahoo.com g.burkadze@tsmu.edu
Phone Number: 599578833
ORCID: https://orcid.org/0000-0002-5028-4537
შოთა კეპულაძე - თსსუ მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ექიმი პათოლოგანატომი;
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
Shota Kepuladze - Associate Professor of the Department of Molecular Pathology, Tbilisi State Medical University; MD; Pathologist;
E-mail: Shota.kepuladze@gmail.com sh.kepuladze@tsmu.edu
ORCID: https://orcid.org/0000-0002-5919-5581

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 8 Issue 3, 2026
https://doi.org/10.52340/gs.2026.08.03.24



General and comparative linguistics

New Theory of the Origin of Languages

Gela Gvinepadze

Professor, Georgian Technical University, mob.: 596-6-49-98
e-mail: gvinepadzegela@gmail.com

https://orcid.org/0009-0001-2350-5648

Abstract

Linguistics is a field of science that attracts interest from virtually every sphere of human activity—most notably, computational linguistics.

The primary aim of the research described in this article was to develop a more advanced theory regarding the origin and evolution of language. The study employed a transdisciplinary approach alongside modern decision-making methods. Furthermore, the project sought to devise a concept that could transform the popular website wiktionary.org from a repository of static articles into an interactive system, thereby enabling linguists and the general public to more easily verify and evaluate the validity of proposed hypotheses.

The study's main outcome is a new theory on the origin of language(s) that simultaneously incorporates the majority of previously existing scientific theories.

Based on this theory, a three-stage model for the emergence and evolution of languages was developed:

1. During the initial stage of language emergence, the phenomenon of water played a fundamental role in shaping humanity's early vocabulary;
2. The subsequent, crucial stage in language evolution was driven by the domestication of fire;
3. Finally, once humans settled on the land and adopted agriculture—developments that eventually led to the founding of cities and states—the third stage of language evolution began, a process that continues to this day.

Unlike the author's other works, this article focuses specifically on the first point in the list above.

Conclusion: Water—a phenomenon unique in many respects—played a decisive role in the origin of language(s); the names given to various manifestations of water formed the foundation of the modern, vast, and diverse world of languages.

Keywords: linguistics; new theory of language origins; transdisciplinarity; modern decision-making methods; interactive wiki-dictionary concept.

Introduction

Linguistics is a discipline of interest to virtually every sphere of human activity. Since time immemorial, human activity has profoundly influenced—and continues to influence—the formation of linguistic resources and structures. Conversely, a rich language enables people to refine and improve all manner of activities.

Thus, the phenomenon of language is of interest not only to linguistics but to all other areas of human endeavor; naturally, computer science holds a significant place among them.

Some 45 to 50 years ago, the author became intrigued by a view prevalent among prominent Georgian linguists: it was widely held that identifying the primordial stock of languages that emerged in the distant past—and determining the etymology of their constituent elements—was a virtually hopeless task.

For instance, some of these scholars argued that it is impossible to ascertain why the Georgian word *mta* (meaning "mountain")—along with many other fundamental concepts—came to bear that specific name rather than another.

In our view, this pessimism stemmed from the fact that the vast body of knowledge amassed by specialists using the comparative-historical method failed, in this case, it did not yield tangible results.

The issue is that, while this method allows us to trace the process of language formation back through the centuries, it generally only reaches back a few millennia; beyond that point, the trail leading to the origins vanishes without a trace... into the boundless African jungles.

Main part

In the early 19th century, scientific understanding of the composition of matter was vague; indeed, not long before that, the renowned scientist—and future president of the French Academy of Sciences—Lavoisier, along with other academicians, had categorically rejected reports from French peasants about a meteorite falling from the sky. Their dismissal was based on an argument that seemed perfectly "logical":

"Stones do not fly through the heavens!" [1].

So, there is a time for everything...

It seems the time has now come to seek new paths to the origins of language...

A non-specialist in linguistics set himself a task (purely out of curiosity):

– What specific words were coined in the distant past by our ancestors who sought to transform themselves into "speaking humans"?

He was unaware that many enthusiasts had long attempted to solve this very problem—and even a more ambitious one:

To find the **First Word**—let us call it "Ariadne's thread"—capable of unraveling the vast, tangled web of today's linguistic world!

However, our approach turned out to be somewhat different:

1. First and foremost, the object of the search was changed. The objective set was not merely to find a specific word—a particular sound complex—within the language's primordial lexicon, but to identify the *Concept* that such a word designated.
2. To achieve this, we began by studying and analyzing facts known across various fields of human activity regarding this issue, employing both methods already established in those fields and others we developed ourselves during the course of our research.
3. Furthermore, we decided to alter the direction of our search; specifically, to uncover humanity's original vocabulary, we chose to rely on deduction rather than induction, aiming to arrive directly at the primal element that gave rise to the modern world of languages.
4. Transdisciplinarity and synergetics were selected as the primary research tools.
5. To gather arguments supporting our initial, "raw" hypotheses, we employed a combination of methods: panel research, de Bono's "Six Thinking Hats," CoRT, the Delphi method, and brainstorming.
6. A significant aid was the opening of a famous Shakespearean quote:
   "Perhaps things that philosophers never even dreamed of... (continuing it like this) are known to us all, but only by drawing upon the collective subconscious."
7. Based on this premise, we created a questionnaire for groups of respondents (consisting primarily of students):
   "Imagine that you are beings who have decided to transform into speaking subjects—*Homo loquens*—and found themselves in that habitat.
   Write down three concepts (using any terms you like) that, in your opinion, they would need in order to 'call things by their names'—primarily to establish communication with their fellow beings."

When the survey was conducted in the summer, one word emerged as the clear leader by a significant margin, whereas in the winter, a different word took the top spot! However, when we applied the Delphi method and the other techniques mentioned above to this latter case, the "summer word" returned to the top spot, and it was:

WATER

Further research once again confirmed the ancient truth:

"**The new is the well-forgotten old**"—or, to refine it for our specific case: **the *almost* well-forgotten old!**

35. Thais C. Brito-Oliveira, Talita Comunian, Samantha Pinho. Plant Proteins as Emulsifiers in the Food Industry: Research Progress, Current Challenges and Future Trends.Journal of the American Oil Chemists' Society. 2026;103(2):99-121.

36.Tong, C.; Yi, Z.; Ma, L.; Tang, Y.; Liu, D.; Cao, S.; Ma, S.; Li, S. Antibacterial, anti-inflammatory, and antioxidant microenvironment-responsive curcumin-containing tea polyphenol particle-stabilized Pickering emulsion for promoting infected wound healing. ACS Appl. Mater. Interfaces 2024, 16, p.p.44467–44484.

37.Deepika Venkataramani, Ana Tsulaia, Samiul Amin. Fundamentals and applications of particle stabilized emulsions in cosmetic formulations. Adv Colloid Interface Sci. 2020 Sep:283:102234.

Using oil-containing raw materials, Hazelnut kernels (Corylus avellana L.), grown in Georgia, to create a cosmetic mask.

Yavich P. A[1]., Kakhetelidze M. B[2]., Kikalishvili B. Yu.[3]

Institute of Pharmacochemistry I. Kutateladze Tbilisi State Medical University

Abstract. Facial cosmetics are key to protecting the skin from sun damage, improving its structure and appearance, and preventing a number of skin diseases. Cosmetic masks play a significant role, being one of the main methods of application. This report describes the creation of such a mask using a fatty medicinal raw material, hazelnut kernels (Corylus avellana L.), grown in Georgia.

Keywords: Hazelnut, cosmetics, masks, fats, analysis.

კოსმეტიკური ნიღბის შესაქმნელად ზეთის შემცველი ნედლეულის, საქართველოში მოზარდი თხილის ნაყოფების (Corylus avellana L.) გამოყენება

იავიჩი პავლე აბრამის ძე*, კახეთელიძე მზია ბონდოს ას., კიკალიშვილი ბელა იურის ას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ი.ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი

რეზიუმე. სახის კოსმეტიკა კანის მზის დაზიანებისგან დაცვის, მისი სტრუქტურისა და გარეგანი სახის გაუმჯობესებისა და კანის რიგი დაავადებების პრევენციისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი და საკმაოდ ეფექტურია კოსმეტიკური ნიღბების გამოყენება. მოცემულ ნაშრომში აღწერილია ასეთი ნიღბის შექმნა საქართველოში მოზარდი ცხიმის შემცველი სამკურნალო ნედლეულის, თხილის ნაყოფის (Corylus avellana L.) გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები. თხილი, კოსმეტიკა, ნიღბები, ცხიმები, ანალიზი.

*Yavich Pavel Abramovich, Doctor of Pharmaceutical Sciences, Professor, Chief Researcher, Institute of Pharmacochemistry I. Kutateladze Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia; P. Sarajishvili st 36 | Tbilisi, 0159; Georgia Tel: +995 592073188 E-mail p.iavichi@tsmu.edu

Kakhetelidze Mzia Bondoevna, Doctor of Pharmacy, Senior Researcher, Institute of Pharmacochemistry I. Kutateladze Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia; P. Sarajishvili st 36 | Tbilisi, 0159; Georgia Tel:+995545763 E-mail m.kakhetelidze@tsmu.edu

Kikalishvili Bella Yurievna, Doctor of Pharmacy, Chief Researcher, Chairman of the Scientific Council of the Institute of Pharmacochemistry I. Kutateladze Tbilisi State Medical University, Tbilisi,Georgia

P. Sarajishvili st 36 | Tbilisi, 0159; GeorgiaTel: +995 593319243 E-mail B.kikalishvili@tsmu.edu

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 8 Issue 3, 2026
https://doi.org/10.52340/gs.2026.08.03.26



Linguistics

Solving linguistic problems using creative thinking methods

On the example of research into the etymology of the Kashueti temple and the purpose of its archetype

Gela Gvinepadze

Doctor of Computer Science, Georgian Technical University, Faculty of Informatics and Control Systems, Professor

Tel: +995 595 614 998; E-mail: gvinepadzegela@gmail.com; ORCID: 0009-0001-2350-5648

Abstract

The article presents a new version of the etymological origin of the name of the Kashueti Church, located on Rustaveli Avenue in the center of Tbilisi. It also considers the supposed version of its archetype.

In developing these versions, in the search and analysis of arguments, we relied on an interdisciplinary approach, which is widely used today for scientific research.

In particular, we involved facts and artifacts from the following scientific fields: Linguistics, architecture, astronomy.

We compared the obtained data with the customs and artifacts of Christian and earlier religions, and relied on our previous work on the problem of the origin of language.

To draw conclusions, we used approaches developed for the field of creative thinking:

Six hats of Dr. De Bono, the Delphi and CoRT methods, which have repeatedly proven their effectiveness in finding ways to solve complex problems, including in the field of linguistics.

Thus, the complex issue was discussed and resolved more broadly than could be addressed by including only linguistic methods in the arsenal of research tools.

As a result of the conducted research, we came to the following conclusions:

- The name Kashueti comes from the archaic word Kvasveti;
- One of the main purposes of the object was to perform astronomical functions;
- Over the course of thousands of years, the etymon has changed. The modified term as a result of rethinking the purpose of the archetype became the source for folk etymology.

It is believed that the result of any successful research is something greater than itself.

Continuing research led us to the following conclusions:

Places similar to the location of Kashueti have been observation points for recording the trajectories of celestial bodies since time immemorial. The information obtained with their help was very valuable for agricultural peoples, among whom the proto-Georgians were among the first. Over time, stone pillars became an object of worship for pagan deities. This event explains, at first glance, the strange fact that representatives of victorious religions chose for their cult sites the very places where monuments intended for the worship of pagan deities, which were overthrown in new eras, had previously stood.

Keywords: architectural monuments, Kashueti, etymological searches, methods of creative thinking.

Introduction

The discussion addresses the etymology of the Kashueti Church, located in the center of Tbilisi, as well as the purpose of its archetype.

This monument, by the standards of the history of Georgian architecture, was built quite recently - at the beginning of the 20th century. However, when working on the sketches of the temple, specialists were guided by the architecture of old Georgian churches, first of all, Samtavisi.

In addition, it is known that on the territory of this monument there was a church built in the 6th century.

To find out the etymology of the mentioned monument and the purpose of its archetype, we had to go back to the much distant past.



1. **Kashueti Temple**

Methods

In exploring the etymology of the Kashueti Church and the purpose of its archetype, we adopted an interdisciplinary approach when searching for the necessary materials. To develop a new, more accurate version of the church's etymology, we employed the historically comparative method widely used in linguistics, as well as creative thinking techniques recommended by experts: Dr. De Bono's Six Thinking Hats, Delphi, CoRT, and our newly developed theory on the origin of language.

Results

The results of the research are:

1. A new version of the etymological origin of the term Kashueti (Kashveti), completely different from the previous ones;

2. Clarification of the reason for choosing its location.

Kashueti is a modified version of the term Kvasveti, which has long been known to Georgia, but over time, as a result of rethinking, typical of folk etymology, it has undergone changes and the word Kvasveti has turned into Kashveti.

According to our assumption, its prototype was a sundial - a spear inserted into the center of a circle drawn on the ground with a unique scale (dial) made up of stones along part of its circumference. This primitive structure eventually became a pagan cult object for worship.

After Christianity became the state religion in Georgia, based on their and also astronomical function, the places for building new cult objects remained the same.

Among the arguments supporting the validity of the proposed versions, we present another one — the term of a similar structure, kva-jvari (stone + cross). It refers to a Christian monument erected in memory of the deceased.

Basic Principles

Kashveti (Kashveti) - The church, located in the center of Rustaveli Avenue and decorating it, was built in its current form in 1904-1910 according to a project drawn up by specialists invited from abroad and under their own supervision. However, at the suggestion of Georgian figures, they took the architecture of local ancient monuments, first of all, the Samtavisi Cathedral, as the basis for their church sketches.

It should be especially noted that:

"Under the conditions of Russian imperial rule, the Kashveti Cathedral was the first bold step of Georgian society in the revival of traditional national forms, presenting its Georgian style as a progressive phenomenon" [1].

Kashveti is a large and very interesting religious and architectural monument, the history of which has given rise to many opinions of scientists and specialists.

In this article, we sought to acquaint readers with a new version of the name of the Kashveti temple.

This version is based on a motif associated with Georgian reality, but now well forgotten.

Let's start with the definition of a menhir given by Wikipedia. It is:

"A vertically standing stone column with an inscription or relief image."

It has been found that stone pillars (steles) had a special and multifaceted purpose. They were used to delimit territories, as cult objects, as pillars with inscriptions marking special events, etc.

Such steles are found in large numbers both in our country and around the world.

The tradition of erecting such stone pillars in Georgia dates back to ancient times. For example, it has been determined that the Chikiani stone pillar erected in Javakheti is three thousand years old.

Of the steles found in Georgia, the Sharagas stele is of particular scientific interest, thanks to the ligature made on it and another letter sign (presumably a fragment of another ligature).

The same can be said about the Davati stele of the 6th century, which depicts the Virgin Mary, the baby Jesus surrounded by angels and the Asomtavruli alphabet.

According to our assumption, expressed in previous articles, the prototype of these steles was a sundial, or rather its simplest form - a spear inserted into the center of a circle drawn on the ground, which over time became objects of worship of the luminaries - deities.

In subsequent periods, their place was taken by the cult buildings of the victorious religions, both in content and in territory! [2-4]. "Common sense" suggests that the choice of places for worship of new cults should have been different, but the fact is that the repeated choice of territories for new cults, where idols (already condemned and discredited) were previously located, was again determined by their usefulness for astronomical observations!

And pagan stone pillars from now on became Christian crosses - ქვაჯვარი!

Time passes, and Christian churches are built on the site of these steles. However, in some cases, the name of an earlier religious building reaches us in a slightly modified form.

It seems that this is exactly the fate of the name Kashueti, which over time underwent changes as a result of rethinking, so characteristic of folk etymology:

Kvasveti → Kashveti

Let us use other facts to confirm this hypothesis:

According to academician T. Gamkrelidze, the ancestor of the term შუა (ch-u-a) is the archetype შუვ (ch-u-v) [5].

We believe that approximately the same change occurred in the case of the Georgian term denoting stone, and the old term ქავ (q-a-v) over time turned into ქვა (q-v-a).

Let us present arguments in favor of this version:

1. In the Mengrelian-Laz dialect, instead of ქვა (q-v-a), a closer to the original term is used - ქუა (q-u-a).

2. For the mountain inhabitants, the Pshav-Khevsurs, ქავ (q-a-v) is a wall surrounding a fortress:

"... the Roshka fortress was surrounded by seven rows of ქავი-ი" (an excerpt from a folklore poem).

3. For them, ქავ (q-a-v) is a wall to which the severed hands of a slain enemy were tied.

4. This term is also found in the works of Vazha-Pshavela - it denotes a wall protecting against enemy invasion.

These walls, of course, were overwhelmingly built of stone.

Here we note that the connection between these terms is observed, for example, in Indo-European languages.

Finally, in support of the versions put forward in the article, we will present the following arguments - churches called Kashueti, in addition to Tbilisi, are located [6]:

1. In Svaneti, in the Adishishchala gorge (built in the 13th century);
2. As well as in Imereti, in the municipalities of Kharagauli and Khashuri;
3. In the form of underground ruins in the cemetery of the Adjarian village of Dzhabnidzeebi.

P.S. In a previously published study [7], we suggested that since ancient times pagan monuments, including stone pillars, in addition to the role of sundials, also performed other astronomical functions. In particular, the places for the construction of the main monument, relative to two landmarks located on the mountains, were chosen in a special way - a triangle was formed, convenient, for example, for observations in order to determine the onset of the days of the equinoxes.

It would be nice if the architects carried out a study in “collaboration” with the monuments in Kashueti and the surrounding mountains to check the possibility of forming such a triangle.

Conclusion

The article discusses a new version of the origin of the name of the Kashueti temple, an architectural monument located on Rustaveli Avenue in the center of Tbilisi. The essence of the version, based on a motive well forgotten today, is as follows: - the word Kashueti is a modification of the ancient term term KVASVETI, which, thanks to a typical folk etymology legend, was reinterpreted and Kashueti was obtained from kvasveti. As for kvasveti (kva - stone + sveti - column), according to our assumption, in ancient times it bore the function of a sundial, representing a spear inserted into the center of a circle marked on the ground. Over time, kvasveti became a cult object. Of the arguments confirming the validity of the version presented in the article, another one is given - the term KVAJVARI (kva - stone + jvari - cross) has a similar structure - this is already a Christian monument erected in honor of the memory of the deceased.

REFERENCES

1. Dissertation work by Liana Giorgobiani http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/180203/1/DISERTACIA.pdf (in Georgian)
2. Gvinepadze G. (2019) Solution of some complex linguistic problems by interdisciplinary approach (for etymology of the term “Georgia”) Tbilisi. Georgian Technical University, “WORKS” 2019, №2 (512), 40-54 pp. ISSN 1512-0996. (in Georgian).
3. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://gtu.ge/ims/pdf/G_Gvinepadze_shemoqmedebiTi_azrpvneba.pdf (in Georgian)
4. Fenrich H., Sarjveladze Z. (1990) Etymological dictionary of the Kartvelian languages. Tbilisi State University Publishing House. (in Georgian).
5. https://ka.wikipedia.org/wiki/ ქაშვეთი_(მრავალმნიშვნელოვანი)
6. Gvinepadze G. (2017) ISSUES OF ORIGINS AND DEVELOPMENT OF LANGUAGES THROUGH THE AGES AND THE WIKTIONARY. Tbilisi. Georgian Technical University, “WORKS”, 2017, № 3 (505), 49-66 pp. (in Georgian).
7. Gvinepadze G. (2019) Solution of some complex linguistic problems by interdisciplinary approach *(for etymology of the term Georgia).* Tbilisi. Georgian Technical University, “WORKS”, 2019, №2 (512), 40-54 pp. (in Georgian).

ენათმეცნიერება

ლინგვისტიკური პრობლემების გადაწყვეტა კრეატიული აზროვნების მეთოდების გამოყენებით

(ქაშუეთის ტაძრის ეტიმოლოგიის და მისი არქეტიპის დანიშნულების კვლევათა მაგალითზე)

გელა ღვინეფაძე

კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტი
პროფესორი
ტელ: +995 595 614 998
E-mail: gvinepadzegela@gmail.com
ORCID: 0009-0001-2350-5648

აბსტრაქტი

სტატიაში წამოყენებულია თბილისის ცენტრში, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ეკლესიის ქაშუეთის სახელწოდების ეტიმოლოგიური წარმოშობის ახალი ვერსია. განიხილება აგრეთვე, მისი არქეტიპის დანიშნულების ვერსია.

ამ ვერსიების შემუშავებისას, სათანადო არგუმენტების მოძიებისა და გაანალიზების პროცესებში ვეყრდნობოდით მეცნიერული კვლევების წარმართვისათვის დღეს ასე ფართოდ გამოყენებულ **ინტერდისციპლინურ** მიდგომას.

კერძოდ, ფაქტებს და არტეფაქტებს მოვიხმობდით შემდეგი მეცნიერული დარგებიდან:

ლინგვისტიკა, არქიტექტურა, ასტრონომია.

მოპოვებული მონაცემების შეჯერებას ვახდენდით ქრისტიანული და კიდევ უფრო ადრინდელი წარმოშობის რელიგიებში მიღებულ წეს-ჩვეულებებთან, არტეფაქტებთან, ასევე, ვეყრდნობოდით ჩვენ მიერ ადრე შესრულებულ სამუშაოებს ენის წარმოშობის პრობლემის თაობაზე.

დასკვნების გამოსატანად კი მივმართავდით კრეატიული აზროვნების სფეროსთვის შემუშავებულ ისეთ მიდგომებს, როგორიცაა:

დოქტორ დე ბონოს ექვსი ქუდის, დელფოსის და CoRT მეთოდები, რომელთაც არაერთხელ დაამტკიცეს თავიანთი ეფექტიანობა რთული ამოცანების გადაჭრისათვის გზების ძიებისას და მათ შორის, - ლინგვისტიკის სფეროშიც.

ამრიგად, წამოჭრილი საკითხი განიხილებოდა და წყდებოდა უფრო ფართო ჭრილში, ვიდრე ამის შესაძლებლობას მოგვცემდა კვლევის ინსტრუმენტების არსენალში მხოლოდ ლინგვისტიკური მეთოდების ჩართვა.

ჩატარებული კვლევების შედეგად მივედით შემდეგ დასკვნებამდე:

- სახელწოდება *ქაშუეთი* მომდინარეობს ფრიად არქაული წარმოშობის სიტყვა *ქვასვეტისგან*;
- ამ ობიექტის ერთ-ერთი, ამასთან, უმთავრესი დანიშნულება გახლდათ ასტრონომიული ფუნქციების შესრულება;
- ათასწლეულების განმავლობაში მოხდა აღნიშნული ეტიმონის მოდიფიცირება, სახეცვლილი ტერმინი კი მისი დანიშნულების გადააზრების შედეგად ე. წ. *ხალხური ეტიმოლოგიების* წყაროდ იქცა.

მიჩნეულია, რომ ნებისმიერი წარმატებული კვლევის შედეგი თავის თავზე მეტია.

უძველესი ობიექტების დანიშნულების საკითხში უფრო ღრმად გასარკვევად კვლევების გაგრძელებამ მიგვიყვანა ასეთ მოსაზრებებამდეც:

ქაშუეთის მდებარეობის მსგავსი ადგილები უხსოვარი დროიდან მნათობების ტრაქტორიებზე დაკვირვების პუნქტებს წარმოადგენდნენ. მათი დახმარებით მოპოვებული ინფორმაცია მეტად ღირებული გახლდათ მიწათმოქმედი ხალხებისთვის, რომელთა შორისაც ერთ-ერთი პირველები პროტოქართველები იყვნენ. დროთა განმავლობაში ქვასვეტები რომელიმე წარმართული ღვთაების თაყვანისცემის ობიექტიც ხდებოდა.

ამ მოვლენით აიხსნება, ერთი შეხედვით, ის უცნაური ფაქტი, რომ გამარჯვებული რელიგიების წარმომადგენლები თავიანთი საკულტო ობიექტებისთვის სწორედ იმ

ადგილებს ირჩევდნენ, სადაც მანამდე ახალ ეპოქებში შერისხული, წარმართული ღვთაებების თაყვანისცემისთვის განკუთვნილი ძეგლები იდგა.

საკვანძო სიტყვები: არქიტექტურული ძეგლები, ქაშუეთი, ეტიმოლოგიური ძიებები, კრეატიული აზროვნების მეთოდები.

Addition





2. Ushba 3. Machu Picchu

Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 8 Issue 3, 2026
https://doi.org/10.52340/gs.2026.08.03.27



საქართველოს გადამამუშავებელი წარმოებების მცენარეული ნარჩენების კვლევა და ოპტიმალური გადამუშავების რეკომენდაციები

ავთანდილ ცინცქილაძე[1], რაული გოცირიძე[2], დარეჯან ჩიქოვანი[3], ნინო მხეიძე[4], ლელა სურმანიძე[5]

[1]ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; [2]ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი; [3]ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი; [4]ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი; [5]ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი

აბსტრაქტი:

წინამდებარე სტატია მიძღვნილია სამრეწველო მცენარეული ნარჩენების გამოყენების საკითხისადმი. ირკვევა, რომ საქართველოს სინამდვილეში ათასობით ტონა მცენარეული ნარჩენები იყრება ნაგავსაყრელებზე, მაშინ როცა აღნიშნული კარგი ნედლეულია პექტინების წარმოებისათვის.

განხილულია პრაქტიკაში გამოყენებული პექტინების წარმოების ტექნოლოგიები, მათი დახასიათება, სირთულეები და ნაკლოვანებები. ანალიზის საფუძველზე ავტორები თვლიან, რომ მიზანშეწონილია ახალი ეფექტური, მარტივი და დაბალხარჯიანი პროცესების შემოტანა პექტინების ჰიდროლიზი/ექსტრაქციის და გამოლექვის ეტაპებზე. ამ პროცესებში გამოსაყენებლად წარმოდგენილია ელექტროლიზური ტექნოლოგიით მიღებული ელექტროაქტიური ხსნარები, რომლებიც იძლევიან საშუალებას ეფექტურად განხორციელდეს ჰიდროლიზი/ექსტრაქციის და გამოლექვის პროცესები და გამოირიცხოს რთული და ხარჯტევადი ქიმიური რეაგენტებით ჰიდროლიზი/ექცტრაქციის, კონცენტრირების, სპირტით ან მარილებით გამოლექვის პროცესები.

წარმოდგენილია კვლევითი ჯგუფის მიერ შექმნილი ახალი ელექტროლიზური დანადგარები, რომლებიც იძლევიან მჟავე და ტუტე ხსნარების მიღების საშუალებას. წარმოდგენილია აღნიშნული ხსნარებით ექსტრაქციისა და გამოლექვის კვლევების შედეგები. კვლევების შედეგებზე გაკეთებული დასკვნებით ავტორები იძლევიან

რეკომენდაციას, რომ მოხდეს ელექტროლიზური ტექნოლოგიების ფართო გამოყენება პექტინოვანი ნივთიერებების მიღების პროცესებში.

საკვანძო სიტყვები: პექტინი, ელექტროლიზი, ტექნოლოგია

ოცდამეერთე საუკუნეში მეცნიერები და პრაქტიკოსები მნიშვნელოვან პრობლემად თვლიან წარმოებისა და გადამუშავების პროცესებში წარმოქმნილი ასეულობით ათასი ტონა ნარჩენების რაციონალური გადამუშავებისა და მათი შემდგომი გამოყენების საკითხს, რადგან მისი მოუგვარებლობა იწვევს, როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური და ეკოლოგიური ხასიათის პრობლემების წარმოქმნას. ეს პრობლემა დგას საქართველოს წინაშეც: მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებთან შედარებით მცენარეული ნედლეულის გადამუშავების მოცულობები მნიშვნელოვნად შემცირებულია, მაინც რჩება ათასობით ტონა მცენარეული ნარჩენები გადამუშავების პროცესებში, რომლებიც არ გამოიყენება და იყრება ნაგავსაყრელებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა გადამუშავების პროცესებში წარმოქმნილი ნარჩენები და შეგვემუშავებინა წინადადებები გამოყენების შესახებ. კვლევებმა აჩვენა, რომ დღეისათვის გადამუშავების პროცესებში დიდი რაოდენობით რჩება მანდარინის, ვაშლისა და ყურძნის ნარჩენები (გამონაწნეხები). მანდარინის შემთხვევაში გადამუშავების მოცულობის თითქმის 60%, ვაშლისა და ყურძნის შემთხვევაში 50-60% რჩება ნარჩენების სახით. გადამუშავების სტატისტიკის გათვალისწინებით ათასობით ტონა ნარჩენი იყრება სპეციალურ ნაგავსაყრელებზე.

ტექნოლოგიების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ამ ნარჩენებიდან შესაძლებელია დამზადდეს ნატურალური პიურეები, მინახარშები, კონფიტიურები, ჯემები, პექტინები და სხვა, მაგრამ პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამ პროდუქტებზე, გარდა პექტინისა მოთხოვნილების ხარისხი ძალიან დაბალია, რაც იწვევს მათ გამოუყენებლობას. ამ ნარჩენების გამოყენება სპეციალური დამუშავების შემდგომ შესაძლებელია საქონლის საკვებადაც, თუმცა ამ მიმართულებითაც არაფერი კეთდება ჩვენს ქვეყანაში.

მსოფლიო პრაქტიკის შესწავლა/გამოკვლევამ აჩვენა, რომ წარმატებულ ქვეყნებში ასეთი ნარჩენების საკითხი მოგვარებულია, ყოველ შემთხვევაში ასეთ ნარჩენებს ნაგავსაყრელებზე არ ყრიან. მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ ჩვენი ქვეყანაც ამ პრაქტიკას გაითვალისწინებს. წამყვანი ქვეყნები ასეთ ნარჩენებს ამუშავებს, აშრობს და ყიდის ძირითადად პექტინის მწარმოებლებზე. პექტინის მსოფლიო წარმოების მოცულობა 80ატ. ტონის ფარგლებშია და ყოველწლიური ზრდა 1-2ათასი ტონაა. ფინანსურად ეს შეადგენ 1,02 მილიარდი დოლარის მოცულობას მზარდი ტენდენციით /1/. ეს მიუთითებს, რომ პექტინზე მსოფლიო მოთხოვნის დონე მაღალია და ზრდადია. აქედან გამომდინარე ნარჩენების ნაგავზე გადაყრას სჯობს მათი დამუშავება და გაყიდვა ან პექტინის წარმოების მოწყობა.

პექტინები მრეწველობაში ფართოდ გამოყენებადი ბუნებრივი ნაერთებია. ის გამოიყენება ზეფირების, მარმელადების, კონფიტიურების, ჯემების, ძეხვეულის, წვენების, იოგურტების და სხვათა წარმოებაში. სამედიცინო და ფარმაცევტულ სფეროში

მას იყენებენ საბავშვო გრანულების, სუსპენზიების, ლაბების წარმოებაში, ემულსიებზე სიბლანტის მისაცემად, აგრეთვე გამოიყენება რადიოპროტექტორული თვისებების ფარმაცევტულ პროდუქტებში მძიმე მეტალების შესაბოჭად, ჭრილობების სამკურნალოდ, კუჭ-ნაწლავოვანი სისტემის სამკურნალოდ, მიკრობიოლოგიური საკვები არეების მისაღებად. ფართოდ გამოიყენება კოსმეტიკურ პროდუქტებშიც /1, 2/.


სამეცნიერო/პრაქტიკული ლიტერატურის განხილვამ გვიჩვენა, რომ პექტინების ნარჩენებიდან ექსტრაგირებისათვის გამოიყენება სხვადასხვა ტექნოლოგიები: მიკროტალღური ექსტრაქცია /3/; ულტრაბგერითი ექსტრაქცია /4/; სუბკრიტიკული წყლით ექსტრაქცია /6/; იმპულსური ელექტრული ველი /5/; ჰიდროლიზი მაღალი წნევის პირობებში /7/; ჰიდროაკუსტიკური პროცესები /8/, მაგრამ პრაქტიკაში ძირითადად გამოყენებულია პექტინების მჟავე არეში ექსტრაქცია, შემდგომი ექსტრაქტის კონცენტრირებით 6-7% პექტინის შემცველობამდე და გამოლექვით რექტიფიცირებული სპირტით ან ალუმინის ან კალციუმის მარილებით. შემდგომი რეცხვით, შრობით და დაქუცმაცებით. ამ ტექნოლოგიების ნაკლოვანებები გამოიხატება ტექნოლოგიურ სირთულეებში, სიძვირეში და ა.შ. სირთულეები არის ექსტრაქციის ეტაპზე, რადგან პროცესებში გამოიყენება ორგანული და არაორგანული მჟავები და გამოლექვის ეტაპზე სპირტული კოაგულაცია ან მარილებით გამოლექვა.

ჩვენი კვლევებით მიზანშეწონილი იქნებოდა ტექნოლოგიების ეფექტურობის გაზრდისათვის და პროცესების გამარტივებისათვის მოგვესინჯა ახალი ტექნოლოგიების გამოყენება. კვლევის პროცესში ჩვენი ინტერესი გამოიწვია ელექტროლიზურმა ტექნოლოგიებმა, რომელიც პექტინების წარმოებაში ნაკლებად არის შესწავლილი. საქმე იმაშია, რომ ელექტროლიზური ტექნოლოგია იძლევა საშუალებას მივიღოთ მარტივად და იაფად მჟავე და ტუტე სითხეები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ექსტრაქციისა და გამოლექვის ეტაპებზე.

ელექტროლიზური ტექნოლოგიები კვლევითი ჯგუფისათვის უცხო არ არის. ეს ტექნოლოგია საკმაოდ საინტერესოა ფიზიკურ და ქიმიურ პროცესებში გამოყენებისათვის. სამეცნიერო ჯგუფს ქონდა შესაძლებლობა დაემზადებინა სხვადასხვა სიმძლავრის ელექტროლიზური აპარატები, რომლებშიც შესაძლებელია მჟავე და ტუტე რეაქციის ელექტროაქტიური სითხეების დამზადება. პროექტის ფარგლებში დამზადებული აპარატები წარმოდგენილია სურათზე, რომლის



სქემატური გამოსახულებაც შემდეგნაირია



ნახ 1: ელექტროლიზური აპარატი: 1 - წყლის აბაზანა, 2 - ელექტრომემბრანა, 3 - ანოდური ელექტროდი, 4 - კათოდური ელექტროდი, 5 - უსაფრთხოების დამცველები, 6 - ტრანსფორმატორი, 7 - ვოლტმეტრი, 8 - ამპერმეტრი, 9 - ჩამოსხმის ვენტილები, 10 - დენის მარეგულირებელი

ჩატარებული იქნა ელექტროაქტიური სითხეების მიღების დეტალური კვლევები. ამ კვლევების საფუძველზე მიღებული იქნა pH 1,5-დან 12,5-მდე სითხეები. წინამდებარე ნაშრომში კვლევის შედეგების წარმოდგენა არ ჩაითვალა საჭიროდ. სითხეები გამოირჩევიან სტაბილურობით ხანგძლივი დროის განმავლობაში, ამჟღავნებენ მაღალ შენახვისუნარიანობას და თითქმის არ იცვლიან თავიანთ თვისებებს.

ასეთი ელექტროაქტიური წყლის გამოყენებით ჩატარებული იქნა კვლევები პექტინების ჰიდროლიზი/ექსტრაქციის შესასწავლად. ექსტრაგენტის pH=2,0, ტემპერატურა 80^{0}C, ექსტრაქციის დრო 90 წთ. პარალელურ რეჟიმში შედარებისათვის დადგმული იქნა კონტროლი მარილმჟავას გამოყენებით, რომელიც ტრადიციულად გამოიყენება. ექსტრაქციის რეჟიმები იდენტური იყო. მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში

ცხრილი 1: პექტინოვანი ნივთიერებების ექსრაგირების მაჩვენებლები ელექტროაქტიური და მარილმჟავას ხსნარის გამოყენებისას

ექსტრაქციის რეჟიმები / ნედლეული		pH	ტემპერატურა, ^{0}C	დრო, წთ	გამოსავალი, %
ელექტროაქტიური ხსნარი					
1	მანდარინის მშრალი გამონაწნეხი	2,0	80	90	8,5
2		2,0	80	90	10,2
3		2,0	80	90	9,1
მარილმჟავა					
1	მანდარინის მშრალი გამონაწნეხი	2,0	80	90	11,1
2		2,0	80	90	10,3
3		2,0	80	90	9,2

ელექტროაქტიური ხსნარი					
1	ვაშლის მშრალი გამონაწნეხი	2,0	80	90	5,3
2		2,0	80	90	4,4
3		2,0	80	90	5,1
მარილმჟავა					
1	ვაშლის მშრალი გამონაწნეხი	2,0	80	90	4,7
2		2,0	80	90	4,2
3		2,0	80	90	5,2

როგორც შედეგები აჩვენებს პექტინოვან ნივთიერებათა გამოსავლიანობაზე ელექტროაქტიური ხსნარი და მარილმჟავას ხსნარი ერთნაირად მოქმედებს, რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ ელექტროლიზური ტექნოლოგიის შეტანა ექსტრაქციის პროცესში სრულიად მისაღებია. აღნიშნული ამარტივებს და აიაფებს ტექნოლოგიას და ხარისხზე არ ზემოქმედებს.

ჩვენთვის საინტერესო იყო შეგვესწავლა გამონაწნეხების (ნარჩენების) გამოყენების მსოფლიო პრაქტიკა და აღმოჩნდა, რომ პექტინის წარმოებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ნედლეული, რომელთა ნარჩენებში პექტინის შემცველობა შემდეგია: ძირხვენები და ბოლქვოვნები შეიცავენ 6,4-30,0% პექტინს, კვახისმაგვარები 1,7-23,6%, თესლოვნები 3,3-19,9%, ტროპიკულები 5,5-15,8%, სუბტროპიკულები 9,0-14,0%, კენკროვნები 4,2-12,6%. მესამე ჯგუფის ნედლეული შეიცავს: ღეროები 20,0-35,7%, მზესუმზირას კალათა 24,0%. შაქრის ჭარხალი 18,0-30,0%, სტაფილო 6,4-20,0%, წითელი ჭარხალი 8,1-14,9%, საზამთრო 6,4-23,6%, კვახი 2,6-17,0%, ვაშლოვნებში 6,1-19,9%, კომში 5,3-9,6%, მსხალი 3,3-8,0%, ლეღვი 5,5-15,8%, ყურძენი 4,2-6,6% და სხვა. მიუხედავად წარმოდგენილი მონაცემებისა სამრეწველო წარმოება ძირითადად ხორციელდება ციტრუსოვანთა (85%), ვაშლის (14%) და შაქრის ჭარხლის (1%) წარმოების ნარჩენებისაგან /9/.

საქართველოს პირობებშიც ძირითადი ნარჩენებია მანდარინისა და ვაშლის, თუმცა ყურადღება უნდა მივაქციოთ სხვა სახის ნარჩენებსაც, ისეთი როგორებიცაა ყურძნის, მზესუმზირას კალათა და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ შევისწავლეთ მანდარინისა და ვაშლის ნარჩენები წლის სხვადასხვა პერიოდებში. პექტინების განსაზღვრა ხორციელდებოდა კალციუმ პექტატის მეთოდით. მანდარინის მშრალ გამონაწნეხებში ის მერყეობდა 8,5-10,4%-ის ფარგლებში, ხოლო ვაშლის მშრალ გამონაწნეხებში 5,4-12,4%-ის ფარგლებში. პექტინების მიღება შესაძლებელია ნედლი ახალი გამონაწნეხებიდანაც, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ასეთი ნედლეული მალფუჭადია და მიზანშეწონილია მისი მშრალი ფორმის გამოყენება, რაც აგრეთვე იძლევა საშუალებას თავი ავარიდოთ სეზონურობას და მთელი წლის განმავლობაში მოვახდინოთ წარმოება.

კვლევებისათვის აღებული ნარჩენების დამუშავების გარეშე შრობისას მიღებულ პექტინებში დიდი რაოდენობით გადადის თანმდევი ნივთიერებები, რომლებიც

აბინძურებენ პექტინს და მათი მოცილება გაძნელებულია. კვლევებმა აჩვენა, რომ მიზანშეწონილია ნარჩენების მინიმუმ ორჯერადი რეცხვა პერიოდული ქმედების აპარატებში ან უწყვეტი ქმედების ექსტრაქტორებში. ამგვარი ზემოქმედებით მაქსიმალურად სცილდება ყველა წყალში ხსნადი ნივთიერება, ადვილად შრება და პექტინიც გამოდის ხარისხიანი. ამგვარად მომზადებულ ნარჩენების გამოყენებით ჩატარებული იქნა კვლევები პექტინების ჰიდროლიზი/ექსტრაქციის პროცესების ოპტიმალური პარამეტრების დასადგენად, რომელიც მოცემულია ცხრილში

ცხრილი 2: პექტინივან ნივთიერებათა ჰიდროლიზი/ექსტრაქცია pH 2,0-2-2 აქტივირებული წყლით, 1:4 ჰიდრომოდულისა და 90წთ-ის განმავლობაში 60, 70, 80 და 90 ^{O}C ტემპერატურების პირობებში

რ/№	ექსტრაქციის ტემპერატურა, ^{O}C	ხსნარის pH	ჰიდრომო-დული	ექსტრაქციის დრო,წთ	მშრალი პექტინის გამოსავალი, %
მანდარინის გამონაწნეხი (მშრალი 10-12%)					
1	60	pH 2,0-2,2	1:4	90	7,4
	70	pH 2,0-2,2	1:4	90	11,2
	80	pH 2,0-2,2	1:4	90	10,5
	90	pH 2,0-2,2	1:4	90	6,6
2	60	pH 2,0-2,2	1:4	90	8,8
	70	pH 2,0-2,2	1:4	90	11,3
	80	pH 2,0-2,2	1:4	90	11,0
	90	pH 2,0-2,2	1:4	90	7,8
3	60	pH 2,0-2-2	1:4	90	6,6
	70	pH 2,0-2,2	1:4	90	10,1
	80	pH 2,0-2,2	1:4	90	10,5
	90	pH 2,0-2,2	1:4	90	7,5
ვაშლის გამონაწნეხი (მშრალი 10-12%)					
1	60	pH 2,0-2,2	1:4	90	4,4
	70	pH 2,0-2,2	1:4	90	6,7
	80	pH 2,0-2,2	1:4	90	6,8
	90	pH 2,0-2,2	1:4	90	5,7
2	60	pH 2,0-2,2	1:4	90	7,7
	70	pH 2,0-2,2	1:4	90	9,3
	80	pH 2,0-2,2	1:4	90	9,4
	90	pH 2,0-2,2	1:4	90	8,1
3	60	pH 2,0-2,2	1:4	90	5,3
	70	pH 2,0-2,2	1:4	90	7,4
	80	pH 2,0-2,2	1:4	90	7,2
	90	pH 2,0-2,2	1:4	90	6,2

როგორც ცხრილიდან ჩანს ჰიდროლიზი/ექსტრაქციის ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმია 70-80 ^{O}C, ამ დროს როგორც მანდარინის ასევე ვაშლის გამონაწნეხებიდან ხდება პექტინოვან ნივთიერებათა მაქსიმალური ექსტრაგირება და გადასვლა ხსნად მდგომარეობაში. 80^{O}C-ზე ზევით ტემპერატურებზე ხდება პექტინოვან ნივთიერებათა გამოსავლიანობის ვარდნა, რაც გამოწვეული უნდა იყოს პექტინების დეგრადირებით.

შესწავლილი იქნა პექტინოვან ნივთიერებათა ექსტრაქციის ხარისხი დროსთან მიმართებაშიც, რომელიც მოცემულია ცხრილში

ცხრილი 3: პექტინოვან ნივთიერებათა ჰიდროლიზი/ექსტრაქციის მაჩვენებლები დროსთან (30, 60, 90 წთ). pH 2,0, ჰიდრომოდული 1:4 , ტემპერატურა 70 ^{O}C

რ/№	ექსტრაქციის დრო,წთ	ჰიდროლიზი/ექტ-რაქციის pH	ჰიდრომ-დული	ექსტრაქციის ტემპერატურა, ^{O}C	მშრალი პექტინის გამოსავალი, %
მანდარინის გამონაწნეხი (მშრალი 10-12%)					
1	30	2,0	1:4	70	8,2
	60	2,0	1:4	70	9,9
	90	2,0	1:4	70	10,7
ვაშლის გამონაწნეხი (მშრალი 10-12%)					
1	30	2,0	1:4	70	4,7
	60	2,0	1:4	70	5,6
	90	2,0	1:4	70	6,9

ცხრილი გვიჩვენებს, რომ დიდი სხვაობებია პექტინოვან ნივთიერებების გამოსავლიანობებში. კარგი შედეგები იქნა მიღებული 90 წთ-იანი ჰიდროლიზი/ექსტრაქციის პირობებში. დროის შემდგომი მატება აქვეითებს გამოსავლიანობის მაჩვენებლებს, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ტემპერატურის ხანგძლივ ზემოქმედებასთან, რომლის დროსაც დეგრადირდება პექტინები.

ჩვენ აგრეთვე შევისწავლეთ პექტინოვან ნივთიერებათა გამოსავლიანობა pH-თან მიმართებაში, 70 ^{O}C ტემპერატურის და გამონაწნეხი:წყალი ჰიდრომოდულის 1:4 პირობებში. ჰიდროლიზი/ექსტრაქციის დრო აღებული იქნა 90წთ. მონაცემები მოცემულია ცხრილში

ცხრილი 4: პექტინოვან ნივთიერებათა ჰიდროლიზი/ექსტრაქცია pH 1,0; 1,5; 2,0 და 3,0 აქტივირებული წყლით, 1:4 ჰიდრომოდულისა და 70 ^{O}C ტემპერატურების პირობებში, 90წთ-ის განმავლობაში


რ/№	ჰიდროლიზი/ექტ-რაქციის pH	ექსტრაქციის ტემპერატურა, °C	ჰიდრომ-დული	ექსტრაქციის დრო,წთ	მშრალი პექტინის გამოსავალი, %
მანდარინის გამონაწნეხი (მშრალი 10-12%)					
1	1,0	70	1:4	90	10,6
	1,5	70	1:4	90	10,4
	2,0	70	1:4	90	10,4
	3,0	70	1:4	90	9,2
ვაშლის გამონაწნეხი (მშრალი 10-12%)					
2	1,0	70	1:4	90	6,7
	1,5	70	1:4	90	6,6
	2,0	70	1:4	90	6,8
	3,0	70	1:4	90	6,3

ცხრილი გვიჩვენებს, რომ pH 1,0 - 3,0 პირობებში დიდი განსხვავებები არ შეიმჩნევა. აგრეთვე დაბალი pH 1,0 – 1,5-ის მიღება შემუშავებული აპარატების მეშვეობით რთული იყო, მოითხოვდა გაცილებით მეტ დროს და დენის დანახარჯებს. აგრეთვე, ხშირად წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლებიც არამდგრადი იყო. ჩვენ ჩავთვალეთ pH-ის ოპტიმალურ მაჩვენებლად pH 2,0. უფრო დაბალი pH (3,0) იწვევდა გამოსავლიანობის უმნიშვნელო კლებას.

ჩვენ შევისწავლეთ აგრეთვე მშრალი გამონაწნეხების გაზავების მაჩვენებლების გავლენა პექტინოვან ნივთიერებათა გამოსავლიანობის მაჩვენებლებზე და მივიღეთ შემდეგი შედეგები: 1:2 და 1:3 ჰიდრომოდულის პირობებში ერთჯერადი ექსტრაქციისას პექტინების მნიშვნელოვანი რაოდენობა რჩებოდა გამონაწნეხში და საჭიროებდა დამატებითი ექსტრაქციის პროცესების ჩატარებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ექსტრაგირებული მასა ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროებდა გამოწნეხას, რომ არ დარჩენილიყო ნარჩენი პექტინი. ექსპერიმენტების შედეგად ჩვენს მიერ შემუშავებული იქნა პროცესის ტექნოლოგიური სქემა, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგ ოპერაციებს: გამონაწნეხებს ესხმებოდა ნელ-თბილი წყალი 1:1-თან, ყოვნდებოდა 30-40წთ-ის განმავლობაში, შემდგომ ხდებოდა წყლის მოცილება ცენტრიფუგირებით და გადადიოდა რეაქტორში. აქ ხდებოდა pH 2,0 მჟავე წყლის დამატება, გაცხელება 70 °C და ნელი მორევის პირობებში ექსტრაქციის პროცესების წარმართვა 90 წთ-ის განმავლობაში, რის შემდეგაც განხორციელდა ფაზების (წყალი:გამონაწნეხი) დაყოფა ცენტრიფუგირებით ან ფილტრაციით. ექსტრაგირებული გამონაწნეხები დამატებით ექვემდებარებოდნენ გამოწნეხას. მიღებული თხევადი ფაზა ემატებოდა უკვე მიღებულ ექსტრაქტს. სპირტით გამოლექვის საშუალებით (ექსტრაქტი: სპირტის თანაფარდობა 1:2-თან) ხდებოდა პექტინოვან ნივთიერებათა გამოლექვა (გამოსალექად გამოიყენებოდა

96% სპირტი), დამატებითი გარეცხვა 70-80% სპირტით და შრობა 60-70 ^{O}C-ზე სრულ გამოშრობამდე. კვლევები ჩატარდა ნახ. 2 მოცემულ ტექნოლოგიური სქემის საფუძველზე.

ნახაზი 2. პექტინივან ნივთიერებათა მიღების ტექნოლოგიური სქემა



ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი პექტინების მიღების პროცესში არის გამოლექვა. ტრადიციულ ტექნოლოგიებში და კომერციული პექტინის მიღებისას გამოლექვისათვის იყენებენ ორ მეთოდს /9/: პირველ შემთხვევაში ტექნოლოგიური სქემა შედგება შემდეგი პროცესებისაგან: ნედლეულის მომზადება, მცენარეული მასის ჰიდროლიზი, მყარი და თხევადი ფაზების დაცალკევება გამოწნეხით და სეპარაციით, პექტინოვანი ექსტრაქტის ვაკუუმ კონცენტრირება, პექტინის კოაგულაცია სპირტით; ხოლო მეორე შემთხვევაში ექსტრაქტიდან პექტინების გამოლექვას ახდენენ მეტალის მარილებით, კერძოდ ამ შემთხვევაში ექსტრაქტის კონცენტრირება არ ხდება და პირდაპირ ემატება ალუმინის მარილები. ისინი წარმოქმნიან იონმიმოცვლით კომპლექსებს ანიონური პოლიმერებით. ამ დროს ხდება პოლიმერიზებული ალუმინის ჰიდროქსიდ-იონების წარმოქმნა, რომლებიც ურთიერთქმედებენ პექტინის უარყოფითად დამუხტულ მოლეკულებთან და გადადის ნალექში. ამ მეთოდის უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ არ საჭიროებს პექტინოვანი ექსტრაქტების კონცენტრირებას. გარკვეული პირობების დაცვით ხორციელდება ნალექის ფლოკულაცია და ადვილად გამოიყოფა სითხის დიდი რაოდენობიდან. გამოლექვის ამ მეთოდის გამოყენებისას გამოლექილი პექტინი ალუმინის იონებთან

ურთიერთქმედების შედეგად იღებს მწვანე-მოყვითალო შეფერილობას. იმისათვის რომ მოცილებული იქნას ალუმინის მარილები ნალექს ამუშავებენ ჰიდროქსიმჟავის წყალხსნარით. ეს ხერხი იძლევა საშუალებას მივიღოთ ალუმინისაგან გაწმენდილი ყვითელი მასა, რომელიც იწნეხება სითხის მაქსიმალურად მოსაცილებლად /9/.

ამ მეთოდებს აქვს თავისი უარყოფითი მხარე: პირველ შემთხვევაში გამოიყენება ძვირადღირებული კონცენტრირების პროცესი და ძვირადღირებული სპირტი, ხოლო მეორე შემთხვევაში პროცესში შედის ქიმიური რეაგენტი (ალუმინის მარილი) რომელიც საჭიროებს მოცილებას, რაც ართულებს და აძვირებს პროცესს.

ჩვენი მიზანი იყო გამოლექვის პროცესის გამარტივება სხვა მეთოდით. კერძოდ კვლევები ჩატარდა იზოელექტრული გამოლექვის მეთოდის გამოყენებით, რომელსაც ქიმიურ და ფარმაცევტულ პრაქტიკაშიც იყენებენ. ჩვენს მიერ აღებული იქნა ელექტროაქტიური ხსნარით ექსტრაგირებული და დაწმენდილი პექტინოვანი ექსტრაქტები, რომელზე ზემოქმედებაც ხდებოდა სხვადასხვა pH არის პირობებში. pH არეების შექმნა ხორციელდებოდა ელექტროლიზური გზით მიღებული მჟავე და ტუტე ხსნარებით. კვლევებმა აჩვენა, რომ მჟავე ექსტრაქციისას ელექტროაქტიური წყლით pH-ის მაჩვენებელი იცვლება პროცესში. თუ საწყისი ექსტრაქციის pH იყო 2,0, პროცესის ბოლოში ეს მაჩვენებელი იცვლებოდა pH4,2-4,6-ის ფარგლებში. ჩვენ მოვახდინეთ მათზე ზემოქმედება სხვადასხვა pH-ზე რისთვისაც ვიყენებდით pH2,0 ან pH12,0 ელექტროაქტიურ წყლებს. ექსტრაქტებზე ზემოქმედება მოვახდინეთ pH2,5, pH3,0, pH3,5, pH4,0, pH4,5, pH 5,0, pH 5,5, pH 6,0, pH6,5, pH6,0 ..... pH10,5, pH11,0 დიაპაზონებში.

გამოლექვის კარგი შედეგები მიღებული იქნა pH3,2-3,5 დიაპაზონში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნალექების სიმკვრივე არ იყო სათანადო. ამ პრობლემის მოსახსნელად დამატებით საჭირო გახდა მცირე დოზით $CaCl_2$-ის მსუბუქი ხსნარების გამოყენება. ჩვენი დასკვნით იზოელექტრული გამოლექვის გამოყენება პექტინების მისაღებად მიზანშეწონილია, თუმცა ეს მეთოდი საჭიროებს კიდევ დამატებით კვლევებს და დახვეწას. აღნიშნულის შემდგომ ნალექის გამყარებისათვის და რეცხვისათვის გამოყენებული იქნა სპირტი.

დასკვნის სახით შეიძლება გაეწიოს რეკომენდაცია ახალი ელექტროლიზური ტექნოლოგიის შემოტანას პექტინების ჰიდროლიზი/ექსტრაქციისა და გამოლექვის ეტაპებზე, რაც აადვილებს, ამარტივებს და აიაფებს პექტინების მიღების ტექნოლოგიურ სქემას და მიზანშეწონილი არის მისი გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Пектин. Технология производства. Обзорная информация [Internet]. 2014 [cited 2014]. Available from: https://membrane.nethouse.ru/static/doc/0000/0000/0221/221091.j4bml72rl6.pdf
2. Муссович БА. Теоретические и практические основы новых технологий получения пектина из растительного сырья с использованием физических процессов [Internet]. disserCat. 2006 [cited 2026 Sept 22]. Available from: https://dissercat.com/content/teoreticheskie-i-prakticheskie-osnovy-novykh-tekhnologii-polucheniya-pektina-iz-rastitelnogo
3. Lefsih K, Giacomazza D, Farid D, Mangione MR, Bulone D, Pier Luigi SB, et al. Pectin from Opuntia ficus indica: Optimization of microwave-assisted extraction and preliminary characterization. Food Chemistry [Internet]. 2017 Apr 15 [cited 2026 Sept 22];221:91–9. Available from: https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0308814616317034
4. Hwang SW, Shin JS. Pectin-coated curcumin-chitosan microparticles crosslinked with Mg2+ for delayed drug release in the digestive system. International Journal of Polymer Science. 2018 Sept 17;2018:1–7.
5. Пектин : производство и применение / [Н. С. Карпович, Л. В. Донченко, В. В. Нелина [и др.]] ; под ред. Н. С. Карповича. Киев : Урожай, 1989. 88 с. : ил. ISBN 5-337-00405-0.
6. Muñoz-Almagro N, Valadez-Carmona L, Mendiola JA, Ibáñez E, Villamiel M. Structural characterisation of pectin obtained from cacao pod husk. Comparison of conventional and subcritical water extraction. Carbohydrate Polymers. 2019 Aug;217:69–78.
7. Zhang L, Ye X, Ding T, Sun X, Xu Y, Liu D. Ultrasound effects on the degradation kinetics, structure and rheological properties of apple pectin. Ultrasonics Sonochemistry. 2013 Jan;20(1):222–31.
8. Golubev VN, Tsyganova TB. Pectic polysaccharides – multifunctional ingredients of food and biomedical systems. Health, Food & Biotechnology. 2024 Dec 30;6(4).
9. НПО “альтернатива” - 2.5. ПЕКТИНЫ [Internet]. Alternativa-sar.ru. 2026 [cited 2026 Sept 22]. Available from: https://alternativa-sar.ru/tehnologu/pishchevye-dobavki-i-ingredienty/donchenko-pishchevaya-khimiya/2694-2-5-pektiny

Study of Plant-Based Waste from Georgian Processing Facilities and Recommendations for Optimal Processing

Avtandil Tsintskiladze[1], Rauli Gotsiridze[2], Darejan Chikovani[3], Nino Mkheidze[4], Lela Surmanidze[5]

[1]Batumi Shota Rustaveli State University; Institute of Agrarian and Membrane Technologies, Doctor of Technical Sciences; [2]Batumi Shota Rustaveli State University; Institute of Agrarian and Membrane Technologies, Doctor of Chemical Sciences; [3]Batumi Shota Rustaveli State University; Institute of Agrarian and Membrane Technologies, Doctor of Chemical Sciences; [4]Batumi Shota Rustaveli State University; Institute of Agrarian and Membrane Technologies, Doctor of Chemical Sciences; [5]Masters graduate of Batumi Shota Rustaveli State University

Abstract

This article addresses the issue of utilizing industrial plant waste. It turns out that thousands of tons of plant waste are discarded in landfills in Georgia, even though such waste serves as a valuable raw material for pectin production.

The study reviews current pectin production technologies, characterizing them and identifying associated challenges and drawbacks. Based on this analysis, the authors propose the introduction of new, efficient, simple, and cost-effective processes for the hydrolysis and extraction stages of pectin production. Electro-active solutions obtained via electrolysis technology are presented for use in these processes; these solutions enable the efficient execution of hydrolysis, extraction, and precipitation, while eliminating the need for complex, costly procedures involving chemical reagents for hydrolysis/extraction, concentration, and precipitation with alcohol or salts.

New electrolytic units developed by the research team, capable of producing acidic and alkaline solutions, are presented. The results of extraction and precipitation studies using these solutions are also reported. Based on the findings, the authors recommend the widespread application of electrolytic technologies in the processes of obtainingpectic substances.

Keywords: Pectin, electrolysis, technology